

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ალექსანდრე არაბული

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების
თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : მარინა მუჩიაშვილი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია.....	3
შესავალი.....	4
თავი 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი მიმოხილვა, ძირითადი პრობლემები და გამოწვევები.....	6
1.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი მიმოხილვა.....	6
1.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ძირითადი პრობლემები და გამოწვევები.....	8
თავი 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები12	
2.1. სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა.....	12
2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული პროექტები სოფლის მეურნეობის სექტორში.....	15
თავი 3. სოფლის მეურნეობის სექტორის სტატისტიკური ანალიზი.....	57
3.1. მემცენარეობის სექტორის სტატისტიკური ანალიზი.....	57
2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები - მემცენარეობა.....	57
ძირითადი ტენდენციები - მემცენარეობა.....	61
3.2. მეცხოველეობის სექტორის სტატისტიკური ანალიზი.....	71
2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები - მეცხოველეობა.....	71
ძირითადი ტენდენციები - მეცხოველეობა.....	72
3.3. სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაში.....	78
მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში.....	78
მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში.....	80
3.4 დასაქმება და ხელფასები.....	85
დასაქმება.....	85
ხელფასები.....	88
დასკვნა.....	92
გამოყენებული ლიტერატურა:.....	93
დანართი - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე სახელმწიფო პროექტები: მიღებული და საპროგნოზო შედეგები.....	94
პროექტი “შელავათიანი აგროკრედიტი”.....	94
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი.....	97

აგროწარმოების ხელშეწყობის პროექტი.....	102
ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა	104
პროექტი “ახალგაზრდა მეწარმე”	104
პროექტი “დანერგე მომავალი”	105
პროექტი “აგროდაზღვევა”	107

ანოტაცია

ჩატარებული ანალიზიდან ირკვევა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობის მიუხედავად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპებს.

კვლევაში მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი მიმოხილვა, ძირითადი პრობლემები და გამოწვევები.

გაანალიზებულია და შეფასებულია მთავრობის პოლიტიკა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ.

არსებული სტატისტიკური მასალების საფუძველზე განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის მთავარი მიმართულებები და ღონისძიებები და შეფასებულია მათი ზემოქმედება ქვეყნის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

დეტალურადაა წარმოდგენილი დარგში ბოლო წლებში განხორციელებული პროექტები, მოცემულია მათი განხორციელების შედეგად მიღებული შედეგები ქვეყნის ეკონომიკაში.

სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით ჩვენს მიერ ჩატარებულია სექტორის სტატისტიკური ანალიზი, გამოვლენილია სექტორის განვითარების ტენდენციები.

Abstract

The analysis shows that despite the favorable climatic and natural conditions for the development of agriculture in Georgia, the pace of development of the sector has lagged significantly behind the growth rates of other sectors of the economy in recent decades.

The study provides a general overview of the Georgian agricultural sector, the main problems and challenges.

The government policy regarding the agricultural sector of Georgia is analyzed and evaluated.

Based on the available statistical data, the main directions and measures of the Strategy for the Development of Agriculture in Georgia for 2015–2020 are reviewed and their impact on the main macroeconomic indicators of the country is assessed.

The projects implemented in the field in recent years are submitted in detail and the results of their implementation in the country's economy are presented.

Using statistical research methods we have conducted a statistical analysis of the sector and identified trends in the sector development.

შესავალი

საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს, სადაც დაბალპროდუქტიული, თვითკმარი და ნახევრად თვითკმარი ფერმერული მეურნეობები ცხოვრების ძირითადი წყაროა. სასოფლო-სამეურნეო მიწების მზარდი წილი გამოუყენებელი რჩება. საბჭოთა პერიოდის სოფლის მეურნეობა, თითქმის 1990 წლამდე, მკვეთრად განსხვავდებოდა დღევანდელი მდგომარეობისაგან. იმ პერიოდში სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში ყოველწლიურად მკვეთრად იზრდებოდა, მაღალღირებული პროდუქტის წარმოების ხარჯზე, ხოლო სოფლის მეურნეობაში ექსპორტი იმპორტს 70%-ით აღემატებოდა. სამუშაო ადგილებს ქმნიდნენ პლანტაციები და გადამამუშავებელი ფაბრიკები, რომლებიც დირექტივებით მართულ მომარაგების ქსელს ემსახურებოდა. 1990 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქცია უწყვეტად მცირდება და მცირდება მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტშიც, ხოლო სოფლის მეურნეობაში იზრდება თვითდასაქმებულად კლასიფიცირებულთა რაოდენობა. 1990-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა „ფერმერთა“ ნახევარმილიონიანი ახალი კლასი. ეს არის საარსებო საშუალება მიწის მცირე ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, სადაც მიწის მეპატრონეს თვითდასაქმებულის სტატუსს ანიჭებენ. სოფლის მეურნეობა, როგორც სექტორი, დამატებითად იყო მიჩნეული - თვითდასაქმებულის საარსებო საშუალებად ბუნდოვან ფისკალურ გარემოში. ცხადია, ეს ბუნდოვანება, წახალისებულია, რადგან 100000 (€ 42,000) ლარზე ნაკლები შემოსავლის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის გადახდა არ მოითხოვება.

დღემდე სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად მცირდება (34%-დან 1996 წელს, 8%-მდე 2018 წელს). სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის კლება რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: მიწების დანაწევრება, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის ნაკლებობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მაღალი ღირებულება და ძვირი ფინანსური რესურსები, თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების უქონლობა, ბაზრებზე ცუდი ხელმისაწვდომობა და ზოგადად დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად კლასიფიცირებულთა რაოდენობა ფაქტობრივად არ შეცვლილა.

სოფლის მეურნეობა გადარჩენის მნიშვნელოვანი საშუალებაა სოფლის მოსახლეობისთვის. ამ სექტორში დასაქმებულად კვალიფიცირებულთა შორის 95% 'წვრილი ფერმერია', რომლებსაც, ჩვეულებრივ, 1.2 ჰა მიწის ნაკვეთი და 2 ძროხა ჰყავთ. მიჩნეულია, რომ ასეთი ოჯახები მიეკუთვნებიან საარსებო საშუალებების მქონეთა ან ნაწილობრივ მქონეთა კატეგორიას. სოფლად შემოსავლების ზრდა ძირითადად გამოიწვია რემიტენციების ზრდამ, რომლებსაც საქართველოს გარეთ მცხოვრები და მომუშავე ემიგრანტები აგზავნიან, რაც სოფლის მოსახლეობაზე სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობის ზემოქმედებას ამცირებს.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობის მიუხედავად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპებს.

კვლევაში მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი მიმოხილვა, ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, გაანალიზებულია და შეფასებულია მთავრობის პოლიტიკა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ, არსებული სტატისტიკური მასალების საფუძველზე განხილულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის მთავარი მიმართულებები და ღონისძიებები და შეფასებულია მათი ზემოქმედება ქვეყნის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, დეტალურადაა წარმოდგენილი დარგში ბოლო წლებში განხორციელებული პროექტები, მოცემულია მათი განხორციელების შედეგად მიღებული შედეგები ქვეყნის ეკონომიკაში და სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით, ჩატარებულია სექტორის სტატისტიკური ანალიზი, გამოვლენილია სექტორის განვითარების ტენდენციები.

თავი 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი მიმოხილვა, ძირითადი პრობლემები და გამოწვევები

1.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი მიმოხილვა

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი მსოფლიოში სოფლის მეურნეობით არის დაკავებული. დსთ-ს სივრცეში ამ საქმიანობას 20 მილიონი ადამიანი ეწევა. აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში 12 მილიონი. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობით 22 მილიონი ადამიანი დაკავებული. ამ საქმიანობას ჩინეთში 450 მილიონი ადამიანი ეწევა. აფრიკაში, ჩინეთში და სხვა განვითარებად ქვეყნებში შემოსავალს სოფლის მეურნეობიდან დაახლოებით 600 მილიონი ადამიანი იღებს.

იმ ქვეყნების ათეულს, რომლებიც სოფლის მეურნეობიდან ყველაზე დიდ შემოსავალს იღებენ ჩინეთი ლიდერობს. ყოველწლიურად ეს ქვეყანა 1 ტრილიონ 88 მილიარდი დოლარის სასოფლო სამეურნეო პროდუქციას ყიდის. 413 მილიარდი დოლარით მეორე ადგილზე ინდოეთია. 290 მილიარდით მესამე ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატებია. ამერიკული ექსპორტი ძირითადად ხორცის და რძის პროდუქტებით არის წარმოდგენილი. ინდონეზია – ეს ქვეყანა ძირითადად ყავის, კაუჩუკის, კაკაოს და სუნელებლების ექსპორტშია სპეციალიზებული. სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლებით ინდონეზია მოწინავე სამეულს მნიშვნელოვნად ჩამორჩება, თუმცა 127 მილიონიც საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვია. 110 მილიარდი დოლარით მეხუთე ადგილზე ბრაზილიაა. დიდი შემოსავლები დაახლოებით 106 მილიარდი დოლარი აქვს ნიგერისასაც. 63 მილიარდით ათეულში მეშვიდე ადგილზეა პაკისტანი. მერვე ადგილზეა და პაკისტანს 1 მილიარდით ჩამორჩება თურქეთი. 59 მილიარდით მეცხრე ადგილზე არგენტინაა. მეათე ადგილზეა და 51 მილიარდი დოლარის შემოსავალი აქვს იაპონიას.

FAO-ს ექსპერტების შეფასებით, განვითარების მზარდი ტემპით ხასიათდება ორგანული სოფლის მეურნეობა. IFOAM-ს მონაცემებით, ორგანული პროდუქციის ბაზარმა 90 მილიარდ ევროს გადააჭარბა. ყველაზე დიდი ბაზარი, დაახლოებით 40 მილიარდის აშშ-ს აქვს. მეორე ადგილზე 10 მილიარდით გერმანია. ორგანული საკვები პროდუქტების ბაზარი საფრანგეთში 7.9 მილიარდ ევროს აჭარბებს. ყველაზე მეტად

ორგანულ საკვებ პროდუქტებს შვეიცარიაში ყიდულობენ – 288 ევროს ერთ სულ მოსახლეზე. გერმანიაში ეს მაჩვენებელი 278 ევროა, შვედეთში - 237 ევრო.

რაც შეეხება საქართველოს, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებული უარყოფით სავაჭრო სალდო კლების ტენდენციით ხასიათდება. 2018 წლის წინასწარი მონაცემით, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებულმა უარყოფითმა სავაჭრო სალდომ, 394 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2017 წელთან შედარებით ეს მონაცემი უმნიშვნელოდ, 0.3%-ით არის შემცირებული, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2012 წელს სავაჭრო დეფიციტი დაახლოებით 753 მილიონი აშშ დოლარი იყო, გამოდის, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში უარყოფითი სავაჭრო სალდო თითქმის განახევრდა.

2018 წელს, საქართველომ საერთაშორისო ბაზრებზე 959.2 მილიონი აშშ დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია გაყიდა. საქსტატის მონაცემებით ექსპორტი მსოფლიოს 96 ქვეყანაში განხორციელდა და გასაღების ბაზრებს შორის 25 პროცენტის წილით რუსეთი ლიდერობს. 16%-ით მეორე ადგილზე აზერბაიჯანია. მესამე ადგილზე 15%-ით ევროკავშირია. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 180.9 მლნ აშშ დოლარით (23.2%-ით) არის გაზრდილი.

რაც შეეხება იმპორტს, 2018 წელს საქართველოში 1.3 მილიარდი დოლარის აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი განხორციელდა. ექსპორტის მსგავსად ამ შემთხვევაშიც ლიდერი რუსეთია (23%). 22%-ით მეორე უმსხვილესი იმპორტიორი ევროკავშირია. 21%-ით მესამე ადგილზე უკრაინაა. თურქეთის წილმა ექსპორტში 10% შეადგინა.

საინტერესოა, რომ ექსპორტის ზრდის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან მშპ-ში შემცირებას განაგრძობს და 2018 წელს 7.7% შეადგინა. 2017 წელს ეს მაჩვენებელი 8% იყო.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობას, 2018 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში დასაქმებულთა 39% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული და ამ მაჩვენებლით ისეთ ქვეყნებს შორისაა, როგორცაა, ვიეტნამი, ჰაიტი, ინდოეთი, კენია, მაროკო, პაკისტანი ნიგერია და განა. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში,

მაგალითად აზერბაიჯანში, აღნიშნული მაჩვენებელი 37%-ს. სომხეთში - 33%-ს, თურქეთში - 19%-ს, ხოლო რუსეთში 8%-ს შეადგენს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2018 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი მსოფლიოში 26% იყო. ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 5%-ს არ აღემატება.

საქართველოს სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რაც ქვეყნის ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ამ ერთობლიობამ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ:

- ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 43% ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად;
- ქვეყნის მოსახლეობის 40-45% ცხოვრობს სოფლად;
- ქვეყანაში ეკოლოგიური და კლიმატური ზონების დიდი ნაირსახეობაა, რაც ზომიერი და სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტესობის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა;
- კლიმატური ზონების გათვალისწინებით, საქართველოს ბიოსფერო მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც განპირობებულია 12 განსხვავებული ზონისა და 49 სხვადასხვა ნიადაგის არსებობით.
- ბევრი ენდემური სახეობა მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარების შესანიშნავი წყაროა.
- ქვეყანა მდიდარია, როგორც საირიგაციო, ისე სასმელი წყლის რესურსებით.

1.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ძირითადი პრობლემები და გამოწვევები

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობის მიუხედავად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპებს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ წლებში განვითარებული მოვლენების გამო, რამდენჯერმე შემცირდა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ნათესი და ნარგავი ფართობები, პირუტყვის სულადობა.

- **სასურსათო უსაფრთხოება** - 2012 წელს, ქვეყანაში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის ღირებულებამ ერთ მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმპორტის ზრდის პარალელურად ჩამოყალიბდა ადგილობრივი წარმოების შემცირების ნეგატიური ტენდენცია. შემცირდა თითქმის ყველა სახის პროდუქციით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, რამაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა.
- **გადამამუშავებელი მრეწველობა** - 1990-იან წლებში აგროსამრეწველო საწარმოების უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. მათი დანადგარ-მოწყობილობები ჯართად გაიყიდა, შენობა-ნაგებობები დაიშალა, კვალიფიციური მუშები და სპეციალისტები გაიფანტნენ. არასწორი აგრარული პოლიტიკის გამო, განადგურდა აგრარული მეცნიერება. დეგრადაცია განიცადა უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა, განადგურდა სასწავლო-საცდელი მეურნეობები, ლაბორატორიები, თემატური მუზეუმები.
- **მიწის რეფორმა** - 1990-იან წლებში განხორციელებულმა მიწის რეფორმამ გამოიწვია მეურნეობების დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 0.1-დან 1 ჰექტრამდე მიწას ფლობდა მიწათმოსარგებლეთა 67%, ხოლო 2014 წლის აღწერის მიხედვით აღნიშნულმა მავენებელმა 77% შეადგინა. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მეურნეობების კუთვნილი 1 ჰექტარი მიწა საშუალოდ წარმოდგენილია 2-3 ნაკვეთად. ცხადია, ასეთ პირობებში ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია.
- **მიწის კადასტრი** - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწის დაახლოებით 20-30%-ია რეგისტრირებული. საქართველოში მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის გაუქმების შემდეგ, 2004 წლიდან, არ გაკეთებულა მიწის ბალანსი, აგრეთვე მხედველობაში მისაღებია მიწის ნაკვეთების დანიშნულების შეცვლის შემთხვევები და შედეგად, უცნობია როგორც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი და მათი განაწილება, ასევე სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ზუსტი ფართობი, რაც, თავის მხრივ, ართულებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას.
- **საერთო სარგებლობის საძოვრები** - ასევე აღსანიშნავია, რომ საერთო საკუთრების საძოვრების რაციონალურ გამოყენებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი

განსაზღვრული არ არის. წარმოიქმნება მართვის პრობლემები, რაც, თავის მხრივ, იწვევს ისეთ უარყოფით შედეგებს, როგორებიცაა დაბალი წველადობა და მცირე წონამატი. საერთო საკუთრებაში მყოფი საძოვრები ინვაზიურ დაავადებათა კონტროლის პრობლემასაც ამწვავებს.

➤ **თანამედროვე ტექნოლოგიების, კაპიტალისა და საბაზისო ცოდნის ნაკლებობამ** დროთა განმავლობაში მიწის ნაყოფიერების შემცირება გამოიწვია. არსებული საირიგაციო და სადრენაჟო სისტემები სერიოზულ რეკონსტრუქციას მოითხოვს, რის გამოც ფერმერთა, მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა ახერხებს მიწის ან წყლის რესურსების, ნედლეულის (მომსახურების) მიწოდების, მარკეტინგული ღონისძიებების ეფექტიან მართვას, ან სოფლის მეურნეობის ნებისმიერი სახის მხარდამჭერი მომსახურებით სარგებლობას.

➤ პრობლემები რჩება მიწის ყიდვა-გაყიდვის, შესაბამის ტექნოლოგიებთან წვდომის, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების სფეროებში (მანქანა-იარაღები, დანადგარები, სასუქები, პესტიციდები, თესლი/სარგავი მასალა, ირიგაცია, დრენაჟი, ხელოვნური განაყოფიერება, საკვები). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობის პროგრამების განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბანკო სექტორის სასოფლო-სამეურნეო პორტფელი, კვლავაც **ცოტას მიუწვდება ხელი იაფ ფულად რესურსებზე**. ამჟამად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად ითვლება ქვეყნის დასაქმებული სამუშაო ძალის 39%. აქედან გამომდინარე, უახლოეს წლებში მნიშვნელოვანია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო პროფილის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, საოჯახო ფერმერული მეურნეობების განვითარებისა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის, მათ შორის, აგროტურიზმის ხელშეწყობა.

➤ **კეთილდღეობა (სიღარიბე, შემოსავლები)** - სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი ვითარება მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელზე. 2013 წელს სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულის საშუალო ხელფასი დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მხოლოდ 64%-ს შეადგენს. ამავე დროს, ქალაქად და სოფლად მცხოვრებთა შემოსავლებს შორის სხვაობა საგრძნობლად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები დაბალია. ბოლო წლების განმავლობაში მთლიან შემოსავალში იზრდება დაქირავებული

შრომიდან მიღებული შემოსავლის წილი, თუმცა მისი აბსოლუტური მნიშვნელობა მცირეა. სოფლის მოსახლეობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის წილი მთლიან სახსრებში, გაანგარიშებული ერთ სულზე, 2013 წლისათვის მხოლოდ 11.7%-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომერციული მეურნეობები სუსტადაა განვითარებული.

➤ **მეურნეობის ნატურალიზაცია** - არსებულ მწარმოებელთა უდიდესი ნაწილი ეგრეთ წოდებული ნატურალური მეურნეობის ტიპისაა და პროდუქტს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, სასოფლო მეურნეობების 77% ძირითადად აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას პირადი მოხმარებისათვის.

➤ **დემოგრაფია** - სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში იზრდება ხანდაზმულთა პროცენტული წილი, რაც ართულებს დემოგრაფიულ ვითარებას სოფლად. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი გრძელვადიანი პოლიტიკის გარეშე (რაშიც ახალგაზრდობის დასაქმების სტიმულირებაც მოიაზრება), წარმოების არსებული დონის შენარჩუნება, შემდგომი ზრდა და კონკურენტულობის ამაღლება გართულდება.

➤ **სტიქიური მოვლენები** - სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სტიქიური მოვლენების მიმართ ერთ-ერთ სენსიტიურ დარგს და მისი განვითარება სტიქიური პროცესების შედეგებზეა დამოკიდებული. საქართველოში გავრცელებული ძირითადი სტიქიური მოვლენები აზარალებს სასოფლო სამეურნეო-სავარგულებს და შესაბამისად, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სოფლის ეკონომიკას.

➤ **სოფლის მეურნეობის სამინისტრო** - 2000-2007 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში თანამშრომლების რაოდენობა 87%-ით შემცირდა, რითაც შეიზღუდა ამ უწყების უფლებამოსილება განეხორციელებინა კანონით დადგენილი ძირითადი მოვალეობები. გაუქმდა 19 მარეგულირებელი და საინსპექციო უწყება და სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მუნიციპალური სამსახურები. **ბიუჯეტი** - 2012 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორი არ განიხილებოდა პრიორიტეტულად (თუმცა დეკლარირება ხდებოდა) და შესაბამისად, ამ სექტორისთვის გაწეული საბიუჯეტო ხარჯები ცვალებადი იყო. 2010 წელს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების აბსოლუტური მინიმუმი დაფიქსირდა. მათი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში მხოლოდ 0,44%-ს შეადგენდა. 2007-2010 წლებში სოფლის მეურნეობის

სამინისტროს ბიუჯეტიდან ძირითადად სოციალურად დაუცველ ფენებზე ორიენტირებული პროგრამებისთვის გამოიყოფოდა თანხა, რაც მოსახლეობის ფქვილით, სურსათითა და საწვავით ნაწილობრივ უზრუნველყოფას ხმარდებოდა.

თავი 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები

2.1. სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი, რაც საქართველოს მთავრობის, კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ძირითადი ვალდებულებაა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას, რომელიც სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს

ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას სიღარიბის, მათ შორის, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. აქედან გამომდინარე, უახლოესი წლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც მოსახლეობას ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სურსათით დააკმაყოფილებს. ასევე, ხელს შეუწყობს კონკურენტული უპირატესობის მქონე პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.

2012 წლიდან საქართველოში სოფლის მეურნეობა გამოცხადდა პრიორიტეტულ დარგად, რამდენიმეჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამელიორაციო სამუშაოებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენასა და მის გამოყენებას, მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელებას, პირუტყვის დაავადებებთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას, თანხების გამოყოფას ისეთი ლაბორატორიების შესაძენად, რომელთა ტექნიკური აღჭურვილობაც საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციას.

2013-2014 წლების განმავლობაში მთავრობის ძალისხმევით და კერძო სექტორის, ასევე, დონორი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შედეგად შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ტენდენციები წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მიმდინარეობს მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში, პოზიტიურ გავლენას მოახდენენ სექტორის მდგრად განვითარებაზე.

- შეიქმნა სსიპ **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო**, რომელიც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას, მათ მფლობელობაში არსებული მიწების დამუშავებასა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.
- შეიქმნა ა(ა)იპ **„პროექტების მართვის სააგენტო“**, მისი საქმიანობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება საბანკო სექტორის მიერ.
- ჩამოყალიბდა სსიპ **„სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“**, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების, მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, მცენარეთა ჯიშების გამოცდისა და სასელექციო სადგურების აღდგენა, ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერებისა და სანაშენე საქმიანობის ხელშეწყობა, თესლისა და სარგავი მასალის სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის შემუშავება, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასების

უზრუნველყოფა, ბიომეთოდების შემუშავება და ბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ექსტენცია და სხვ.

➤ 2013-2014 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის დამუშავებული ფართობები, რაც შესაბამისი მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელებით იყო განპირობებული, მაგრამ, თუ ასეთ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს ხანგრძლივ პერიოდში კერძო სექტორის ინიციატივა არ ჩაანაცვლებს, მიღწეული შედეგების შენარჩუნება გართულდება.

➤ 2014 წლიდან დაიწყო ვენახების კადასტრის მასშტაბური პროექტის განხორციელება, რომელიც ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს მოწესრიგებას ისახავს მიზნად. ვენახების კადასტრის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს საქართველოს ვენახების სრული აღრიცხვა და რეგისტრაცია ნაკვეთების მიხედვით.

➤ 2013 წელს დაწყებული სისტემური ღონისძიებების შედეგად, რაც არსებული საგარეო ბაზრების დივერსიფიკაციას და ახალი ბაზრების მოძიების ღონისძიებებს გულისხმობს, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნიდან ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა და ასორტიმენტი. კერძოდ, 2000 წელს ექსპორტის ღირებულებამ 93 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2013 წელს - 775 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2018 წელს 1 მლრდ დოლარს მიაღწევს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად და დასახული მიზნების მისაღწევად, 2015 წელს შემუშავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს, ძირითადი საშუალოვადიანი სტრატეგიული მიმართულებებისა და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია 7 ძირითადი მიმართულება და შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა

მიხედვით, შემუშავდება კონკრეტული სამოქმედო გეგმა, მათი განხორციელების ვადებისა და დაფინანსების წყაროების მითითებით (ლონისძიებების ჩამონათვალი და სამოქმედო გეგმა იხ. დანართი 1 და დანართი 2):

განვითარების სტრატეგიაში გამოიყოფა:

- 3.1. აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება
- 3.2. ინსტიტუციური განვითარება
- 3.3. მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება
- 3.4. რეგიონული და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა
- 3.5. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- 3.6. სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა
- 3.7. კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული პროექტები სოფლის მეურნეობის სექტორში

2013 წლიდან სახელმწიფო თანადაფინანსებით და ტექნიკური მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ შემდეგი პროექტები ხორციელდება:

	პროექტი	დაწყების წელი	სტატუსი
1	შეღავათიანი აგროკრედიტი	2013	მიმდინარე
2	გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი	2014	დასრულებული
3	შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი	2016	მიმდინარე
4	აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა	2016	მიმდინარე
5	ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა	2016	მიმდინარე
6	აგროდაზღვევა	2014	მიმდინარე
7	დანერგე მომავალი	2015	მიმდინარე
8	ახალგაზრდა მეწარმე	2018	დასრულებული

3.1. პროექტი “შეღავათიანი აგროკრედიტი”

პროექტის ბენეფიციარები: სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები.

პროექტის პირობები: ბენეფიციარები საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ აგროკრედიტს 7,000 – 5,000,000 ლარის ფარგლებში, ხოლო სოფლის მეურნეობის

პროექტების მართვის სააგენტო ბენეფიციარებს უფინანსებს კრედიტის პროცენტს ძირითადი თანხის წლიური 11 %-ის ოდენობით არაუმეტეს 66 თვის განმავლობაში.

3.2. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

3.3.1. გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი

პროექტის ბენეფიციარები: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი ახალი საწარმოები.

პროექტის მიზნობრიობა და ძირითადი პირობები: სახელმწიფო ბენეფიციარზე გასცემს პროექტის საინვესტიციო ღირებულების Max. 40 %-ის სიდიდის გრანტს (Max. 600,000 ლარი) და ბენეფიციარს უფინანსებს კრედიტის პროცენტს შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი თანხის წლიური 11 %-ის ოდენობით არაუმეტეს 66 თვის განმავლობაში. სტანდარტული პირობები: Max. 40 % გრანტი (Max. 600,000 ლარი), Max. 50 % კრედიტი (Max. 1,500,000 ლარი), Min. 10 % ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა. სპეციალური პირობები დაბალი ეკონომიკური აქტივობის რეგიონებისთვის: Max. 60 % გრანტი (Max. 600,000 ლარი), Max. 30 % კრედიტი (Max. 1,500,000 ლარი), Min. 10 % ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა.

3.3.2. შემნახველი საწარმოების კომპონენტი

პროექტის ბენეფიციარები: სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემნახველი ახალი საწარმოები (შემნახველი საწარმოს ტევადობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 200 ტონას).

პროექტის მიზნობრიობა და ძირითადი პირობები: სახელმწიფო ბენეფიციარზე გასცემს პროექტის საინვესტიციო ღირებულების 40 %-ის სიდიდის გრანტს (მაქსიმუმ 600,000 ლარი) და ბენეფიციარს უფინანსებს კრედიტის პროცენტს შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი თანხის წლიური 11 %-ის ოდენობით არაუმეტეს 66 თვის განმავლობაში. სტანდარტული პირობები: Max. 40 % გრანტი (Max. 600,000 ლარი), Max. 50 % კრედიტი (Max. 1,500,000 ლარი), Min. 10 % ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა. სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს თანამონაწილეობა არ მოეთხოვება.

3.3. აგროწარმოების ხელშეწყობის პროექტი

3.3.1. პირველადი წარმოების კომპონენტი

პროექტის ბენეფიციარები: ფერმერები და კომერციული იურიდიული პირები, რომელთაც სურთ არსებული ბაღების განახლება ან ახალი ბაღების გაშენება, სასათბურე მეურნეობების მოწყობა/განახლება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-აღჭურვილობის

შეძენა, ყინვისგან და სეტყვისგან დამცავი სისტემების შეძენა, მოსავლის პირველადი დამუშავება/გადამუშავებისათვის საჭირო დანადგარების შეძენა და მოსავლის პირველადი დასაწყობებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

პროექტის ძირითადი პირობები: ბენეფიციარი სახელმწიფოსგან იღებს თანადაფინანსებას პროექტის ჯამური ღირებულების 40 %-ის ოდენობით, ბენეფიციარის თანამონაწილეობა 60 %-ია. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სახელმწიფო თანადაფინანსების მაქსიმალური სიდიდეა 150,000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხა ლარებში, სხვა პირებისთვის - 15,000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხა ლარებში.

3.3.2. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტი

პროექტის ბენეფიციარები: კომერციული იურიდიული პირები, რომელთაც სურთ არსებული გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოების მოდერნიზაცია ან ახალი გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოების შექმნა.

პროექტის ძირითადი პირობები: ბენეფიციარი სახელმწიფოსგან იღებს თანადაფინანსებას პროექტის ჯამური ღირებულების 40 %-ის ოდენობით, ბენეფიციარის თანამონაწილეობა 60 %-ია. სახელმწიფო თანადაფინანსების მაქსიმალური სიდიდეა 100,000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხა ლარებში.

3.4. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა

პროექტის ბენეფიციარები: საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გავლურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, ჩაის გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნის ხელშეწყობა.

პროექტის ძირითადი პირობები: სახელმწიფო აფინანსებს ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 60-იდან 90-მდე %-ს (Max. 2,500 ლარი 1 ჰა-ზე), სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცემს ჩაის პირველადი დამუშავების მანქანა-დანადგარებს, მოწყობილობებსა და ინვენტარს.

3.5. პროექტი “ახალგაზრდა მეწარმე”

პროექტის ბენეფიციარები: რეგიონებში ახალი ბიზნესის დაწყების მსურველი ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა ასაკი შეადგენს 18-35 წელს მამაკაცების შემთხვევაში და 18-40 წელს ქალების შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომელთა დამფუძნებლები/მეპაიეები და გამგეობის თავმჯდომარე/დირექტორ(ებ)ი არიან 18-35 წლის მამაკაცები ან/და 18-40 წლის ქალები.

პროექტის ძირითადი პირობები: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს საქმიანობა. სახელმწიფოს თანადაფინანსება შეადგენს ბიზნეს-გეგმაში აღწერილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების Max. 40 %-ს (Max. 60,000 ლარი). პროექტის საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10,000 (ათი ათასი) ლარს.

3.6. პროექტი “დანერგე მომავალი”

3.6.1. ბაღების კომპონენტი

პროექტის ბენეფიციარები: თანამედროვე ბაღების გაშენების მსურველი ფერმერები და საწარმოები (ფართობის ზღვრებია 1 ჰა-20 ჰა).

პროექტის ძირითადი პირობები: სახელმწიფო ბენეფიციარებს აფინანსებს ნერგების ღირებულების 70 %-ით (თითოეული კულტურისათვის დადგენილია დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა) და სარწყავი სისტემების 50 %-ით (Max. 2,500 ლარი 1 ჰა-ზე). **კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტი** ითვალისწინებს კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი, ჟოლო, მაცვალი) ბაღის გაშენებისათვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის შექმნა/მონტაჟის და სხვა საჭირო მასალების ღირებულების 100 %-ით დაფინანსებას 0.15 ჰა-დან 0.5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე.

3.6.2. სანერგე მეურნეობების კომპონენტი

პროექტის ბენეფიციარები: სანერგე მეურნეობის შექმნის/განვითარების მსურველი ფერმერები და საწარმოები (სანერგე მეურნეობის წარმადობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50,000 ნერგს წელიწადში).

პროექტის ძირითადი პირობები: სახელმწიფო ბენეფიციარებს აფინანსებს პროექტით განსაზღვრული ღირებულების Max. 50 %-ით (Max. 150,000 ლარი).

3.7. პროექტი “აგროდაზღვევა”

პროექტის ბენეფიციარები და პირობები: 40-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებელი ფერმერები და საწარმოები (პროგრამა ფარავს ერთი ბენეფიციარის Max. 5 ჰა (მარცვლეულისთვის - Max. 30 ჰა) ფართობის მიწის ნაკვეთ(ებ)ზე მოყვანილი მოსავლის დაზღვევას). ბენეფიციარი იღებს სადაზღვევო პრემიის 70 %-იან თანადაფინანსებას ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა, რომლისთვისაც თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 50 %-ს.

3.8. ტექნიკური დახმარება

3.8.1. საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

პროექტის ბენეფიციარები: გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობის მიზნობრიობით დაფინანსებული ყველა ბენეფიციარი ვალდებულია ISO-22000 ან HACCP საერთაშორისო სტანდარტი დანერგოს.

პროექტის ძირითადი პირობები: სტანდარტის დანერგვის 30 %-ს აფინანსებს სახელმწიფო, ხოლო 70 % ბენეფიციარის წილია.

ჯამურად 2016-2018 წლებში ბენეფიციარებთან საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე 21 ხელშეკრულებაა გაფორმებული: ISO 22000-ის სერტიფიკატი 19-მა საწარმომ მიიღო, HACCP-ის სერტიფიკატი - 2-მა საწარმომ. 2018 წელს გაიცა 8 სერტიფიკატი (ყველა ISO 22000:2005).

3.8.2. სავალდებულო ტრენინგები პროექტისთვის “დანერგე მომავალი“

ტექნიკური დახმარების ფარგლებში 2017-2018 წლებში პროექტისთვის “დანერგე მომავალი“ 430 ბენეფიციარი გადამზადდა. აქედან, 2018 წელს ტრენინგი ჩაუტარდა 221 ბენეფიციარს.

3.8.3. მენეჯმენტის ტრენინგები

“ერთიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში დაფინანსებული ბენეფიციარებისთვის ჩატარებული სწავლების შედეგად 2018 წელს ზოგად მენეჯმენტში 44, ხოლო ფინანსურ მენეჯმენტში 32 ბენეფიციარი გადამზადდა.

პროექტების მართვის სააგენტოს გარდა, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს გარემოს დაცვისა

და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა სიპები და მათ მიერ განხორციელებული პროექტები. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ:

- 2013-2018 წლებში, საქართველოს მელიორაციის მიერ განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 253 პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება 177.4 მლნ ლარია. აღნიშნულის აქტივობის შედეგად, 2012 წლიდან 2018 წლამდე, წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 45 ათასი ჰა-დან 127 ათას ჰა-მდე გაიზარდა, ხოლო დრენირებული მიწის ფართობი 14 ათასი ჰა-დან 38 ათას ჰა-მდე გაიზარდა.
- სექტორის განვითარების მიზნით, სამინისტრო, კერძოდ, კოოპერატივების განვითარების სააგენტო, ფინანსურ დახმარებას უწევს და ანვითარებს კოოპერატივებს. აღნიშნული აქტივობის შედეგად, 2018 წლისთვის, ქვეყნის მაშტაბით რეგისტრირებულია 1,096 კოოპერატივი, სადაც გაერთიანებულია 11,067 მეპაიე, მოზიდულია კაპიტალი 34.1 მლნ ლარის ოდენობით და მობილიზებულია 23,500 ჰა მიწის ფართობი

დეტალურად საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის მთავარი სტრატეგიული მიმართულებები და ღონისძიებები შემდეგნაირად გამოიყურება:

სტრატეგიული მიმართულება 3.1: აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება

ღონისძიება 3.1.1 - ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ფერმერებისა და სოფლად დასაქმებულთა უნარებისა და შესაძლებლობების ამაღლება, რათა გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა.

ამჟამად, ფერმერების უმეტესობა ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე, მოძველებულ ტექნოლოგიებს იყენებს. მათთვის ხელმიუწვდომელია ინფორმაცია თანამედროვე აგროტექნოლოგიების შესახებ. სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც გააუმჯობესებენ ფერმერებთან კომუნიკაციას, განსაზღვრავენ

პრიორიტეტებს და უზრუნველყოფენ შესაბამის მომსახურებას. სამუშაო პროცესისა და მომსახურების გასაუმჯობესებლად, მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ფერმერებისა და დაინტერესებული პირების საჭიროებებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სოფლის მეურნეობის განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირთა ექსტენცია განისაზღვრა. ცენტრი, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევებსა და საქართველოს რეალობაზე მორგებულ საინფორმაციო/საექსტენციო პაკეტებს. აღნიშნულ პაკეტებში გათვალისწინებული იქნება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისათვის აუცილებელი, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკურენტუნარიანობისა და შემოსავლების გაზრდის ხელშეწყობი ღონისძიებები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და აპრობირებული მოდელების შესაბამისად მიეწოდებათ ფერმერებსა და აგროსასურსათო სექტორში დასაქმებულ პირებს. აღნიშნული მასალები სამიზნე ჯგუფებთან გავრცელდება ბეჭდური და საილუსტრაციო სახით. რეგიონებში მოეწეობა ლექცია-სემინარები, სადემონსტრაციო ნაკვეთები და სადემონსტრაციო დღეები. ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, სამეცნიერო წრეებთან (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით შემუშავდება სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია.

ღონისძიება 3.1.2 - პროფესიული სწავლების ხარისხისა და უმაღლესი განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობა აგრარულ სექტორში

აგრარული სექტორისთვის დამახასიათებელი იყო მრავალსაფეხურიანი განათლების სისტემა - აგრარული სასწავლებლების, უმაღლესი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახით, სადაც მზადდებოდა საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სპეციალისტები. დღეისათვის აღნიშნული სისტემა მოშლილია, რის გამოც მწვავედ დადგა აგრარული პროფილის სპეციალისტების ნაკლებობისა და სოფლის მეურნეობით ახალგაზრდების დაინტერესების პრობლემები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ჩატარდეს საქართველოს აგრარულ სექტორში პროფესიული განათლებისა და

გადამზადების პროგრამების საფუძვლიანი მიმოხილვა. განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები და შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, რაც გულისხმობს როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული გადამზადების სისტემის ჩამოყალიბებას.

ცალკეულ დარგებში, განსაკუთრებით, სადაც ტექნიკური უნარ-ჩვევების დეფიციტია, ახალგაზრდებისთვის სპეციალური წამახალისებელი ღონისძიებები შემუშავდება.

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგები გამიზნული იქნება მეწარმეთა პროფესიული დონის ამაღლებისა და დარგის სასწავლო მასალებით უზრუნველყოფისთვის.

აგრარულ სექტორში განათლებისა და კვლევის სისტემების გასაძლიერებლად სოფლის მეურნეობის სამინისტრო მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საქართველოს ეროვნულ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებთან, უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან, ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საერთაშორისო განათლებისა და კვლევით ორგანიზაციებსა და შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ღონისძიება 3.1.3 - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება და მიწათსარგებლობაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარებისათვის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის რაციონალური მართვა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კადასტრის არსებობა, მიწათსარგებლობის თანამედროვე გეოინფორმაციული სისტემის დანერგვა და საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება.

მიწის სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს მიწის კონსოლიდაცია წარმოადგენს. ამ მიმართულებით არსებობს მთელი რიგი ხელის შეშლელი ფაქტორები, როგორებიცაა: რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სიმცირე, შეუსაბამოები ნაკვეთების რეგისტრაციის დროს, ნიადაგის ხარისხობრივი შეფასების მონაცემების, მიწის კონსოლიდაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოსა და შესაბამისი ინსტიტუციური ერთეულის არარსებობა.

შემუშავდება მიწის კონსოლიდაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, განხორციელდება კონსოლიდაციის საცდელი პროექტები, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის საფუძველზე, გაუმჯობესდება მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობა. დაინერგება მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემა (ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი „მიწის ნაკვეთის იდენტიფიკაციის სისტემის“ (LPIS-Land Parcel Identification System) ანალოგი, რომელიც თვისობრივად და ხარისხობრივად ამაღლებს ინფორმირებულობის დონეს, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამარტივებას და გამჭვირვალობას, დროისა და ადამიანური რესურსების რაციონალურ ხარჯვას, მიწის კონსოლიდაციის პროცესის დაგეგმვას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ექსპერტებისა და დონორი ორგანიზაციების ჩართულობა.

ღონისძიება 3.1.4. - სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების შესაბამისი პირობების შექმნა/განვითარება

სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესის სფეროში არსებული რისკების გათვალისწინებით, აგროსესხებზე საპროცენტო განაკვეთები ჯერ კიდევ მაღალია. სათანადოდ განვითარებული არ არის სალიზინგო მომსახურება, რაც სხვა ქვეყნებში კერძო სექტორის დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საკრედიტო და სალიზინგო სისტემების განვითარებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით. 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ განხორციელება, რომელიც ფერმერებისა და აგროსასურსათო სექტორში ჩართული სხვა მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი რესურსებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურული სიმძლავრეების ზრდას (სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობები, სასაკლაოები, აგრარული საცალო და საბითუმო ბაზრები, რძის შემგროვებელი პუნქტები, ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები და სხვა.) და სასოფლო-სამეურნეო დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული საწარმოო ციკლის ინტეგრაციის პროცესებს.

სამინისტრო გააგრძელებს მუშაობას სესხის გაცემის არსებული პრაქტიკის დახვეწისა და პროცედურების გამარტივებისთვის. ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ამაღლება სასოფლო-სამეურნეო სფეროს დაკრედიტებაზე მომუშავე თანამშრომლების კვალიფიკაცია. ჩატარდება შესაბამისი ტრენინგები საკრედიტო ოფიცრებისა და ფერმერებისათვის. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომლები აქტიურად ჩაერთვებიან სესხის ასაღებად საჭირო პროცედურების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

ღონისძიება 3.1.5 - სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარება

აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად აგრო-დაზღვევის განვითარება მიიჩნევა. გამომდინარე იქიდან, რომ აგრორისკების დაზღვევა დაზღვევის ერთ-ერთი რთული სახეობაა და აგრონომიული სფეროს ღრმა ცოდნას მოითხოვს, სადაზღვევო კომპანიები თავს იკავებენ მსგავსი მაღალრისკიანი პროდუქტის ბაზარზე ოპერირებისგან, ამას ემატება ისიც, რომ ძალიან მწირია სტატისტიკური მონაცემები და ანალიტიკური ინფორმაცია, რაც ართულებს დაზღვევის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას. ქვეყანაში ფერმერთა უმეტესობა მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელია, რაც ზრდის სადაზღვევო კომპანიების დანახარჯებს, შესაბამისად, მათ შედარებით მსხვილი მეურნეობების მესაკუთრებთან ურთიერთობა ურჩევნიათ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო აფინანსებს სადაზღვევო პრემიის მნიშვნელოვან ნაწილს.

სადაზღვევო სისტემის დახვეწის მიზნით, ჩატარდება მსოფლიოში აპრობირებული აგროდაზღვევის სისტემების მიმოხილვა. გაანალიზდება საპილოტე პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგები და კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად დაიხვეწება არსებული პროგრამა.

სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელებას და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს რისკების მართვის მექანიზმების დახვეწას (მაგ: მელიორაციული, სექცვის, ეროზიის საწინააღმდეგო და სხვა ღონისძიებები) და აგროსადაზღვევო ბაზრის შემდგომ განვითარებას.

ღონისძიება 3.1.6 - სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა

სასოფლო-სამეურნეო დარგის კოოპერაციის საწყისებზე დაფუძნებული ინსტიტუციური მოწყობა მიმდინარე პერიოდში ყველაზე ეფექტიან სისტემას წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის ზრდას და ფერმერებისთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის წარმოების საშუალებებს, მომსახურებასა და რეალიზაციას. კოოპერატივების აქტიური მუშაობა სახელმწიფოს ეფექტიანი, სისტემური და შედეგზე ორიენტირებული მხარდაჭერის შემთხვევაში ფუნდამენტს ჩაუყრის საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში ისეთი ძირითადი მიდგომების რეალიზაციას, როგორცაა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლება და რაოდენობის ზრდა; რეალიზაციის (როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე) მაჩვენებლების ზრდა. კოოპერაციის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები მოიცავს კოოპერატივების ფარგლებში აგრარული წარმოების მთლიანი სისტემის განვითარებას (ერთიანი საწარმოო ციკლი): პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამამუშავება, შეფუთვა, შენახვა, რეალიზაცია, ასევე დაფინანსება და წევრთათვის მომსახურების გაწევა. პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და კოოპერატივის წევრები მიიღებენ საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოსავლებს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლის ამოქმედება წარმოადგენს საწარმოო რისკების შემცირების ერთ-ერთ საუკეთესო მექანიზმს, რომელიც იძლევა კარგ საშუალებას, ტიპური საბანკო-კომერციული კრედიტის სოფლის მეურნეობისთვის არსებული ფორმა შეიცვალოს ფინანსური მხარდაჭერის სხვადასხვა სქემით ან მათი კომბინირებული მოდელის გამოყენებით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ასევე გააჩნიათ სიღარიბის დაძლევის საუკეთესო პლატფორმა. კოოპერაციის განვითარება აუმჯობესებს მოწყვლადი ჯგუფების, კოოპერატორ ქალთა და ახალგაზრდა ფერმერთა ჩართულობას სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უმრავლესობა დღეს მწვავედ განიცდის საჭირო ინფორმაციის სიმცირეს, რომელიც მათ დაეხმარება საკუთარი საქმიანობის უკეთ დაგეგმვასა და მოსალოდნელი შედეგების უკეთ პროგნოზირებაში. სტრატეგიის აღსრულების ფარგლებში ჩამოყალიბდება სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების

განვითარების სააგენტოს“ ეფექტიანი, მობილური და მოქნილი კომუნიკაცია კოოპერატივებთან, სამიზნე ჯგუფებსა და საზოგადოებასთან, ასევე კოოპერაციის პოპულარიზაციის მიზნით, გააქტიურდება მუშაობა მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან, ბიზნეს ორგანიზაციებსა და სხვა პირებთან.

ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტიმულირებისა და ხელშეწყობის მიზნით, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ განახორციელებს ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემებისა და სპეციალური „საინფორმაციო ბანკის“ დანერგვას, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაუიოლებს ყველა იმ სახის საქმიანობას, რომელიც უკავშირდება პროდუქციის წარმოებას, მარკეტინგს, ფინანსური აღრიცხვიანობის წარმოებას, აგრობიზნესის დაგეგმვას და სხვ.

განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, როგორც სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ წევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირად გარდასაქმნელად, ასევე კოოპერატივების თანამშრომლობის ხელშემწყობი მდგრადი სტრუქტურების ჩამოსაყალიბებლად.

პრიორიტეტად წარმოდგენილი იქნება კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, მათ შორის, უზრუნველყოფილი იქნება კოოპერატივის წევრთა/ მენეჯმენტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები, კოოპერატივების მარკეტინგული შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერის პროექტები და სხვა. განხორციელდება იმ კავშირების გაძლიერება, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან და წარმოაჩინონ ფერმერები ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ასპარეზზე.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ დასაბამი მისცა აგრარული სექტორის ახლებურ, რაციონალურ, ორგანიზაციულ მოწყობას, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. თუმცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების დინამიკამ, ასევე სტრატეგიაში ასახული ღონისძიებების გატარების საჭიროებამ და საერთაშორისო გამოცდილებამ ცხადყო, რომ აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

ღონისძიება 3.1.7 - სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება

საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ფერმერთა და სოფლად მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა. ამისათვის აუცილებელია კერძო სექტორთან, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, სპეციალიზირებულ ფონდებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და დონორ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა, ისეთი ინოვაციური, მდგრადი და ქმედითი მოდელების შემუშავება, რომლებიც სტიმულს მისცემენ სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვას.

სოფლის მეურნეობის სექტორის პოპულარიზაციის ხელშესაწყობად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ითანამშრომლებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო სავაჭრო სააგენტოებსა და პოტენციურ ინვესტორებთან. ცალკეული რეგიონებისთვის საინვესტიციო შესაძლებლობების გამოსავლენად ჩატარდება კვლევები, მომზადდება ბეჭდური და ელექტრონული საინფორმაციო პაკეტები, რომლებშიც ასახული იქნება ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი. აღნიშნული ინფორმაციას წარადგენენ და გაავრცელებენ სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაზე, ფორუმზე, კონფერენციაზე და ორმხრივი შეხვედრებისას.

ღონისძიება 3.1.8 - ეროვნული სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და მარკეტინგული პროგრამის განხორციელება

ამჟამად საქართველოში მოხმარებული სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებულია, მაშინ როდესაც ქვეყანას შესაძლებლობა აქვს, გარკვეული სახის პროდუქციით დააკმაყოფილოს არა მხოლოდ შიდა ბაზრის მოთხოვნა, არამედ გახდეს აგრარული პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მჭიდროდ ითანამშრომლებს კერძო სექტორთან, რათა ხელი შეუწყოს ქართული კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოების გაფართოებასა და მის რეკლამირებას პოტენციურ მყიდველებთან და მომხმარებლებთან, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

ადგილობრივი პროდუქციის რეკლამირება განხორციელდება მედიასაშუალებებით და მომზადდება საინფორმაციო ტიპის ბუკლეტები. ქართველ ფერმერებსა და მეწარმეებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გამოფენებში.

გაუმჯობესდება ურთიერთობები საქართველოსა და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციებს შორის. ქართული დიასპორის წარმომადგენლებისა და დიასპორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ქართული სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი პროდუქციის, ასევე მათი ადგილწარმოშობის დასახელებათა და გეოგრაფიული აღნიშვნების პოპულარიზაციას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

გამოვლინდება და შემცირდება აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორები. ხელი შეეწყობა ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გამოვლენას. ამ მიზნით მოხდება საქართველოსთვის პოტენციური ბაზრების შესწავლა, მიზნობრივ საექსპორტო ბაზარზე არსებული მოთხოვნის კვლევა, ბაზარზე შეღწევის სპეციფიკის ანალიზი, კონკურენტების დახასიათება, ტრანსპორტირების ხარჯების დადგენა, საბაჟო პროცედურების მიმოხილვა და სხვა.

მეღვინეობის სფეროში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია. შემუშავებულია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები და მარკეტინგული სტრატეგიის გეგმები, რომელთა საფუძველზე ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილია ქართული ღვინის ბრენდ-პლატფორმის შექმნა და შესაბამისი გზავნილების გავრცელება სტრატეგიული ბაზრების მოთხოვნილებისა და მომხმარებლის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით. მსგავსი სახის ღონისძიებების განხორციელება იგეგმება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც.

სტრატეგიული მიმართულება 3.2: ინსტიტუციური განვითარება

ღონისძიება 3.2.1. - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება, პერსონალის მართვისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაძლიერება

სამინისტრომ უნდა აამაღლოს თავისი ქმედითობა, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის ეფექტიან განხორციელებას. შესაბამისად, დაიხვეწება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურა, სამინისტროში შემავალი უწყებებისა და რეგიონალური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ჩათვლით. მკაფიოდ განისაზღვრება სამინისტროს აპარატში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და დაქვემდებარებული უწყებების უფლებამოსილებები. მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებული ღონისძიებების

თანმიმდევრული შესრულების უზრუნველსაყოფად, ჩატარდება შესრულებული სამუშაოების ყოველწლიური მიმოხილვა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაინერგება თანამშრომელთა შეფასების თანამედროვე სისტემა, რომლის მიზანია შესრულებული სამუშაოს ხარისხის ამაღლება და თითოეული თანამშრომლის საქმიანობის პროდუქტიულობის გაზრდა.

შეფასდება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების საჭიროებები. პრიორიტეტები განისაზღვრება სამინისტროს სამოქმედო გეგმის შესაბამისად. შემუშავდება ადამიანური რესურსების გაძლიერების სამოქმედო გეგმა, რაც გულისხმობს პერსონალის, როგორც სამუშაო ადგილზე გადამზადების პროცესს, ასევე შესაბამის სემინარებში მონაწილეობის შესაძლებლობას. შეიქმნება სასწავლო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს და მასში შემავალი უწყებების პერსონალის გადამზადებას.

ღონისძიება 3.2.2 – საბაზრო ინფორმაციული სისტემის შექმნა, მონაცემთა შეგროვების, დამუშავების და აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის ეფექტიანად მიწოდება

ბაზრის საინფორმაციო სისტემის არსებობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოქმედი ფერმერების, მეწარმეების და ექსპორტიორების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. საინფორმაციო სისტემის და შესაბამისად, ბაზარზე არსებული ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში, წარმოების ჯაჭვის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი არაკონკურენტულ გარემოში ხვდება. ეს, პირველ რიგში, ეხება ადგილობრივ ფერმერებს, რომლებიც არ ფლობენ ინფორმაციას მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ფასების, ხარისხზე მოთხოვნების, ბაზრის ზოგადი ტენდენციებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, პროდუქტების, ფასების, მომწოდებლებისა და ბაზრის კონიუნქტურის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და მისი ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, ჩატარდება სისტემატური კვლევები და მომზადდება შესაბამისი რეკომენდაციები. სამინისტრო, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, სწორი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის ითანამშრომლებს კერძო სექტორთან. ასევე, ფერმერებს მიეწოდებათ ინფორმაცია საექსპორტო ბაზრებზე პროდუქციის გატანასთან დაკავშირებული აუცილებელი სტანდარტებისა და მოთხოვნების შესახებ, რაც

ითვალისწინებს საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებს და ამ შეთანხმებებით წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე მუდმივად და სისტემურად მოახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის ანალიზს, საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შესწავლის მიზნით.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო საჭიროებს ინფორმაციული სისტემის განახლებას და მონაცემთა ბაზების ხარისხის ამაღლებას. გაუმჯობესდება მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა, სტატისტიკური ბაზის საერთო ხარისხი და სიზუსტე, ასევე მონაცემთა გაცვლისა და დამუშავების ანალიტიკური შესაძლებლობები. აქცენტი გაკეთდება შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ტენდენციების ანალიზზე, პროგნოზირებასა და რიცხვითი მასალის ვიზუალიზაციაზე. შეგროვდება ინფორმაცია გენდერულ ჭრილში შემდგომში დეტალური ანალიზის ჩასატარებლად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობის შედაგად, გაუმჯობესდება სოფლის მეურნეობის დარგის შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

ღონისძიება 3.2.3 - ფერმერთა რეესტრის შექმნა

საქართველოში არ არსებობს ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემა, რომლის შექმნის მიზანი მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობასთან, ფართობსა და აქტივობის ტიპთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვაა. მსგავსი სისტემის შექმნა, ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონკრეტული განვითარების პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებას. გაუმჯობესდება კომუნიკაცია ფერმერებს, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მიმწოდებლებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ მოქმედი კანონმდებლობით, არ არის განსაზღვრული მიწათმოსარგებლის/ფერმერის სტატუსი, აქედან გამომდინარე, შეიქმნება სპეციალური კომისია და შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე შემუშავდება ფერმერის სტატუსის მინიჭებისა და რეგისტრაციის წესი.

რეგისტრაციის პროცესის გასამარტივებლად, ფერმერებისთვის მოეწყობა სემინარები და მიეწოდებათ ინფორმაცია. გაუმჯობესდება ფერმერებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს, გამყიდველებსა და მიმწოდებლებს შორის კომუნიკაცია. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდება

სპეციალური ელექტრონული პროგრამა და ოპერატორებს ჩაუტარდება შესაბამისი ტრენინგი.

ღონისძიება 3.2.4 - სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დონორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის კოორდინაციის განმტკიცება/გამლიერება

სამინისტრო აღიარებს და აფასებს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას და ძალისხმევას საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად ცხოვრების დონის ამაღლების მიმართულებით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მათი რეკომენდაციების, გამოცდილებისა და წარმატებული მაგალითების გაზიარებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, კოორდინაციას გაუწევს დონორებთან ურთიერთობას.

მოეწეობა დონორთა საკოორდინაციო კომიტეტები და გაძლიერდება დონორების, კერძო სექტორისა და ფერმერთა მონაწილეობით შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში კერძო სექტორის ჩართულობას.

სტრატეგიული მიმართულება 3.3: მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება

ღონისძიება 3.3.1 - სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემების გაუმჯობესება

საქართველოს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მიწების მელიორაცია, სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობა, ექსპლუატაცია და მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან სფეროს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ინტენსიური და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების შექმნა. აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით მშრალი კლიმატი მოითხოვს ირიგაციის ფართო გამოყენებას, ხოლო დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში საჭიროა ჭარბი წყლის მოცილება სადრენაჟო სისტემების მეშვეობით.

სამელიორაციო სისტემების ტექნიკური მდგომარეობის გაუარესების შედეგად შემცირდა მელიორირებული ფართობები. საქართველოში თვითდინებით მორწყული ფართობების რაოდენობა დაახლოებით 280 ათ. ჰექტარს, ხოლო დამშრობილი ფართობი 105 ათ. ჰექტარს შეადგენდა. თუმცა წლების განმავლობაში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე

ვითარებამ, ასევე დარგის მიმართ არასათანადო დამოკიდებულებამ, საბოლოო ჯამში, დარგის ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილის განადგურება გამოიწვია, რამაც მიგვიყვანა იმ შედეგებამდე, რომ 2012 წლისთვის წყალუზრუნველყოფილი იყო 45 ათასი ჰექტარი, ხოლო ჭარბი წყლის მოცილება ხორციელდებოდა 14 ათას ჰექტარზე. 2012-2014 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებების (სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო სამუშაოები) შედეგად წყალუზრუნველყოფილი ფართობები გაიზარდა 88 ათას, ხოლო დაშრობილი - 25 ათას ჰექტრამდე. 2020 წლამდე იგეგმება გასარწყავებელი და დაშრობილი ფართობების რაოდენობის გასამმაგება.

სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციითა და მოდერნიზაციით ტექნიკური ღონის ამაღლება და მათი ეფექტიანი ფუნქციონირების ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სრულყოფა. ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებები გულისხმობს შემდეგს: ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავებისა და სარწყავი სისტემების მშენებლობას და რეაბილიტაციას; დამშრობი სისტემების რეაბილიტაციას; სარწყავი წყლის ეფექტიანი გამოყენებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მართვის მიდგომების დეტალური კვლევების განხორციელებას; ჰიდრომეტრიული სამსახურის სრულყოფას; წვეთოვანი და დაწვიმებითი მორწყვის სისტემების აღდგენის პროცესის ხელშეწყობას; წყლის რესურსების ოპტიმალური და სამართლიანი განაწილებისა და სატარიფო სისტემის სრულყოფას და ოპტიმიზაციას; წყალმომხმარებელთა ჯგუფების ჩართვას შიდასამეურნეო სისტემების სარეაბილიტაციო და მოვლა-შენახვის პროცესში; ფერმერთა ორგანიზებას და ინსტიტუციური გაერთიანების ხელშეწყობას; გეოინფორმაციულ მონაცემთა ბაზის სრულყოფას; პროგრამულ უზრუნველყოფას; ბილინგვის სისტემის (მომსახურებაზე ხელშეკრულების გაფორმებისა და საფასურის გადახდის აღრიცხვის სისტემა) გაუმჯობესებას; მელიორირებული ფართობების კადასტრის მომზადებას და მდგომარეობის მონიტორინგის უზრუნველყოფას.

დარგის რეფორმირებისთვის, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის მისაღწევად, უმთავრესი პრიორიტეტია შპს „გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ კომერციალიზაცია და მომგებიან ორგანიზაციად გარდაქმნა.

საბოლოო ჯამში, სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის მიზანს წარმოადგენს სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება, დატბორილი და

დაჭაობებული ტერიტორიებიდან ჭარბი წყლების მოცილება, სამელიორაციო მომსახურების არეალის გაზრდა და ნიადაგში მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა, რამაც თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენების პარალელურად უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი და გარანტირებული მოსავლის მიღება.

ღონისძიება 3.3.2. - ნიადაგების რაციონალური გამოყენება

ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ქვეშ არსებული ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლა (ინვენტარიზაცია), მიღებული შედეგების საფუძველზე სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება. შესაბამისად, ჩატარდება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ქვეშ არსებული ნიადაგის სავსე და ლაბორატორიული კვლევები, რაც ხელს შეუწყობს მის ეფექტიან გამოყენებას. ნიადაგების შეფასება ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიწის კონსოლიდაციის პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ნიადაგების ეროზიისგან დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ქარსაფარი ზოლების აღდგენის საკითხი. აქედან გამომდინარე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებით, შემუშავდება ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გამიჯნული იქნება შესაბამის უწყებებს შორის კომპეტენციები და მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.

საქართველოს ნიადაგური საფარის ინვენტარიზაციის განხორციელებისთვის საჭიროა სათანადო რაოდენობით ლაბორატორიული ბაზებისა და საკადრო რესურსების არსებობა. შესაბამისად, სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ ბაზაზე შეიქმნება თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია. ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის დაინერგება უსაფრთხო/პროგრესული ტექნოლოგიები და დაიხვეწება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დეგრადირებული ნიადაგების (დამლაშებული, მჟავე, ეროზირებული, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისას დაზიანებული და დაბინძურებული) გამოკვლევას და მათი ნაყოფიერების აღდგენა - გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავებას, ფერმერულ

და სხვა სახის მეურნეობებში მის პოპულარიზაციას და სპეციალური მიზანმიმართული სახელმწიფო პროგრამების გამოყენებით, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე დანერგვას. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დღევანდელი მსოფლიო პრობლემას - კლიმატის ცვლილებას და მის გავლენას ნიადაგების დეგრადაციისა და გაუდაბნოების პროცესებზე. ჩატარდება სპეციალური კვლევები აღნიშნული ნიადაგების ნაყოფიერების ცვლილებებისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებების შესამუშავებლად.

სტრატეგიული მიმართულება 3.4: რეგიონალური და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა

ღონისძიება 3.4.1 - რეგიონებისთვის სოფლის განვითარებისა და პრიორიტეტულ დარგებში ინვესტირების გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების აუცილებლობა. სოფლის განვითარება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მაგალითად, ინფრასტრუქტურაზე, რომელიც არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვისაა საჭირო, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობაზე, აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვადასხვა უწყებასთან ერთად, ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის შედეგად, შეიმუშავებს სოფლის განვითარების პოლიტიკას, სადაც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თავისებურებები. ჩამოყალიბდება ერთიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში განსახორციელებელ ღონისძიებებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მაღალმთიანი და სასაზღვრო რეგიონების განვითარებისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზონების გათვალისწინებით, შეიქმნება და განხორციელდება შესაბამისი დარგობრივი პროგრამები.

ცხადია, საკუთრივ სოფლის მეურნეობა ვერ შეძლებს სოფლად მცხოვრებთათვის საკმარისი რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნას. ამიტომ, მთავრობა გეგმავს ხელი შეუწყოს სოფლად არასასოფლო-საწარმოების განვითარების წახალისებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მომსახურება, გადამამუშავებელი საწარმოები, აგროტურიზმი

და სხვ.; გამოვლინდება და გავრცელდება წარმატებული ინიციატივები რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე, ასევე გათვალისწინებული იქნება ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ითანამშრომლებს სხვა სახელმწიფო უწყებებთან, ამ სქემების რეალიზებისათვის საჭირო ტექნიკური და ფინანსური პროგრამების შესამუშავებლად.

თითოეული რეგიონისთვის ჩატარდება კაპიტალდაბანდების შესაძლებლობებისა და საწარმოო პრაქტიკის დეტალური კვლევა. კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი გახდება ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, პოტენციური ინვესტორებისათვის. პროცესების განვითარების შესაბამისად, კვლევები რეგულარულად განახლდება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დარგობრივი და რეგიონალური პროგრამების შემუშავებას, რომლებშიც პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, გათვალისწინებული იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა, ისტორიულ-კულტურული თავისებურებები და სხვ.

ღონისძიება 3.4.2 - საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყობისა და მათი განვითარების რეგიონულ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემებისადმი მიდგომა ახლებურ ხედვასა და გადაწყვეტას მოითხოვს. ამ მიმართულებით გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და საბაზრო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოთხოვნები.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააანალიზებს და შეაფასებს დარგებს მათი საექსპორტო და იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალის, ასევე სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით და შეიმუშავებს სპეციალურ პროგრამებს მათი განვითარების სტიმულირებისათვის. მომზადდება არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზი და განისაზღვრება გასატარებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა.

შეზღუდული რესურსების პირობებში, წარმატების მიღწევის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს პრიორიტეტების სწორად შერჩევა. ჩატარებული დარგობრივი კვლევებისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება პირველ ეტაპზე გასატარებელი ღონისძიებები და შემუშავდება დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა.

ღონისძიება 3.4.3 - ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სქემების განვითარების მხარდაჭერა

ინტელექტუალური საკუთრების (საქპატენტი) სააგენტოსთან ერთად სამინისტრო აქტიურად მუშაობს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მიმართულებით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულია გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმება, რომელიც ძალაშია 2012 წლის აპრილიდან. საქართველოს მიერ უკვე რეგისტრირებულია 18 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო, 3 მინერალური წყალი, 14 სახეობის გეოგრაფიული აღნიშვნის ყველი, ჭაჭა და ჩურჩხელა.

ქართული პროდუქციის მხარდაჭერის მიზნით, ევროკავშირთან, დსთ-სა და მსხვილ საექსპორტო ქვეყნებთან გაფორმებულია შეთანხმებები გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის პროდუქტების დასაცავად და ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც გრძელდება.

ამჟამად, ინერგება გეოგრაფიული აღნიშვნების სქემების განვითარებისა და პროდუქტის ბრენდინგის საერთაშორისო პრაქტიკა. მომზადდება და გავრცელდება საინფორმაციო ცნობარი. კერძო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად, შესაბამისი პროდუქტებისათვის შემუშავდება გეოგრაფიული აღნიშვნების სქემები და ქართული ბრენდების ნუსხა, რაც ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე მათი პოტენციალის დადგენის, სავაჭრო ნიშნებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას. ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისაახლოებლად განახლდება ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, მათ შორის: საქართველოს კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“, საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, შეიქმნება კერძო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული თვითრეგულირებადი ორგანიზაციები, ისინი თავად დაადგენენ შესაბამისი ლიცენზირების მოთხოვნებს, რომლებსაც სამინისტრო დაამტკიცებს.

ღონისძიება 3.4.4 - თესლისა და სარგავი მასალის წარმოების განვითარების მხარდაჭერა

აგრარული სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია თესლისა და სარგავი მასალის წარმოების განვითარება. ერთწლოვანი კულტურების სელექცია და მეთესლეობა წარმოადგენს უფრო ხელმისაწვდომ და შედარებით ნაკლებდანახარჯიან საშუალებას სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციაში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა დამოკიდებულია მაღალრეპროდუქციული თესლისა და სარგავი მასალის გამოყენებაზე. ქვეყანა განიცდის ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის დეფიციტს. დღეისათვის გამოიყენება მასობრივი რეპროდუქციის სათესლე მასალა, რაც მოსავლიანობის მკვეთრად შემცირებასა და წარმოებული პროდუქციის დაბალ ხარისხს განაპირობებს. ადგილობრივი თესლის ძირითადი მწარმოებლები (მინდვრის კულტურები - ხორბალი და სიმინდი) სარეალიზაციოდ აწარმოებენ მხოლოდ 500 ტონა თესლს, როდესაც, ექსპერტების შეფასებით, მოთხოვნა 7 ათას ტონას შეადგენს⁷. აუცილებელია გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები მეთესლეობის სექტორის აღდგენის მიმართულებით.

შეიქმნება საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობებისთვის შესაბამისი თესლის/სარგავი მასალის შეფასების კატალოგი, რომელიც სერტიფიცირების სისტემის დანერგვასთან ერთად გახდება სექტორის რეაბილიტაციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. ასევე შესაძლებელი გახდება მცენარეთა ადგილობრივი სახეობებისა და ჯიშების შენარჩუნება-განვითარება.

თესლისა და სარგავი მასალის წარმოების სქემები დაეფუძნება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს. შეფასდება მათი წარმოების არსებული ტექნოლოგიების ხარჯები და სარგებლიანობა, რის საფუძველზეც მომზადდება ინფორმაცია ფერმერთა და ინვესტორთათვის. ასევე შემუშავდება სახელმძღვანელოები, რომლებშიც განხილული იქნება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. ფერმერები და ფერმერებთან მომუშავე კონსულტანტები გაივლიან ტრენინგს თესლისა და სარგავი მასალის წარმოებისა და სერტიფიცირების საკითხებში. მოეწყობა საველე დემონსტრაციები და ვიზიტები, რაც ახალი ჯიშების გაცნობის კარგი შესაძლებლობა იქნება.

ღონისძიება 3.4.5 - თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესის მხარდაჭერა

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის გარანტიას მათი სერტიფიცირების პროცესი უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, მომზადდება თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების არსებული მიდგომების დეტალური ანალიზი და შემუშავდება შესაბამისი ღონისძიებები ადგილობრივ ორგანიზაციებზე დაფუძნებული სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ამ ორგანიზაციებს უფლებამოსილებას მიანიჭებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნული სისტემა ჩართული იქნება საერთაშორისო ან/და ეროვნული აკრედიტაციის სისტემაში. ევროკავშირში მოქმედი მარეგულირებელი პრინციპების საფუძველზე დაიხვეწება საკანონმდებლო ბაზა თესლისა და სარგავი მასალების წარმოებისა და კონტროლის სფეროში, რომელიც საშუალებას მოგვცემს, სრულყოფილად ამუშავდეს თესლისა და სარგავი მასალების კონტროლი (როგორც იმპორტ-ექსპორტის, ასევე შიდა ბრუნვის დროს), რომლის ერთერთი შემადგენელი ნაწილია სერტიფიცირების სისტემა.

სერტიფიცირება და ჯიშთა გამოცდა განხორციელდება შესაბამისი ევროპული/საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიებისა და ინსტრუქციების გამოყენებით. შეიქმნება თესლის ხარისხის საგამოცდო ლაბორატორია და საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად ჩატარდება შესაბამისი სამუშაოები. შეიქმნება და მუდმივად განახლდება თესლისა და სარგავი მასალის კატალოგი. ინფორმაციის შეგროვების, დაინტერესებული პირების ინფორმირებულობის ამაღლებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით, ამოქმედდება საინფორმაციო ცენტრი.

ინსპექციის წარმომადგენელთა ტრენინგებისა და სავსე ინსპექტირების სისტემის შესაბამისი ლაბორატორიული შესაძლებლობების ზდის მეშვეობით განმტკიცდება თესლის/სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესი.

უზრუნველყოფილი იქნება კერძო სექტორის ჩართულობა უვირუსო თესლის/სარგავი მასალის სანდო და კონტროლს დაქვემდებარებული წარმოებისა და მონიტორინგის პროცესში, რაც ფერმერთათვის ხელმისაწვდომი სათესი/სარგავი მასალის საერთო ხარისხს გააუმჯობესებს. ფერმერებსა და დაინტერესებულ პირებს ჩაუტარდებათ ტრენინგი და მიეწოდებათ ინფორმაცია სერტიფიცირებული თესლის/სარგავი მასალის დადებით მხარესთან დაკავშირებით.

ამ მიზნებისათვის სათანადო აპარატურით აღიჭურვება სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თესლისა და სარგავი მასალის სტანდარტებისა და

სერტიფიცირების ლაბორატორია, გამოყენებული იქნება არსებული ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები, ერთწლოვანი და მრავალწლიანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზები (მცხეთა: ჯილაურა, წილკანი; ახალქალაქი და სხვა)

ღონისძიება 3.4.6. სანაშენე საქმის განვითარება

სანაშენე საქმიანობის უგულვებელყოფამ და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობამ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გენოფონდის დაკნინება გამოიწვია. არასახარბიელო ჯიშობრივ მონაცემებს ემატება კვების არაბალანსირებული, შეზღუდული რაციონი, რაც ცხოველთა დაბალპროდუქტიულობასა და დაავადებათა მიმართ არამდგრადობაში აისახება. შედეგად, ადგილობრივი, გაურკვეველი ჯიშის ფურის საშუალო წლიური წველადობა 1100-1200 ლიტრს, ხოლო ხორცის გამოსავლიანობა 45-50%-ს არ აღემატება. ხელოვნური განაყოფიერების სერვისი წარმოდგენილია ძალზედ შეზღუდულად და ხელმიუწვდომელია ცხოველთა მეპატრონეთათვის როგორც ფინანსურად, ისე ტერიტორიულად. ის, რომ ფერმერები ნაკლებად იცნობენ ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საკითხებს, აგრეთვე სუსტად განვითარებული კერძო ვეტერინარიული სერვისი, ზრდის ქვეყანაში ეპიზოოტიურ რისკებს და აფერხებს დარგის განვითარებას.

ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზების, სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მოძიებას, შესწავლას, აღდგენასა და გაუმჯობესებას, გენეტიკური და საინფორმაციო ბანკების შექმნას; ცხოველთა და ფრინველთა ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით, ხელი შეეწყობა ფერმერული სანაშენე მეურნეობების შექმნას, სანაშენე აღრიცხვის ერთიანი სისტემისა და ყველა რეგიონში სანაშენე საქმისა და ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სერვისცენტრების ჩამოყალიბებას.

შეირჩევა ადგილობრივი ჯიშების მოშენების მეთოდები, გამოიზრდება სანაშენე მწარმოებლები, ბიოტექნოლოგიის თანამედროვე მეთოდების მეშვეობით ადრეულ ასაკშივე შეფასდება გენოტიპი და შემდგომი გამოყენებისათვის გამოვლინდება პოტენციური გამაუმჯობესებელი მწარმოებლები.

გამოიცდება მაღალინტენსიური მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობისათვის ქვეყანაში შემოყვანილი ცხოველთა მაღალპროდუქტიული ჯიშები და შემუშავდება მათი ზონალური გადაადგილების რეკომენდაციები.

შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ჯიშების გაუმჯობესების სასელექციო პროგრამები და ჯიშების ახალი სტანდარტები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ცხოველთა და ფრინველთა ადგილობრივი და შემოყვანილი ჯიშების გავრცელების ზონებში ეპიზოოტიური სიტუაციებისა და ინვაზიური დაავადებების შესწავლასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

მეცხოველეობისათვის მყარი საკვები ბაზის შესაქმნელად მოხდება ბუნებრივი სათიბ-სამძვრების შესწავლა და სახეობათა მრავალფეროვნების შენარჩუნება, ახალი საკვები კულტურების დივერსიფიკაცია და ეკოლოგიურად უსაფრთხო საკვების წარმოება.

ხელმძღვანელობა გაეწევა ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკოსების მომზადებასა და სანაშენე საქმის სპეციალისტების კვლიფიკაციის ამაღლებას. მოხდება საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების სპეციალისტების ექსტენცია ფერმერების ცოდნის ამაღლების მიზნით.

ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების შესწავლის, რეაბილიტაციისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით სათანადოდ აღიჭურვება სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტის ზოოვეტერინარული ლაბორატორია.

ღონისძიება 3.4.7 - მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა)

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, აგრარული პროდუქცია მოსავლის აღების შემდგომ მოითხოვს პირველად დამუშავებას, რაც გულისხმობს მინარევებისაგან გაწმენდას, დახარისხებას, დაფასოებას, შეფუთვისა და ეტიკეტირებას. ინდივიდუალური მწარმოებლების, კერძოდ, ფერმერების შესაძლებლობები ამ შემთხვევაში შეზღუდულია, მაშინ, როდესაც თანამედროვე საბითუმო ბაზრებს აქვთ სრული მარკეტინგული ქსელი პროდუქციის შემდგომი რეალიზაციისათვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ჩატარდება კვლევა, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონალურ დონეზე მოსავლის აღების შემდგომი

ტექნოლოგიების, სადისტრიბუციო და გადამამუშავებელ შესაძლებლობებში არსებული მოთხოვნის გამოსავლენად. განისაზღვრება ამ ტიპის ინვესტიციების ტექნიკური და ფინანსური დასაბუთება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის. შემუშავდება რეკომენდაციები პირველადი და გადამამუშავებული პროდუქტების შესანახი სასაწყობე და სამაცივრე ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის (საბითუმო) ცენტრების მოწყობისა და ექსპლუატაციის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის ხანგრძლივი პერიოდით შენახვას, ხარისხისა და სასაქონლო სახის შენარჩუნებასა და სადისტრიბუციო ქსელის გაფართოებას. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ფერმერთა ორგანიზაციების, მათ შორის, კოოპერატივების ჩართულობის ხელშეწყობა.

დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაციისა და გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდება სემინარები და ტრენინგები მოსავლის აღების შემდგომი პროცესებისათვის განკუთვნილ აღჭურვილობაში ინვესტიციების ხელშესაწყობად, ასევე გადამამუშავებელ წარმოებაში (რაც ასევე მოიცავს მცირემასშტაბიან გადამამუშავებელ მოწყობილობებს) კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. ინვესტიციების წახალისებისათვის, არსებული პოტენციალიდან გამომდინარე შემუშავდება ხარჯების განაწილებისა და თანმხვედრი გრანტის მოზიდვის შესაძლებლობები.

ღონისძიება 3.4.8 - სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მაჩვენებელი, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ დაბალია. ვითარების გასაუმჯობესებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას. ამ მიმართულებით ერთ-ერთ ძირითად ხელის შემშლელ ფაქტორს ბაზარზე ფასისა და ხარისხის შესაბამისი წარმოების საშუალებებისა და მომსახურების არარსებობა წარმოადგენს, რაც ხშირ შემთხვევაში ფერმერებისთვის მძიმე ფინანსური შედეგებით მთავრდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიზნად ისახავს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით, ფერმერთათვის ადვილად ხელმისაწვდომს გახდის სასოფლო-სამეურნეო მანქანადანადგარებს, თესლსა და სარგავ

მასალას, სასუქს, მცენარეთა დაცვის საშუალებებს, წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სხვა მომსახურებას.

განხორციელება ნედლეულისა და მომსახურების დადგენილ ნორმებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი. განვითარდება სერტიფიცირებული თესლისა და სარგავი მასალის წარმოება. შეიქმნება მათთან ხელმისაწვდომობისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმი. სახელმწიფო განიხილავს ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის და სპეციალური მექანიზმების შემოღების შესაძლებლობას იმ შემთხვევებისთვის, თუ მოვაჭრეები დაარღვევენ ვაჭრობის, პროდუქციის უვნებლობისა და მარკირების სტანდარტებს, ან არ მიაწვდიან მომხმარებელს შესაბამის ინფორმაციას გასაყიდი საქონლისა და მომსახურების შესახებ.

ღონისძიება 3.4.9 - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ამაღლება

სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების პროდუქტიულობის ზრდა და თვითღირებულების შემცირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაზე. ამჟამად კერძო სექტორში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უმეტესი ნაწილი გაუმართავი და ამორტიზირებულია, რაც აფერხებს სამუშაოების აგროვადებში შესრულებას, ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, აუარესებს მოსავლის ხარისხს და ამცირებს წარმოების მოცულობას.

ფერმერებსა და სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული სხვა მეწარმეების ხარისხიანი წარმოების საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შექმნილი მექანიზმების ცენტრები წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ერთ-ერთი მათგანია შპს „მექანიზატორი“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფერმერებისათვის თანამედროვე ტექნიკით ხარისხიანი მომსახურების განხორციელება.

ამ მიმართულებით სოფლის მეურნეობის სამინისტრო კვლავ გააგრძელებს მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრარული სექტორის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფას და მომსახურების გაუმჯობესებას. ჩატარდება არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მდგომარეობის დეტალური ანალიზი და განისაზღვრება მათი საჭირო რაოდენობა და პრიორიტეტები საქართველოს მასშტაბით. მუშაობა გრძელდება სატრაქტორო პარკის ტექნიკური ინფრასტრუქტურის განახლების მიმართულებითაც. როგორც ტექნიკაზე მომუშავე ოპერატორთათვის, ასევე

ფერმერთათვის ჩატარდება სპეციალიზებული ტრენინგები. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ცნობიერების ასამაღლებლად გაგრძელდება მუშაობა კერძო სექტორთან, რაც მოიცავს ინფორმაციას ტექნიკის შეძენის, ლიზინგის გამოყენების, მარაგ-ნაწილების შესყიდვისა და მოვლა-შენახვის შესახებ. მოხდება შპს „მექანიზატორის“ პრივატიზაციის ან სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ორგანიზაციად ჩამოყალიბების შესაძლებლობების განხილვა, ეფექტიანი და მოქნილი მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს აგროვადებში დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ზრდას და ტექნიკის დეფიციტის მინიმუმამდე შემცირებას. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდება კონსულტაციები ტექნიკის მწარმოებლებთან მარტივი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ადგილზე წარმოების უზრუნველსაყოფად.

სტრატეგიული მიამართულება 3.5: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

დონისძიება 3.5.1- სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს, ისეთი პირობების შექმნას, როდესაც ყოველ ადამიანს, აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრებისათვის საჭირო სასურსათო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ნებისმიერ დროს ფიზიკურად და ეკონომიკურად საკმარისი რაოდენობის უვნებელ და სრულფასოვან სურსათზე მიუწვდება ხელი. ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი ასპექტებია - რაოდენობრივი უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა, ამ შემთხვევაში რაოდენობრივი უზრუნველყოფა გულისხმობს სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას, შეინარჩუნოს საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მინიმალური დონე. მარცვლეული სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, მაგრამ სასურსათო ბაზრის სტაბილურობაზე სხვა პროდუქტების წარმოების დონეც მოქმედებს. ასეთ კატეგორიას მარცვლეულის გარდა განეკუთვნება მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები, ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, თევზეული, შაქარი, მცენარეული ზეთები, კარტოფილი, კვერცხი, ხილ-ბოსტნეული, ასევე სხვადასხვა სახის სასმელი.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააგრძელებს სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგს, დაეხმარება ნატურალურ მეურნეობებს რისკის შემცირებაში, გაგრძელდება მათი კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, შემუშავდება სპეციალური პროგრამები სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდის

უზრუნველსაყოფად. სამინისტროში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებას, სასურსათო ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნებას, საექსპორტო და საიმპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას. ასევე სახელმწიფო მოამზადებს საგანგებო ან კრიზისული სიტუაციების დროს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას. ჩატარდება ძირითადი სასურსათო პროდუქტების მარაგების მაჩვენებლების მონიტორინგი და ხელმისაწვდომობის შეფასება.

სამინისტრო შეიმუშავებს და დანერგავს სასურსათო უსაფრთხოების ადრეული გაფრთხილების სისტემას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე მეტად დაბალი ეკონომიკური აქტივობის მუნიციპალიტეტებისა და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის. ასევე, გაუმჯობესდება შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების სისტემები, გაგრძელდება შესაბამისი მიმართულებით სამინისტროს თანამშრომლების გადამზადება. შემუშავდება სასურსათო კრიზისებზე რეაგირების სწრაფი და ეფექტიანი მეთოდი, რაც მოიცავს სურსათის განაწილებას, ასევე საგანგებო სიტუაციების ეროვნული რეაგირების გეგმის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სხვა შესაბამის სამინისტროებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ქმედით თანამშრომლობას.

სტრატეგიული მიმართულება 3.6: სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა

ლონისძიება 3.6.1 - სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის მიახლოება საქართველოში არსებული სასურსათო ჯაჭვის თავისებურებების გათვალისწინებით.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სრული კვებითი ჯაჭვის, პირველადი წარმოებიდან საბოლოო მომხმარებელამდე, ე.წ. „ფერმიდან-სუფრამდე“ კონტროლს და ვრცელდება წარმოების, მათ შორის პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე. იგი ითვალისწინებს სურსათის არა მხოლოდ შესაძლო მყისიერ, ხანმოკლე ან გრძელვადიან გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, არამედ მის ეფექტს მომდევნო თაობებზე.

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ხორციელდება რისკის საფუძველზე შემდეგი მექანიზმებით: გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი, ნიმუშის აღება, დოკუმენტური შემოწმება.

წინა წლებში არსებულმა არასრულყოფილმა საკანონმდებლო ბაზამ, ადამიანური და ტექნიკური რესურსების ნაკლებობამ, სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისმა საბიუჯეტო პროგრამულმა დაფინანსებამ განაპირობა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის არაეფექტიანობა.

2012 წლიდან დაიწყო და გრძელდება სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავდა სურსათის უვნებლობის განვითარების სტრატეგია და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამა. იგი გააზრებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კონტექსტში და უზრუნველყოფს როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ სრულყოფას. მიღებულ იქნა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები.

მომზადდა და 2015 წლიდან ძალაში შევა ტექნიკური რეგლამენტები „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ“ და „თაფლის შესახებ“, რომლებიც ხელს შეუწყობს წარმოების, გადამამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრასა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

კანონმდებლობით დარეგულირდება და შემუშავდება სურსათის უვნებლობის მართვისა და მიკვლევადობის ეფექტიანი სისტემა წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულო გახდება, სურსათის ბიზნესოპერატორმა განახორციელოს სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების დაცვით.

1998 წლიდან ქვეყანა გაწევრიანებულია codex alimentarius-ის კომისიაში და მონაწილეობს ხმის უფლებით საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების პროცესში. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია სურსათით საერთაშორისო ვაჭრობისას ხელმძღვანელობს ამ კომისიის მიერ შემუშავებული სტანდარტებითა და

სახელმძღვანელო დოკუმენტებით, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მომავალი საქმიანობის გაგრძელება.

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში“ ჩამოყალიბდა რისკის შეფასების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, მეცნიერულად დასაბუთებულ მონაცემებზე დაფუძნებულ რისკის შეფასებას და მიაწვდის რეკომენდაციებს მაკონტროლებელ და რისკის მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურებს.

2015 – 2020 წლებში საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან მიახლოებით ჩამოყალიბდება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, კონტროლის გამარტივებული მექანიზმები. დაიხვეწება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის ანალიზში მონაწილე ინსტიტუციებს შორის (სურსათის ეროვნული სააგენტო, შემოსავლების სამსახური, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახური) ურთიერთთანამშრომლობისა და მონაცემთა მიმოცვლის მექანიზმები. შეიქმნება თანამედროვე, მდგრადი და მოქნილი სისტემა, რომლის ფარგლებშიც დაიხვეწება სურსათის ბიზნესოპერატორთა რეგისტრაციის პროცედურები და სააგენტოსათვის შესაძლებელი გახდება ბიზნესოპერატორთა რეესტრის ბაზაზე პირდაპირი წვდომა, რითაც დაზუსტდება მათი რაოდენობა და საქმიანობის სახეები. რისკის საფუძველზე, შესაბამისი მექანიზმებითა და სიხშირით განხორციელდება სახელმწიფო კონტროლი; სახელმწიფო კონტროლის შედეგების შეფასებით გამოვლინდა, რომ სურსათის ბიზნესოპერატორების ცოდნის დონე საჭიროებს ამაღლებას. მთელი რიგი შეუსაბამობები ვლინდება ცხოველთა სასაკლაოების, ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებელი/გადამამუშავებელი საწარმოების, რძის შემგროვებელი პუნქტების, რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების, ბავშვთა სკოლამდელი და სასკოლო სასწავლო დაწესებულებების კვების ბლოკების, საზოგადოებრივი კვების, მათ შორის, სწრაფი კვების ობიექტების, მუნიციპალიტეტებისა და სოფლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემებთან დაკავშირებით სახელმწიფო კონტროლის დროს. ამიტომ, რისკის საფუძველზე, პრიორიტეტების გათვალისწინებით, ინსპექტირება ჩაუტარდება სურსათის ყველა ბიზნესოპერატორს, წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე, რაც აამაღლებს სურსათის უვნებლობის დონეს და მნიშვნელოვნად შეამცირებს საკვებისმიერი დაავადებების შემთხვევებს. პრიორიტეტებად განისაზღვრება ცხოველური

წარმოშობის სურსათის, ბავშვთა კვების, საზოგადოებრივი კვების, სასწავლო და სამკურნალო დაწესებულებების კვების ბლოკების და პირველადი წარმოების სახელმწიფო კონტროლი.

გაიზრდება სურსათის ლაბორატორიული კვლევის შესაძლებლობები, დაინერგება კვლევის საერთაშორისო მეთოდები, ყოველწლიურად საფრთხეების ადეკვატურად მოხდება ასაღები ნიმუშების რაოდენობის, სურსათის სახეობებისა და საკვლევი პარამეტრების შერჩევა, რაც უზრუნველყოფს სამომხმარებლო ბაზრის დაცვას და პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობას;

სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოში“ ჩამოყალიბდება უწყვეტი ტრენინგებისა და სწავლებების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს უფლებამოსილი პირების ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლებას.

ამაღლდება სურსათის ბიზნესოპერატორების ცოდნის დონე, დაიხვეწება მათი უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს უვნებელი სურსათის წარმოებას და ბაზარზე განთავსებას. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება ბიოწარმოების ხელშეწყობის მიმართულებით. დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი კომპეტენტური უწყების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, გაგრძელდება კამპანიები კერძო სექტორისა და ფერმერების, მედიისა და მომხმარებლის ცნობიერების ასამაღლებლად.

საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ეფექტიანი განხორციელებისთვის და ამ შეთანხმებიდან სარგებლის მაქსიმიზაციისთვის, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება DCFTA-ის სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით და დამხმარე ინსტრუმენტების შემუშავება, რათა ამ მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულო იყოს.

ღონისძიება 3.6.2 - ვეტერინარი

უვნებელი და ხარისხიანი სურსათის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის სრულყოფილი და ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირება, მათ შორის ქვეყნის მასშტაბით დაავადებებზე ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რათა გაკონტროლდეს და თავიდან იქნას აცილებული ცხოველების ასევე, ადამიანისთვის

გადამდები და პოტენციურად საშიში დაავადებების გავრცელება. ეფექტიანი ვეტერინარული მომსახურების უზრუნველსაყოფად ჩართული იქნება როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორი. ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პრევენციული და სალიკვიდაციო პროგრამები შემუშავდება/განხორციელდება არსებული და მოსალოდნელი რისკების საფუძველზე, რომელშიც აქტიურად ჩაერთვება სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. რისკის საფუძველზე, შესაბამისი მექანიზმებითა და სიხშირით განხორციელდება ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი.

სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამით ვეტერინარიის სფეროში განსაზღვრულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის მიახლოება ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, ცხოველთა დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების, ცოცხალი ცხოველების ჯანმრთელობის შემოწმების, ცოცხალ ცხოველსა და ცხოველურ პროდუქტებზე ვეტერინარული სერტიფიკაციის, ცხოველთა საკვების ჰიგიენის, მისი გამოყენების, ბაზარზე განთავსების, ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციისა და კონტროლის მექანიზმებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

დაინერგება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ცხოველებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვას, მომხმარებლისათვის სარწმუნო ინფორმაციის მიწოდებას ცხოველური პროდუქტის წარმოშობისა და უვნებლობის შესახებ, ქვეყნის შიგნით პირუტყვის გადაადგილებასა და ექსპორტ-იმპორტზე ვეტერინარული კონტროლის განხორციელებას, საქონლის ხორციით ვაჭრობისას ეტიკეტირების, გამჭვირვალობისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფას, ასევე, სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესება-სრულყოფას.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა დახმარებით შემუშავებულია ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა, რომლის საფუძველზეც მომზადდება გადამდები დაავადებების წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა სტრატეგიული გეგმები. განხორციელებული ღონისძიებებისა და სერომონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე 2020 წლისთვის სავარაუდოა, ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (OIE) ქვეყანას მიანიჭოს თურქულის დაავადებისაგან თავისუფალი ზონის სტატუსი, რაც მოხსნის ბარიერებს ევროკავშირის ქვეყნებში ცოცხალი ცხოველებისა და

ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების იმპორტთან დაკავშირებით.

მომდევნო წლებში ინფექციური დაავადებების დეტექციის მიზნით განხორციელდება ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევები. დაავადების გამოვლენის შემთხვევაში ჩატარდება ცხოველთა იძულებითი ვაქცინაცია, დეზინფექცია და სხვა ვეტსანიტარიული ღონისძიებები. ევროკავშირისა და OIE-ს მოთხოვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით, დაიხვეწება ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციისა და კონტროლის სისტემები, შემუშავდება ცხოველის საკვების ჰიგიენის, გამოყენებისა და ბაზარზე განთავსებისა და კონტროლის მექანიზმები. OIE-ს მოთხოვნების შესაბამისად, დაიხვეწება ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმები და გაცემის წესი, რაც ხელს შეუწყობს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის ექსპორტს საქართველოდან. დაინერგება ბიოლოგიური ნარჩენების, მათ შორის ცხოველთა ლეშის განადგურების თანამედროვე მეთოდები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს დაავადების აღმძვრელების გავრცელებას და თავიდან აგვაცილებს გარემოს დაბინძურებას სხვადასხვა პათოგენური მიკროორგანიზმებით.

ვეტერინარული სამსახურის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია მისი კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, რისთვისაც მოხდება ვეტერინარული აკადემიური განათლების სისტემის დახვეწა და სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებით მიღწეულ იქნება ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა. მოსახლეობისათვის ვეტერინარული თვალსაზრისით კეთილსაიმედო ცხოველური პროდუქტებით უზრუნველყოფა, ხელი შეეწყობა ცხოველებისა და ცხოველური პროდუქტების ექსპორტის განვითარებას და ცხოველური წარმოშობის სურსათის ადგილობრივი პროდუქციის საიმედოობისადმი მომხმარებლების ნდობის ამაღლებას.

ღონისძიება 3. 6.3 - მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა

ფიტოსანიტარიული მოთხოვნების დაცვა წარმოადგენს ქვეყანაში ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის მიღწევისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანების მინიმუმამდე შემცირებისა და მოსავლის შესანარჩუნებლად, ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუცილებელია

საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების რიცხოვნობის კონტროლისა და დიაგნოსტიკური მიმართულების გაძლიერება, ქვეყნის ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მონიტორინგის განხორციელება, საკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონების დადგენა და მიღებული მონაცემების საფუძველზე ბრძოლის ღონისძიებების სწორი დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტს. 2014 წლის სექტემბერში საქართველო ევროპის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციაში (EPPO) გაწევრიანდა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის ამაღლებას.

ყოველწლიური სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- ფიტოსანიტარიისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ არსებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი მიახლოება;
- ქვეყანაში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაციის სისტემის სრულყოფა;
- ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის ნაკლებად ტოქსიკური პესტიციდების შერჩევის მიზნით, პესტიციდების არსებული ასორტიმენტის გადაფასების პროგრამა.

პესტიციდების ინტენსიური გამოყენების რეგიონებში, მავნე ორგანიზმების გავრცელება-განვითარების წინასწარი პროგნოზირების სისტემის დანერგვის საფუძველზე, შემცირდება მცენარეებისა და გარემოს პესტიციდური დატვირთვა.

დაგეგმილია ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა და ფერმერთა სწავლება.

ქვეყნის ტერიტორიის რეგულირებადი მავნე ორგანიზმების შემოჭრისა და გავრცელებისაგან დაცვის მიზნით, გაგრძელდება მათი დიაგნოსტიკა, პროგნოზირება და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება.

შეიქმნება შესაფუთი ხის მასალის დამუშავებითა და მარკირებით, ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული პროდუქციის წარმოებით, გადამუშავებითა და შენახვით, ექსპორტითა და იმპორტით დაკავებული

ბიზნესოპერატორების რეესტრი. მცენარეებისა და მცენარეული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, დაიხვეწება ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების სისტემა.

ქვეყანაში აღინიშნება მცენარეთა დაცვის კვალიფიციური სპეციალისტების მწვავე დეფიციტი, რის გამოც არ ხდება დარგში დაკავებული სპეციალისტების ცვლა ახალგაზრდა კადრებით. აუცილებელია აღდგეს აგრონომიული მეცნიერების ფუნდამენტური საგნების (ფიტოპათოლოგია, ენტომოლოგია, მცენარეთა ქიმიური დაცვა, მცენარეთა კარანტინი) სწავლება. პრობლემის გადასაჭრელად სოფლის მეურნეობის სამინისტრო მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან.

ღონისძიება 3.6.4 - ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება

საქართველოსა და აშშ-ის მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე 2003 წლიდან ამოქმედებული „ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის“ ფარგლებში სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ ქსელის შემადგენელი 11 ლაბორატორია (3 ზონალურდიაგნოსტიკური, 8 საველე) 2005-2009 წლებში გარემონტდა/აშენდა და აღიჭურვა განსაკუთრებით საშიში ზოონოზური დაავადებების დიაგნოსტიკისათვის საჭირო უახლესი აპარატურით; პერსონალი ჩაერთო ფართომასშტაბიან, მრავალწლიანი სწავლების პროგრამაში, დაინერგა დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები; ლაბორატორიული საქმიანობა წარიმართა ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცვის საერთაშორისო ნორმების თანახმად.

ქვეყანაში ასეთი მძლავრი ლაბორატორიული ბაზის შექმნის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მისი პოტენციალის გამოყენება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ხელშემწყობი მიზნებისთვის. ამის უმთავრეს მიზეზი იყო ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობისა და ფიტო-სანიტარიული კონტროლის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ 2005-2012 წლებში გატარებული რადიკალური დერეგულაციის პოლიტიკა.

2012 წლის შემდგომ, სოფლის მეურნეობის დარგისათვის და კონკრეტულად, ცხოველთა/მცენარეთა ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის სფეროებისათვის პრიორიტეტის მინიჭებამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის

განვითარების ახალი ეტაპის დაწყება განაპირობა. 2014 წლის დასაწყისიდან ლაბორატორიულ ქსელში განხორციელდა ფუნდამენტური ცვლილებები, მათ შორის: თბილისის სათავო ლაბორატორიამ მიიღო საერთაშორისო აკრედიტაცია, დაინერგა ISO 9001-ის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საკვების ექსპერტიზის განყოფილების მიერ წარმოებული სურსათისა და წყლის მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური კვლევების ჩამონათვალი; საბჭოთა სტანდარტებზე დაფუძნებული კვლევის მეთოდები (ГОСТ) ჩანაცვლდა საერთაშორისო სტანდარტებზე (ISO) დაფუძნებული მეთოდებით.

დაინერგა ცოფის დიაგნოსტიკის მოლეკულური მეთოდი და ბრუცელოზის დიაგნოსტიკის ახალი სეროლოგიური მეთოდი.

საქართველოს ეკონომიკის მზარდი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში, ისევე როგორც საერთაშორისო ვაჭრობის, ტურისტების ნაკადისა და სატრანზიტო გადაზიდვების ზრდა, განაპირობებს საქართველოში ინფექციური (ზოონოზური, საკვებისა და წყლისმიერი თუ ანთროპოზოონოზური წარმოშობის) და მცენარეთა საკარანტინო დაავადებების გავრცელების საფრთხეებს და რისკს უქმნის ქვეყნის ეკონომიკას.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, ქვეყანაში წარმოებული ცხოველური, მცენარეული თუ სხვა საკვები პროდუქტების ექსპორტისთვის და ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხს მოსახლეობის, ცხოველების, მცენარეების, საკვებისა და წყლის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოება წარმოადგენს. ამ ამოცანების შესასრულებლად დაგეგმილია სამინისტროს ლაბორატორიული ქსელის შესაძლებლობების გაძლიერება, მისი გარდაქმნა სურსათის კვლევის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიის სფეროში ეროვნულ რეფერალურ ცენტრად, რაც მოიცავს: ლაბორატორიის ორგანიზაციული სტრუქტურის, უზრუნველყოფისა და ტექნიკური მომსახურების სისტემების განვითარებას ეროვნული რეფერალური ცენტრის ფუნქციის შესაბამისად; სამინისტროს მთლიანი ლაბორატორიული ქსელის მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის გავლას ISO 17025 სტანდარტის მიხედვით და სერტიფიცირებას ISO 9001-ის შესაბამისად; მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკისათვის ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შენობის აგებასა და აღჭურვას, თანამედროვე კვლევის მეთოდების დანერგვას და აკრედიტაციას; სურსათის ტესტირების შესაძლებლობების ევროკავშირის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად უახლესი აპარატურის შეძენას, კვლევის ახალი

მეთოდების დანერგვასა და აკრედიტაციას; თანამშრომელთა გადამზადებას თანამედროვე მეთოდოლოგიებში; ახალი მეთოდების ვალიდაციას და მეთოდოლოგიების გაზიარებას დარგში მომუშავე კერძო თუ სახელმწიფო ლაბორატორიებისათვის; ქვეყნის მასშტაბით პროფესიული ტესტირების ორგანიზებას და წარმართვას ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკისა და სურსათის კვლევის სფეროებში; საერთაშორისო (მათ შორის ევროკავშირის) რეფერალურ ცენტრებთან თანამშრომლობას; შერჩეულ პრიორიტეტულ დაავადებებზე (თურქული, ბრუცელოზი) OIE-ის რეფერალური ცენტრის სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო სამუშაოების/პროცედურების დეტალური გეგმის შედგენას და განხორციელებას; საქართველოსათვის ენდემური და ეგზოტიკური განსაკუთრებით საშიში ზოონოზური ინფექციური დაავადებების აღმოჩენისა და დიაგნოსტიკის სრულყოფას „ერთიანი ჯანმრთელობის“ („გარემო-მცენარე-ცხოველი-ადამიანი“) კონცეფციაზე დაყრდნობით; ბიოლოგიური უსაფრთხოების მე-3 დონის ლაბორატორიაში (ლუგარის ცენტრი) ცხოველთა დაავადებების კვლევის პროგრამის დაფუძნებას; ჯანდაცვის საერთაშორისო რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების შედეგების მონაცემთა ბაზების შექმნას; დადასტურებულ შემთხვევათა GIS ბაზის შექმნას და უწყვეტ განახლებას; მაღალპრეცესიული ხელსაწყოებით აღჭურვილ ინსტრუმენტული კვლევების დეპარტამენტში ცხოველთა საკვების, ფარმაცევტული პრეპარატებისა და პესტიციდების კვლევის სრული სპექტრის დანერგვას; სასწავლო პროგრამების შექმნასა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების წარმართვას საერთაშორისო აკრედიტაციის, ლაბორატორიული ხარისხის კონტროლის, ბიოუსაფრთხოება/ ბიოდაცვის თემებზე.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად მივიღებთ ლაბორატორიული კვლევის მძლავრ ეროვნულ ქსელს, რომლის მიერ საერთაშორისო აკრედიტაცია/სერტიფიცირების გავლა უზრუნველყოფს საერთაშორისო ვაჭრობის მიზნებისათვის ვარგისი კვლევების წარმოებას ქვეყნის მასშტაბით როგორც სურსათის უვნებლობის, ისე ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების კვლევის სფეროში.

ღონისძიება 3.6.5 - სოფლის მეურნეობის პროდუქტის იმპორტისა და ექსპორტის კონტროლის მიზნით ვეტერინარული სასაზღვრო - საკარანტინო და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლის არსებული პრაქტიკის შეფასება და გაუმჯობესება

2006 წლამდე ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურები

ახორციელებდნენ. 2006 წელს აღნიშნული ფუნქცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს გადაეცა, რომელიც კონტროლს ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაციების - FAO, OIE და IPPC-ის მიერ დადგენილი წესებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის საფუძველზე. 2014 წელს შემოსავლების სამსახურისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად შესაბამისი ცვლილებები შევიდა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის წესებში. დაიხვეწა კონტროლის განხორციელების მექანიზმები, კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტებისა და ტვირთების ნუსხა, ნებართვას დაქვემდებარებული ტვირთების ჩამონათვალი, შეთანხმდა ინფორმაციის გაცვლის პრინციპები.

ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირებს, მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, ჩაუტარდება ტრენინგები. გაუმჯობესდება კოორდინაცია ფინანსთა სამინისტროს სსიპ „შემოსავლების სამსახურსა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ შორის.

სტრატეგიული მიმართულება 3.7: კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

ღონისძიება 3.7.1 – „კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ პრინციპებით ხელმძღვანელობა, ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადი გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება

გარემოს დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კვლავაც მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო წახალისებს მაღალპროდუქტიული და მდგრადი წარმოების მეთოდების დანერგვას. კერძოდ, „კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“, თესლბრუნვის, ნიადაგის სტრუქტურული და ხარისხობრივი გაუმჯობესების, ქიმიური სასუქებისა და პრეპარატების ოპტიმალური რაოდენობით გამოყენების ხელშეწყობას. პირველადი და გადამამუშავებელი საწარმოების დონეზე განხორციელდება ბიოორგანული წარმოების ხელშეწყობი ღონისძიებები. აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური სახეობების შენარჩუნების მიზნით, შეიქმნება ეფექტიანად მართვადი გენეტიკური ბანკი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

სამინისტროსთან ერთად კოორდინაციას გაუწევს გლობალური კლიმატური ცვლილებების საწინააღმდეგო პრევენციული და ადაპტური ზომების შემუშავებას.

„კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა“, რომლის მიზანია უსაფრთხო და მაღალხარისხიანი სასოფლოსამეურნეო პროდუქციის მიღება, უზრუნველყოფს ეფექტიან და სტაბილურ წარმოებას, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებას, შენარჩუნებას და დეგრადაციის პროცესის შემცირებას. - ამ მიზნით ჩატარდება სემინარები და ტრენინგები (თესლბრუნვა, პესტიციდებისა და სასუქების გამოყენება, წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენება და ა.შ). ასევე, შემუშავდება და განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული პრაქტიკის დასაწერად. განიხილება ორგანული წარმოების არსებული პოტენციალი, აკრედიტაციის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობის ჩათვლით.

კავკასიის რეგიონი, ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოსისტემას წარმოადგენს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო კოორდინირებულად ითანამშრომლებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და მეზობელი ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების/დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე, მათ შორის კლიმატის ცვლილების შედეგად წარმოქმნილ გარემოსთან ადაპტაციისა და ნიადაგის დეგრადაციის (გაუდაზნობა, დამლაშება, გაბიცობიანობა, ეროზირება) წინააღმდეგ ღონისძიებების შემუშავების მიმართულებით.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება აგრარული ეკოსისტემების და ბუნებრივი სათიბ-სადოვრების მართვის სრულყოფისაკენ მიმართული ქმედებები.

დაინერგება ბიომეურნეობების შექმნის, წახალისების, მდგრადი მართვის და მათი სერტიფიცირების სისტემები.

ეკოსისტემური მიდგომის გათვალისწინებით, დაინერგება საქართველოს შიდა წყალსატევებში აკვაკულტურის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები.

ღონისძიება 3.7.2 - აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური ჯიშების შენარჩუნების მიზნით გენეტიკური ბანკის შექმნა/მართვა

კავკასიის რეგიონი გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების ჯიშების მრავალფეროვნებით. არსებული აგრობიომრავალფეროვნების

შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მდგრადობის თვალსაზრისით, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა კლიმატის ცვლილებების პირობებში, რადგან კლიმატის ცვლილების გამო მოსალოდნელია აგრობიომრავალფეროვნების შემცირება, პირველ რიგში, არიდულ და ნახევრად არიდულ ეკოსისტემებში.

შემუშავდება და განხორციელდება მცენარეთა და ცხოველთა კონსერვაციის სტრატეგია, რაც მოიცავს ადგილობრივი სახეობებისა და ჯიშების დეტალურ ინვენტარიზაციას, იდენტიფიკაციას, გენეტიკური ბანკის შექმნას და ამ მიმართულებით ეფექტიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას. განხორციელდება ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირების პროგრამა აგრო-ბიომრავალფეროვნებასა და ენდემური სახეობების შესახებ.

განხორციელდება მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშებისა და ენდემური სახეობების, მათი მონათესავე ველური პოპულაციების, სხვა სოციო-ეკონომიკური თუ კულტურული მნიშვნელობის მქონე სახეობების გენეტიკური სიწმინდის შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებები.

ღონისძიება 3.7.3 - კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა

სასოფლო-სამეურნეო წარმოება მჭიდროდ უკავშირდება კლიმატის ცვლილებას, რაც ზრდის რისკებს და ნეგატიურად აისახება ფერმერებისა და სხვა ტიპის მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, რომელიც ერთდროულად უპასუხებს სამ ურთიერთგადასაწყვეთ გამოწვევას: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოებისა და შემოსავლების გაზრდის გზით, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია და კლიმატის ცვლილების შერბილების ხელშეწყობა.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დამკვიდრება სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტია. სამთავრობო უწყებებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მონაწილეობას მიიღებს შესაბამისი საერთოეროვნული და რეგიონალური პროგრამების შემუშავებაში.

შესაბამისი გადამზადების პროგრამის გამოყენებით, გაიზრდება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში კლიმატკონივრულ მიდგომების გამოყენების მიმართულებით.

კვლევის შედეგად შეფასდება კლიმატის ცვლილების ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე. შეიქმნება საინფორმაციო ბაზა, კლიმატის ცვლილებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენის შესახებ. პრაქტიკაში დაინერგება აგროკლიმატური მონიტორინგის, ანალიზის, შედეგების საკომუნიკაციო და სხვა მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სისტემა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებით შემუშავდება ბუნებაში გაჩენილი ხანძრების პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გამიჯნული იქნება კომპეტენციები და აღნიშნული საკითხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებები.

თავი 3. სოფლის მეურნეობის სექტორის სტატისტიკური ანალიზი

3.1. მემცენარეობის სექტორის სტატისტიკური ანალიზი


2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები - მემცენარეობა

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოში 642.2 ათასი სასოფლო მეურნეობაა, საიდანაც 99.7%-ს შინამეურნეობები წარმოადგენენ. ამასთან, სასოფლო მეურნეობათა 8.5% წარმოადგენს ე.წ. უმიწო მეურნეობებს, რომლებსაც სარგებლობაში არ გააჩნიათ ასევე პირუტყვი, ფრინველი ან/და ფუტკრის ოჯახი. სასოფლო მეურნეობათა 89.4%-ს სარგებლობაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ხოლო 64.2%-ს - პირუტყვი, ფრინველი ან/და ფუტკრის ოჯახი.


ოჯახური მეურნეობების 69%-ში მეურნეს მამაკაცი წარმოადგენს.

აღწერის შედეგების მიხედვით, ოჯახური მეურნეობების მეურნეობად (მეურნეობის მეთაურად), ძირითადად საპენსიო ასაკს მიღწეული და უფროსი ასაკის პირები არიან, რაც ძირითადად ქვეყნის ტრადიციებით და გარკვეულწილად სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურითაა განპირობებული. აღნიშნული ტენდენცია

განსაკუთრებით აღსანიშნავია რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, სადაც ოჯახური მეურნეობის 49%-ში მეურნედ 65 წლის და უფროსი ასაკის ადამიანია მიჩნეული.




ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოჯახური მეურნეობების მხოლოდ 20.7%-ში მეურნეს გააჩნია უმაღლესი განათლება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონები, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისად 15.9%-ს და 17.0%-ს შეადგენს.



2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობი 842.3 ათასი ჰა-ს შეადგენს, საიდანაც 87%


საკუთრებაში არსებულია, ხოლო 13% იჯარით აღებული. იჯარით აღებული მიწის წილი სარგებლობაში არსებული მიწის მთლიან ფართობში, ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთის რეგიონშია, კერძოდ, 26%, მას მოსდევს კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონები, შესაბამისად 19%-ით და 15%-ით. დანარჩენ რეგიონებში ანალოგიური მაჩვენებელი 1-5%-ის ფარგლებში მერყეობს.

მეურნეობის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 787.7 ათასი ჰა-ს შეადგენს, რაც მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის მთლიანი ფართობის 93.5%-ა. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უდიდესი ნაწილი უკავია სახნავს (47.9%) და ბუნებრივ სათიბებს და საძოვრებს (38.1%), თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ რეგიონებში, რომელთათვისაც დამახასიათებელია ისეთი ტრადიციული კულტურების წარმოება, როგორცაა ციტრუსი და თხილი, სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდი ნაწილი მრავალწლოვან კულტურებს უკავია, კერძოდ, გურიაში - 46.0%, აჭარის ა.რ.-ში - 45.7%, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 40.5%. მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობის წილი ყველაზე დაბალია სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლი რეგიონში, შესაბამისად, 0.9% და 1.7%. არნიშნულ რეგიონებში მეტწილად განვითარებულია მეცხოველეობა და შესაბამისად სასოფლო სამეურნეო მიწის დიდი ნაწილი უკავია ბუნებრივ სათიბებს და საძოვრებს, შესაბამისად 61.5% და 57.3%.




მეურნეობების სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის 30% დაუმუშავებელია. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქ. თბილისში, თუმცა თბილისის წილი სახნავი მიწის მთლიან ფართობში მხოლოდ 0.6%-ს შეადგენს.

მეურნეობების სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის ფართობში დაუმუშავებელი მიწის წილი (%)



რაც შეეხება მრავალწლოვანი კულტურების განაწილებას, უდიდესი ნაწილი მოდის ხეხილის ბაღებზე, თუმცა ასევე დიდი წილი უკავია ვენახებსაც.

მრავალწლოვანი ნარგავების განაწილება კატეგორიების მიხედვით (ჰა)



სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის ძალიან ფრაგმენტირებულია, კერძოდ, ქვეყნის მასშტაბით, მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის საშუალო ფართობი 1.31 ჰა-ს შეადგენს, რაც საშუალოდ 2 ნაკვეთადაა დაყოფილი და თითოეული ასეთი ნაკვეთის ფართობი საშუალოდ 0.61 ჰა-ს შეადგენს. მცირე მიწიანობის მხრივ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქალაქო დასახლებებს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი, სადაც მეურნეობის სარგებლობაში საშუალოდ 0.46 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა, რაც დანაწევრებულია საშუალოდ 2.3 ნაკვეთად, თითოეულის ფართობით 0.2 ჰა. საპირისპირო მდგომარეობაა კახეთის რეგიონში, სადაც მეურნეობის სარგებლობაში

არსებული მიწის საშუალო ფართობი 3.39 ჰა-ს, ხოლო ერთი ნაკვეთის საშუალო ფართობი 1.48 ჰა-ს შეადგენს. მცირე მიწიანობა მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტორია სექტორის განვითარების მხრივ, რადგან ხელს უშლის ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენებას და საშუალო მწარმოებლურობის ზრდას. ასევე, უარყოფითად აისახება სოფლის მოსახლეობაზე, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს ხშირ შემთხვევაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია წარმოადგენს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურად განსხვავებული სურათია, თუ ერთმანეთს შევადარებთ ოჯახურ მეურნეობებს და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, კერძოდ, ოჯახური მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის საშუალო ფართობი, 1.14 ჰა-ს შეადგენს, ხოლო 1 ნაკვეთის საშუალო ფართობი 0.53 ჰას, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის აღნიშნული მაჩვენებლები, შესაბამისად 51.3 ჰა-ს და 12.6 ჰა-ს შეადგენს.

ასევე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მეურნეობების განაწილება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მიხედვით. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, მეურნეობების 50% სარგებლობაში ფლობს 0.5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწას, ხოლო 77% - 1 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი, აჭარის ა.რ. და იმერეთის რეგიონი, სადაც მეურნეობების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობაში ფლობენ 1 ჰა-ზე ნაკლები ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწას, შეადგენენ შესაბამისად 95%-ს, 92%-ს და 90%-ს.

ძირითადი ტენდენციები - მემცენარეობა

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება

საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს, 2014 წელთან შედარებით, ხეხილის ბაღების, ვენახების და ციტრუსის პლანტაციების ფართობები გაიზარდა. ზრდის მაჩვენებლებმა, შესაბამისად 15.4 ათასი ჰა (25.9%), 3.1 ათასი ჰა (9.5%) და 1.5 ათასი ჰა (19.9%) შეადგინა.

მრავალწლოვანი კულტურებით დაკავებული მიწის ფართობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „დანერგე მომავალი“ პროგრამამ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2015-2017 წლებში, მრავალწლოვანი კულტურები 4.3 ათას ჰა-ზე გაშენდა (2015-2018 წლებში, ჯამურმა მაჩვენებელმა 6.4 ათასი ჰა შეადგინა). მრავალწლოვანი კულტურებით დაკავებული მიწის ფართობის ზრდის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია აგრეთვე ხილის (ციტრუსის და ყურძნის ჩათვლით) ექსპორტის ზრდა,

როგორც პირველადი, ასევე გადამუშავებული სახით. მრავალწლოვანი კულტურების ექსპორტის და შესაბამისად, მასზე მოთხოვნის ზრდამ თავის მხრივ გაზარდა მწარმოებლებისათვის შემოსავლის ზრდის შესაძლებლობა.

საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს, მრავალწლოვანი კულტურების (ხილი, ყურძნის და ციტრუსის ჩათვლით) წარმოებამ 514.6 ათასი ტონა შეადგინა, რაც 161.6 ათასი ტონით (45.8%) აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. მრავალწლოვანი კულტურების წარმოების ზრდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2017 წელს დაფიქსირებული კლების შემდეგ, რაც განპირობებული იყო მკვეთრად უარყოფითი კლიმატური პირობებით, მავნებლის და სოკოვანი დაავადებების გავრცელებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ **2018 წელს, მრავალწლოვანი კულტურების წარმოებამ მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია 2014-2018 წლების მიხედვით.**

2018 წელს, წინა წელთან შედარებით, მრავალწლოვანი კულტურების წარმოების ზრდა ძირითადად განაპირობა ყურძნის და ვაშლის წარმოების ზრდამ, რამაც შესაბამისად, **79.1 ათასი (43.8%) და 63.0 ათასი (319.8%) ტონა შეადგინა.** აღნიშნული კულტურების ზრდის წვლილმა ხილის წარმოების აგრეგირებული მაჩვენებლის ზრდაში (45.8%), შესაბამისად 22.4 და 17.9 პროცენტული პუნქტი შეადგინა.


მრავალწლოვანი კულტურების წარმოების მოცულობის მაჩვენებელთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია ფერმის კართან ფასების მაჩვენებლებიც, ვინაიდან ეს ორი კომპონენტი განაპირობებს მწარმოებლების შემოსავლების მოცულობას. 2018 წელს, 1 კგ ყურძნის ფერმის კართან ფასმა 1.12 ლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2014-2018 წლების მიხედვით, ხოლო 1 კგ ვაშლის ფასმა 0.47 ლარი შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ამავე პერიოდის მიხედვით. თუ გავითვალისწინებთ 2017-2018 წლების ფერმის კართან ფასებს, საანგარიშო პერიოდში წარმოებული, **აღნიშნული კულტურების მიმდინარე ღირებულება და შესაბამისად, მწარმოებლების შემოსავლები** (იმ დაშვებით, რომ მწარმოებელი მოახდენდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას სრულად ფერმის კართან ფასების მიხედვით) **118.7 მლნ ლარით გაიზარდა და 330.0 მლნ ლარი შეადგინა.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის მონაცემების მიხედვით, ყურძნის და ვაშლის წილი ხილის წარმოების ჯამური მაჩვენებლის 67%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში, სხვა კულტურებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე **მანდარინის** (ზრდა: 7.4 ათასი ტონა, 13.5%), **ქლიავი, ჭანჭური, ღოღნაშოს** (5.7 ათასი ტონა, 1150.0%), **მსხლის** (3.8 ათასი ტონა, 67.9%), **ტყემალის და**

ალუჩას (3,1 ათასი ტონა, 39.7%), კაკლის (2.4 ათასი ტონა, 72.7%) და ბალის და ალუბალის (2.3 ათასი ტონა, 109.5%) წარმოება.

2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, ატმის წარმოება 6.2 ათასი ტონით (23.7%), თხილის წარმოება 4.4 ათასი ტონით (20.6%), ხოლო კენკროვანი ხილის წარმოება 1.4 ათასი ტონით (43.8%) შემცირდა. ატმისა და თხილის წარმოების შემცირების პარალელურად, გაიზარდა ფერმის კართან მათი ფასები, შესაბამისად 0.25 ლარით (47.2%) და 1.37 ლარით (46.6%), რამაც საანგარიშო პერიოდში წარმოებული, აღნიშნული კულტურების მიმდინარე ღირებულება 14.7 მლნ ლარით გაზარდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ატმისა და თხილის ფასებმა, 2018 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია 2014-2018 წლების მიხედვით.


2018 წლის მონაცემებით, ვაშლის, ატამის და ვაშლატამას, თხილის, ყურძნის და მანდარინის ჯამურმა წარმოებამ, მრავალწლოვანი კულტურების (ხილი) მთლიანი წარმოების 87% შეადგინა.




მრავალწლოვანი კულტურების წარმოების მაჩვენებლების 2014-2018 წლების დროით მწკრივის ანალიზისას, ერთის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს, აღნიშნულმა მაჩვენებელმა მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწია, თუმცა მეორეს მხრივ 2014-2017 წლებში ხასიათდებოდა სტაბილურად კლების ტენდენციით. 2014-დან 2017 წლამდე მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 99.4 ათასი ტონით (22.0%) შემცირდა, რაშიც უდიდესი წვლილი ვაშლის წარმოების მაჩვენებლის შემცირებაზე მოდის, კერძოდ,

აღნიშნულ პერიოდში მრავალწლოვანი კულტურების წარმოების შემცირების პროცენტულ მაჩვენებელში, ვაშლის წარმოების შემცირების წვლილი 13.8 პროცენტული პუნქტია. 2017 წელს, ვაშლის წარმოება კრიტიკულად დაბალ ნიშნულზე, 19.7 ათას ტონამდე დაეცა, რაც განპირობებულია შიდა ქართლის რეგიონში დაფიქსირებული ძლიერი საგაზაფხულო ყინვით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2014-2017 წლებში ვაშლის წარმოების მაჩვენებელი ცვალებადი დინამიკით ხასიათდებოდა.

2014-2017 წლებში, სტაბილურად მცირდებოდა თხილის წარმოება, რაც განპირობებული იყო სოკოვანი დაავადებების და აზიური მავნებლის (ფაროსანა) გავრცელებით. აღნიშნულ პერიოდში თხილის წარმოება 12.4 ათასი ტონით (36.7%) შემცირდა, თუმცა მრავალწლოვანი კულტურების ჯამური წარმოების პროცენტულ კლებასი მისი წვლილი მხოლოდ 2.7 პროცენტული პუნქტია. აზიური ფაროსანას გავრცელებამ უარყოფითად იმოქმედა აგრეთვე ციტრუსის წარმოებაზე. აღნიშნულ პერიოდში მანდარინის წარმოება 11.0 ათასი ტონით (16.7%) შემცირდა, რაც 2.4 პროცენტული პუნქტით აისახა მრავალწლოვანი კულტურების წარმოების აგრეგირებული მაჩვენებლის პროცენტულ კლებაში.



ძირითადი კულტურების წარმოება, ათასი ტონა





საქსტატი აქვეყნებს ფერმის კართან ფასებს შემდეგი მრავალწლოვანი კულტურებისათვის: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ჭანჭური, ღოღნაშო, ბალი, ალუბალი, ატამი, ვაშლატამა, კაკალი, თხილი, ყურძენი. აღნიშნული კულტურების წარმოება, 2014-2018 წლების მიხედვით, მრავალწლოვანი კულტურების წარმოებაში, საშუალოდ 77%-ს შეადგენს. ფერმის კართან ფასების გათვალისწინებით, **აღნიშნული კულტურების წარმოების მიმდინარე ღირებულებამ, 2018 წელს 473.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2014-2018 წლების მიხედვით, ხოლო 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 153.9 მლნ ლარით (48.2%) აღემატება.**

ერთლიანი კულტურები

2018 წელს, ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები 13.2 ათასი ჰექტარით (6.0%) შემცირდა და 207.1 ათასი ჰექტარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, ყველაზე მეტად შემცირდა სიმინდის ნათესი ფართობი, კერძოდ, 12.0 ათასი ჰა-თი (14.2%). **სიმინდის ფართობის შემცირების წვლილმა ნათესი ფართობის მთლიან შემცირებაში (6.0%) 5.4% შეადგინა.** სიმინდის ნათესი ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა იმერეთის და კახეთის რეგიონებში, შესაბამისად, 5.8 ათასი (22.5%) და 4.8 ათასი (27/0%) ჰა-თი



საანგარიშო პერიოდში, უმნიშვნელოდ, 1.2 ათასი ჰა-თი (2.7%) შემცირდა ხორბლის ნათესი ფართობები, ხოლო ქერის ნათესი ფართობი 4.4 ათასი ჰა-თი (19.2%) გაიზარდა. კლება დაფიქსირდა აგრეთვე კარტოფილის და ბოსტნეულის ნათეს ფართობებში, რამაც შესაბამისად, 1.0 ათასი (5.0%) და 1.7 ათასი (12.1%) ჰექტარი შეადგინა.




2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, ნათესი ფართობების შემცირების მიუხედავად, ერთწლიანი კულტურების წარმოება 143.2 ათასი ტონით (19.4%) გაიზარდა და 881.5 ათასი ტონა შეადგინა. ზრდა დაფიქსირდა თითქმის ყველა კულტურის წარმოებაში:

- მარცვლოვანი კულტურების წარმოება გაიზარდა 75.7 ათასი ტონით (26.3%) და 363.7 ათასი ტონა შეადგინა. განსაკუთრებით გაიზარდა სიმინდის წარმოება, კერძოდ 51.7 ათასი ტონით (36.3%). რაც შეეხება ქერის და ხორბლის წარმოებას, ზრდამ შესაბამისად 13.8 ათასი (31.4%) და 9.2 ათასი ტონა (9.4%) ტონა შეადგინა;
- კარტოფილის წარმოება გაიზარდა 57.4 ათასი ტონით (31.9%) და 237.5 ათასი ტონა შეადგინა;

➤ ბოსტნეულის წარმოება გაიზარდა 16.3 ათასი ტონით (12.9%) და 142.2 ათასი ტონა შეადგინა. განსაკუთრებით გაიზარდა კიტრის წარმოება, კერძოდ, 10.0 ათასი ტონით (43.5%). საანგარიშო პერიოდში, პომიდორის, კომბოსტოს, ბადრიჯნის, ნივრის და წიწაკის წარმოების ზრდამ შესაბამისად 1.8 ათასი (3.6%), 1.1 ათასი (6.3%), 1.1 ათასი (42.3%), 1.1 ათასი (31.4%) და 1.0 ათასი (20.8%) ტონა შეადგინა.





**ერთწლიანი კულტურების წარმოების ცვლილება, 2018 წელი
2017 წელთან შედარებით**




ნათესი ფართობების შემცირების ფონზე, ერთწლიანი კულტურების წარმოების ზრდა ძირითადად განაპირობა საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის ზრდამ, კერძოდ, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით:

- **კარტოფილის** საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 3.5 ტონით (38.9%) გაიზარდა და 12.5 ტონა შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2014-2018 წლების მიხედვით.
- **ბოსტნეულის** საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1.5 ტონით (20.5%) გაიზარდა და 8.8 ტონა შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2014-2018 წლების მიხედვით. რაც შეეხება ცალკეული ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობებს, საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ყველა ძირითადი ბოსტნეული საჰექტარო მოსავლიანობა, კერძოდ:
 - კომბოსტო - გაიზარდა 9.0 ტონით (43.1%) და 2016-2018 წლებში მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია (მონაცემები ბოსტნეული კულტურების საჰექტარო მოსავლიანობის შესახებ ხელმისაწვდომია 2016 წლიდან);
 - პომიდორი - გაიზარდა 1.2 ტონით (12.2%) და 2016-2018 წლებში მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია;
 - კიტრი - გაიზარდა 2.7 ტონით (27.8%) და 2016-2018 წლებში მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია;
 - ხახვი ბოლქვად - გაიზარდა 0.7 ტონით (11.7%);
 - ნიორი - გაიზარდა 0.2 ტონით (6.5%) და 2016-2018 წლებში მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია;

- **სიმინდის** საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 0.9 ტონით (50.0%) გაიზარდა და 2.7 ტონა შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2014-2018 წლების მიხედვით.
- **ხორბლის** საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 0.3 ტონით (13.6%) გაიზარდა და 2.5 ტონა შეადგინა.
- **ქერის** საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 0.2 ტონით (10.0%) გაიზარდა და 2.2 ტონა შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2014-2018 წლების მიხედვით.



ერთწლიანი კულტურების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის ცვლილება, 2018 წელი 2017 წელთან შედარებით



უნდა აღინიშნოს, რომ **2018 წელს**, 2014-2018 წლების მიხედვით, **კარტოფილის, ბოსტნეულის, სიმინდის და ქერის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია.**

საქსტატი აქვეყნებს ფერმის კართან ფასებს შემდეგი ერთწლოვანი კულტურებისათვის: ხორბალი, ქერი, სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, კომბოსტო, პომიდორი, კიტრი და ხახვი. 2014-2018 წლების მიხედვით, აღნიშნული კულტურების წილი ერთწლიანი კულტურების მთლიან წარმოებაში, საშუალოდ 80%-ს შეადგენს, ხოლო ნათეს ფართობებში დაახლოებით 70%-ს. **2018 წელს წარმოებული აღნიშნული კულტურების მიმდინარე ღირებულებამ, ფერმის კართან ფასებით გადაანგარიშებით, 436 მლნ ლარი შეადგინა, რაც 93 მლნ ლარით (27.1%) აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, გაანგარიშებულს შესაბამისი პერიოდის წარმოებით და ფერმის კართან ფასების მიხედვით.**

3.2. მეცხოველეობის სექტორის სტატისტიკური ანალიზი

2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები - მეცხოველეობა

აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში, სასოფლო მეურნეობის სარგებლობაში საშუალოდ 3.7 ერთეული მსხვილფერა რქოსანი პირუტყვი, 41.7 ერთეული ცხვარი და თხა, 2/3 ერთეული ღორი, 22.5 ერთეული ფრინველი და 11.6 ერთეული ფუტკრის ოჯახია, თუმცა განსხვავებული მდგომარეობაა რეგიონების მიხედვით:

- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო რაოდენობა ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთის რეგიონშია (5.95 ერთეული), ხოლო ყველაზე დაბალი გურიის რეგიონში (2.67 ერთეული);
- მეცხვარეობა ყველაზე მეტად განვითარებულია კახეთის რეგიონში, სადაც, მეურნეობის სარგებლობაში საშუალოდ 138.1 ერთეული ცხვარი და თხაა, მაშინ როდესაც, მეორე ადგილზე მყოფი ქ. თბილისისათვის, ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 38.26 ერთეულს შეადგენს. მეცხვარეობა ყველაზე ნაკლებადა არის განვითარებული რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთისა და გურიის რეგიონებში, სადაც მეურნეობას სარგებლობაში საშუალოდ 2.60 და 2.91 ერთეული ცხვარი და თხა ყავს.
- მეურნეობის სარგებლობაში არსებული ღორის საშუალო რაოდენობა ყველაზე მაღალი ქვემო ქართლის რეგიონში, ხოლო ყველაზე დაბალი იმერეთის რეგიონშია, სადაც აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად 4.62 და 1.49 ერთეულს შეადგენს.
- მეფრინველეობის მხრივ გამოირჩევა ქ. თბილისი, სადაც მეურნეობის სარგებლობაში საშუალოდ 123.15 ერთეული ფრინველია. აღნიშნული განპირობებულია ქ. თბილისში არსებული უმსხვილესი მეფრინველეობის ფაბრიკებით. ანალოგიური მაჩვენებელი ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ, 8.09 ერთეული;
- რაც შეეხება მეფუტკრეობას, დარგი თითქმის თანაბრად არის განვითარებული ყველა რეგიონში და მეურნეობის სარგებლობაში არსებული ფუტკრის ოჯახების საშუალო რაოდენობა 8.30 ერთეულიდან (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი) 15.47 ერთეულამდე მერყეობს (კახეთის რეგიონი)

მეურნეობაზე (ერთეული)						
ადგილმდებარეობა	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ცხვარი და თხა	ღორი	ფრინველი	ფუტკრის ოჯახი (სკა)	
ქვემო ქართლი	4.49	35.78	4.62	46.91	9.47	
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3.88	5.62	2.88	19.13	10.69	
აჭარის არ	2.90	8.84	2.59	12.23	14.65	
კახეთი	5.10	138.10	2.49	24.13	15.47	
ქ. თბილისი	3.03	38.26	2.47	123.15	11.30	
საქართველო	3.70	41.69	2.27	22.51	11.64	
მცხეთა-მთიანეთი	4.04	22.00	2.05	21.70	10.89	
შიდა ქართლი	2.91	20.76	1.93	16.77	9.68	
სამცხე-ჯავახეთი	5.95	16.78	1.92	10.58	13.33	
გურია	2.67	2.91	1.82	16.98	10.50	
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3.22	2.60	1.69	8.09	8.30	
იმერეთი	2.74	5.34	1.49	16.45	11.15	

მეურნეობების დიდ ნაწილს, სარგებლობაში გააჩნია მცირე რაოდენობის პირუტყვი.

- იმ მეურნეობებიდან, რომელთაც სარგებლობაში გააჩნიათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 79.5%-ის სარგებლობაში 1-4 სულია.
- იმ მეურნეობებიდან, რომელთაც სარგებლობაში გააჩნიათ ღორი, 93.0%-ის სარგებლობაში 1-4 სულია.
- იმ მეურნეობებიდან, რომელთაც სარგებლობაში გააჩნიათ ფრინველი, 97.4%-ის სარგებლობაში 1-49 სულია, ხოლო 34.2-ის სარგებლობაში - 1-9 სული.

ძირითადი ტენდენციები - მეცხოველეობა

იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემები მეცხოველეობის შესახებ შესადარისია 2014-2018 წლების მიხედვით, ჩვენს მიერ ჩატარებული სტატისტიკური ანალიზი აღნიშნულ პერიოდს მოიცავს.


პირუტყვის სულადობა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია პირუტყვის სულადობა წლების მიხედვით.

პირუტყვის, ფრინველისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა (წლის ბოლოსათვის, ათასი სული)					
	2014	2015	2016	2017	2018
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	970.0	992.1	962.7	909.7	878.9
აქედან:					
2 წელზე უფროსი	-	-	577.7	541.5	518.4
ფური და ფურკამეჩი	563.0	545.0	509.3	477.4	458.0
ღორი	169.7	161.5	136.2	150.7	163.2
ცხვარი და თხა	919.6	891.4	936.5	907.0	869.5
აქედან:					
ცხვარი	865.9	841.6	875.9	855.9	819.1
ფრინველი, ათასი ფრთა	6 657.8	8 308.6	8 237.8	8 386.0	8 110.9
ფუტკრის ოჯახი, ათასი სკა	190.7	197.1	205.3	240.6	257.8

პირუტყვის სულადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის და ქვემო ქართლის რეგიონები. აღნიშნულ რეგიონებში, პირუტყვის სულადობის ჯამური მაჩვენებელი ქვეყნის აგრეგირებული მაჩვენებლის 50-55%-ს შეადგენს.

2014-2018 წლებში, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა კლების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნულ პერიოდში, მრკ-ს სულადობა 91.1 ათასი სულით (9.4%) შემცირდა. მრკ-ს სულადობის შემცირების მიზეზი, ცოცხალი მრკ-ს გაზრდილი ექსპორტია, განსაკუთრებით 2016 წლიდან. 2014-2018 წლებში, სულ განხორციელდა 485 ათასი ცოცხალი მრკ-ს ექსპორტი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2014-დან 2016 წლამდე, მრკ-ს დაცემის მაჩვენებელი 67.2 ათასიდან 83.7 ათასამდე გაიზარდა, რამაც ასევე უარყოფითი გავლენა იქონია პირუტყვის სულადობაზე. რაც შეეხება 2016-2018 წლებს, აღნიშნული მაჩვენებელი 55.8 ათასამდე შემცირდა.



ღორის სულადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთის, იმერეთის და ქვემო ქართლის რეგიონები. აღნიშნულ რეგიონებში, ღორის სულადობის ჯამური მაჩვენებელი ქვეყნის აგრეგირებული მაჩვენებლის 70-80%-ის ფარგლებში მერყეობს.

2014-2018 წლებში, ღორის სულადობის აბსოლუტური მატების მაჩვენებელი ცვალებადი ტენდენციით ხასიათდებოდა.


2014-2016 წლებში, ქვეყანაში გავრცელდა ღორის დაავადება - აფრიკული ცხელება, რამაც აღნიშნულ პერიოდში გაზარდა ღორის დაცემის მაჩვენებელი, 58.1 ათასი სულიდან 82-84 ათას სულამდე. ამავე პერიოდში, 100 დედა ღორზე გოჭის საშუალო ნამატი 910-დან 865 სულამდე შემცირდა. აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა, 2014-დან 2016 წლამდე ღორის სულადობის შემცირება 33.5 ათასი სულით (19.7%).

2017 წლიდან, ზემოთ აღნიშნული დაავადების გავრცელების მასშტაბი შემცირდა, რაც აისახა როგორც გოჭის ნამატის, ასევე ღორის დაცემის მაჩვენებლებზე, კერძოდ:

- 2016-დან 2018 წლამდე, 100 დედა ღორზე გოჭის საშუალო ნამატი 865-დან 1067 სულამდე გაიზარდა. საბაზისო (2016 წელი - საბაზისო) აბსოლუტური მატების მაჩვენებელმა 202 სული, ხოლო საბაზისო მატების ტემპმა 23.4% შეადგინა.
- 2016-დან 2018 წლამდე, ღორის დაცემის წლიური მაჩვენებელი 84.0 ათასიდან 76.1 ათასამდე შემცირდა. საბაზისო (2016 წელი - საბაზისო) აბსოლუტური კლების მაჩვენებელმა (-8) ათასი სული, ხოლო საბაზისო მატების ტემპმა (-9.4%) შეადგინა.

ამასთან, 2015 წელს და განსაკუთრებით 2016 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ცოცხალი ღორის იმპორტი. 2015-2018 წლებში განხორციელდა 122.8 ათასი სული ცოცხალი ღორის იმპორტი.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, 2017-2018 წლებში, ღორის სულადობა მზარდი იყო და 2018 წელს, 2016 წელთან შედარებით 27 ათასი სულით (19.8%) გაიზარდა.




ცხვრის და თხის სულადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონები. აღნიშნულ რეგიონებში, ცხვრის და თხის სულადობის ჯამური მაჩვენებელი ქვეყნის აგრეგირებული მაჩვენებლის 75-80%-ის ფარგლებში მერყეობს.

2014-2018 წლებში, ცხვრის სულადობის დინამიკა ცვალებადი ტენდენციებით ხასიათდებოდა, რაზეც სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებდა. ცხვრის სულადობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია საგარეო ვაჭრობის და ცხვრის დაცემის მაჩვენებლები.

- 2014-2017 წლებში, ცოცხალი ცხვრის წმინდა იმპორტის უარყოფითი მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო, თუმცა კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. რაც შეეხება 2018 წელს, ცოცხალი ცხვრის იმპორტმა გადააჭარბა ექსპორტს და წმინდა იმპორტმა 59.2 ათასი სული შეადგინა.
- 2016 წლიდან იზრდება ცხვრის ხორცის ექსპორტის მაჩვენებელი და განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელს აღწევს 2017-2018 წლებში. აღნიშნულ პერიოდში, ცხვრის ხორცის ექსპორტის ზრდამ განაპირობა ცხვრის ხორცის წარმოების და შესაბამისად, ცხვრის დაკვლის მაჩვენებლის ზრდა.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, 2014-დან 2018 წლამდე ცხვრის სულადობის აბსოლუტური საბაზისო კლების ტემპმა 5.4%, ხოლო საბაზისო აბსოლუტურმა კლებამ 50.1 ათასი სული შეადგინა. ცხვრის და თხის სულადობის კლების ტენდენცია განსაკუთრებით სტაბილური იყო 2016 წლის შემდეგ პერიოდში.



ფრინველის სულადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ქვემო ქართლის რეგიონი. აღნიშნულ რეგიონში, ფრინველის სულადობის მაჩვენებელი ქვეყნის აგრეგირებული მაჩვენებლის 40-45%-ის ფარგლებში მერყეობს.

2014-2018 წლებში ფრინველის სულადობის მაჩვენებელი სტაბილური იყო, თუ არ ჩავთვლით 2015 წელს, როდესაც ფრინველის სულადობა წინა წელთან შედარებით 24.8%-ით შემცირდა. 2015 წელს დაფიქსირებულმა ფრინველის სულადობის აბსოლუტური კლების მაღალმა მაჩვენებელმა განაპირობა 2014-დან 2018 წლამდე მაჩვენებლის 1.5 მლნ ფრთით (21.8%) შემცირება.

რაც შეეხება ფუტკრის ოჯახების რაოდენობის მაჩვენებელს, 2014-2018 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და დროითი მწკრივის საბაზისო აბსოლუტურმა მატებამ 67.1 ათასი ოჯახი, ხოლო საბაზისო მატების ტემპმა 35.2% შეადგინა.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება

2014-დან 2018 წლამდე ხორცის წარმოების საბაზისო აბსოლუტურმა მატებამ 13.3 ათასი ტონა, ხოლო საბაზისო მატების ტემპმა 22.4% შეადგინა. ხორცის წარმოების ზრდაში მაღალი წვლილი აქვს ფრინველის და ცხვრისა და თხის წარმოების ზრდას, რამაც აღნიშნულ პერიოდში, შესაბამისად 8.0 ათასი (54.8%) და 5.0 ათასი (122.0%) ტონა შეადგინა. ხორცის წარმოების ზრდამ განაპირობა ქვეყნის ხორციით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ზრდა, კერძოდ, 2018 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 52% შეადგინა, რაც 9 პროცენტული პუნქტით აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2014-დან 2018 წლამდე რძის წარმოების საბაზისო აბსოლუტურმა კლებამ 33.5 მლნ ლიტრი, ხოლო საბაზისო კლების ტემპმა 5.7% შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, რძის წარმოების შემცირება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და მათ შორის, ფურის და ფურკამეჩის სულადობის შემცირებამ განაპირობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით 2014-2017 წლებისაგან, 2018 წელს წინა წელთან მიმართებაში რძის წარმოება გაიზარდა, კერძოდ 26,9 მლნ ლიტრით (5.1%).

მიუხედავად ფრინველის სულადობის კლების ტენდენციისა, 2014-2018 წლებში კვერცხის წარმოების ტრენდი მზარდი იყო და აღნიშნულ პერიოდში, საბაზისო აბსოლუტურმა მატებამ 82.9 მლნ ცალი, ხოლო საბაზისო მატების ტემპმა 15.0% შეადგინა.

ფუტკრის ოჯახების რაოდენობის ზრდა პირდაპირ პროპორციულად აისახა თაფლის წარმოებაზე, კერძოდ, 2014-დან 2018 წლამდე თაფლის წარმოების საბაზისო აბსოლუტურმა მატებამ 0.6 ათასი ტონა, ხოლო საბაზისო მატების ტემპმა 31.6% შეადგინა.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება (ათასი ტონა)					
	2014	2015	2016	2017	2018
ხორცი, სულ	59.3	66.7	66.1	66.2	72.6
მათ შორის:					
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი	22.8	24.4	21.5	21.4	22.9
ღორის ხორცი	17.3	18.7	16.1	15.5	17.6
ცხვრისა და თხის ხორცი	4.1	4.8	4.6	6.7	9.1
ფრინველის ხორცი	14.6	18.4	23.5	22.3	22.6
რძე (მლნ. ლიტრი)	588.8	566.3	540.1	528.4	555.3
კვერცხი (მლნ. ცალი)	551.9	602.5	590.4	600.1	634.8
თაფლი	1.9	2.0	2.1	2.5	2.5

3.3. სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაში

მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში

მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს და შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში, თევზჭერაში, მეთევზეობაში (შემდეგში - „სოფლის მეურნეობის სექტორი“) შექმნილი მშპ-ს დროითი მწკრივი ყველაზე უკეთ ასახავს სექტორის განვითარების ძირითად ტენდენციას.

2003 წელს, სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი მშპ მუდმივ ფასებში, 1,877.7 მლნ ლარს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდში, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სექტორს მთლიან ეკონომიკაში მაღალი წილი ეკავა, კერძოდ, 15.7%, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ დასაქმებულთა 50% სოფლის მეურნეობის სექტორში იყო დასაქმებული, პრობლემები არსებობდა სხვა სექტორებშიც და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში.


2003-2018 წლები, სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე პროცესების კუთხით, შეიძლება დავყოთ ორ პერიოდად - 2003-2012 და 2013-2018 წლები, ვინაიდან, ორი სხვადასხვა ხელისუფლების პერიოდში, სოფლის მეურნეობის მიმართ რადიკალურად განსხვავებული მიდგომები იყო.

2003-2012 წლებში, სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი მშპ მუდმივ ფასებში 301.0 მლნ ლარით (16.0%) შემცირდა და 2012 წელს 1,576.7 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, მშპ-ს აბსოლუტური მატების საშუალო წლიური ტემპი (-33.4) მლნ ლარს, ხოლო საშუალო წლიური ზრდის ტემპი - (-1.9)%-ს შეადგენდა.

თუ 2003-2012 წლების მშპ-ს მაჩვენებლებს გავაანალიზებთ საშუალო ვადიანი (5 წლიანი ინტერვალი) პერიოდების მიხედვით, სექტორში შექმნილი მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი ყველაზე „მაღალი“ იყო 2004-2008 წლებში, კერძოდ, (-0.7%). ამავე პერიოდში, სექტორში შექმნილი მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი ყველაზე დაბალი 2005-2009 წწ პერიოდში იყო, კერძოდ, (-5.0)%. აღნიშნულ პერიოდში, მაჩვენებელი 359.4 მლნ ლარით (18.6%) შემცირდა. აღნიშნული ურთიერთსაპირისპირო ტენდენციის დროში (2004-2008 წწ და 2005-2009 წწ) თანაკვეთა განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ 2003-2012 წლების მიხედვით, სექტორში შექმნილი მშპ 2005 წელს ყველაზე მაღალი იყო, ხოლო

2009 წელს კლების მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო. ამასთან, 2006 წელს, რუსეთის ფედერაციის მიერ ქართულ პროდუქციაზე დაწესებულმა ეკონომიკურმა ემბარგომ, მნიშვნელოვნად იმოქმედა სოფლის მეურნეობის სექტორზე მომდევნო წლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის რუსეთთან ომმა, მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის სექტორზე, არამედ ქვეყნის მთლიან ეკონომიკაზე, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2005-2009 წლებში, ქვეყნის ეკონომიკის (მშპ საბაზისო ფასებში) საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 4.8% შეადგინა.


2018 წელს, 2012 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი მშპ მუდმივ ფასებში 182.7 მლნ ლარით (11.6%) გაიზარდა და 1,759.4 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, მშპ-ს აბსოლუტური მატების საშუალო წლიური ტემპი 30.5 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო საშუალო წლიური ზრდის ტემპი - 1.8%-ს.



თუ 2012-2018 წლების მშპ-ს მაჩვენებლებს გავანალიზებთ საშუალო ვადიანი (5 წლიანი ინტერვალი) პერიოდების მიხედვით, სექტორში შექმნილი მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 3.6-3.8%-ის ფარგლებში მერყეობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2003-2018 წწ პერიოდში, საშუალო წლიური ზრდის ტემპმა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2010-2014 წლებში მიაღწია და 4.3% შეადგინა.

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში დასაქმებულთა საშუალო მწარმოებლურობაზე და შესაბამისად, სექტორის ანალიზისას მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს სექტორში საშუალოდ 1 დასაქმებულზე გაანგარიშებული მშპ. აღნიშნული მაჩვენებელი, 2003 წლიდან 2018 წლამდე 27%-ით გაიზარდა და 2,669 ლარი შეადგინა. 2003 წლიდან 2012


წლამდე მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და აღნიშნულ პერიოდში საშუალო წლიური ზრდის ტემპმა (-0.4%), ხოლო 2012 წლიდან 2018 წლამდე 4.7% შეადგინა. 2012 წლიდან, საშუალოდ სექტორში 1 დასაქმებულზე გაანგარიშებული მშპ-ს ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ ამავე პერიოდში სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა 15.4%-ით, ხოლო მათი წილი დასაქმებულთა მთლიან რიცხოვნობაში 8.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2018 წელს 38.9% შეადგინა.




მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში



სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია აგრეთვე მშპ მიმდინარე ფასებში, რაზეც გავლენას ახდენს არა მხოლოდ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა, არამედ მიმდინარე ფასებიც. სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი მშპ მიმდინარე ფასებში ხელმისაწვდომია 1996 წლიდან.

1996 წელს, სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი მშპ მიმდინარე ფასებში, 1,282.5 მლნ ლარს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდში, ქვეყანაში უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო და ეკონომიკა დანგრეული, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო საკუთარ მეურნეობაში მოწეული მოსავალი იყო, მაღალი იყო უმუშევრობის დონე. აქედან გამომდინარე, დამატებული ღირებულება ძირითადად იქმნებოდა სოფლის მეურნეობის სექტორში და შესაბამისად მისი წილი მთლიან ეკონომიკაში ძალიან მაღალი იყო, კერძოდ, 34%.



1996-2018 წლებში, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი, უმეტეს შემთხვევებში აღემატებოდა სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდის მაჩვენებელს. თუ გავანალიზებთ აღნიშნულ ტენდენციას 5 წლიანი ინტერვალებით, ამ მხრივ, სოფლის მეურნეობის სექტორისათვის ყველაზე მძიმე პერიოდი 2003-2008 წლები იყო, როდესაც ქვეყნის ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 17.4-17.5 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა სოფლის მეურნეობის სექტორის საშუალო წლიური ზრდის ტემპს. აღნიშნულის საპირისპიროდ, 2010-2014 წლებში სოფლის მეურნეობის სექტორის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2.8 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქვეყნის ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპს.






მოცემული დიაგრამებზე ასახული მონაცემები, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სოფლის მეურნეობის სექტორისადმი დამოკიდებულება, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვადასხვა ხელისუფლების პერიოდში და შესაბამისად აისახებოდა სექტორის განვითარებაზე. 1996-2003 წლებში, სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 3.7%-ს შეადგენდა, 2003-2012 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 1.8%-მდე დაეცა, ხოლო 2012-2018 წლებში - 6.0%-მდე გაიზარდა. ამასთან, 1996-დან 2003 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი მშპ 370.5 მლნ ლარით (28.9%), 2003-დან 2012 წლამდე 280.4 მლნ ლარით (17.0%), ხოლო 2012-დან 2018 წლამდე 803.0 მლნ ლარით (41.5%) გაიზარდა.


სოფლის მეურნეობის სექტორის ანალიზი მნიშვნელოვანია აგრეთვე ქვესექციების დონეზე, რაც უფრო ნათელ სურათს იძლევა, თუ რის ხარჯზე ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა ან რა აბრკოლებდა მისი განვითარების ტემპს.

მშპ ეკონომიკური საქმიანობის 45 სახეობის მიხედვით ხელმისაწვდომია 2006 წლიდან. 2006-დან 2018 წლამდე, მემცენარეობის დარგში, მშპ-ს აბსოლუტურმა მატებამ 636.7 მლნ ლარი, ხოლო მატების ტემპმა 103.9% შეადგინა. თუ გავანალიზებთ ჯაჭვური აბსოლუტური მატების მაჩვენებლებს, 2006-2018 წწ პერიოდში, ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია 2013 წელს, კერძოდ, 219.9 მლნ ლარს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2006-2012 წლებში, საშუალო აბსოლუტურმა მატებამ 22.9 მლნ ლარი, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპმა 3.4% შეადგინა, მაშინ როდესაც, 2012-2018 წლებში ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად, 83.2 მლნ ლარს და 8.9%-ს შეადგენდა. 2013 წლიდან მემცენარეობის დარგის განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო სახელმწიფოს მიერ დაწყებულმა სხვადასხვა პროგრამებმა.

რაც შეეხება მეცხოველეობის დარგს, 2006-დან 2018 წლამდე, მშპ-ს აბსოლუტურმა მატებამ 544.2 მლნ ლარი, ხოლო მატების ტემპმა 74.7% შეადგინა. 2006-2012 და 2012-2018 წლებში საშუალო აბსოლუტური მატების და საშუალო წლიური მატების ტემპები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2006-2018 წლებში, სასოფლო-სამეურნეო მომსახურების დარგში მშპ-ს მატების ტემპი საკმაოდ მაღალი იყო და 179.5% შეადგინა, მისი მაშტაბიდან გამომდინარე, აბსოლუტურმა მატებამ მხოლოდ 78.6 მლნ ლარი შეადგინა და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში აღნიშნული დარგის წვლილი დაბალია.






სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ის გარემოება, რომ შექმნილ მშპ-ში ძალიან დიდია საოჯახო მეურნეობების წილი, თუმცა ბოლო წლებში იზრდება ბიზნეს სექტორის წილი. 2006-დან 2017 წლამდე აღნიშნული მაჩვენებელი 4.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 5.6% შეადგინა.



ბიზნეს სექტორში გაცილებით მაღალია თითოეული დასაქმებულის მწარმოებლურობა. 2006-დან 2017 წლამდე, სოფლის მეურნეობის სექტორში 1 დასაქმებულზე გაანგარიშებული მშპ-ს მატების ტემპმა 88.4% შეადგინა, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი ბიზნეს სექტორში 207.8%-ს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2006-დან 2018 წლამდე, დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა, რამაც გაზარდა ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა წილი მთლიანად დასაქმებულებში, თუმცა ჯერ კიდევ კრიტიკულად დაბალია და დაახლოებით 2%-ს შეადგენს.




3.4 დასაქმება და ხელფასები

დასაქმება

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების ანალიზისას, პირველ რიგში განვიხილოთ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა.


2004-2018 წლების დროითი მწკრივის მიხედვით, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ცვალებადი იყო, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ფაქტორების გავლენით. ქვეყანაში, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის მნიშვნელოვანი კლება აღინიშნება 2010-2013 წლებში, კერძოდ, 2009 წლიდან 2013 წლამდე, ქვეყანაში, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 109 ათასი კაცით, რაც გამოწვეული იყო მაღალი მიგრაციით. საქსტატის მონაცემებით, 2010-2013 წლებში, მიგრაციული სალდოს ჯამურმა მაჩვენებელმა 91 ათასი კაცი შეადგინა. ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესი შესაბამისად აისახა სასოფლო დასახლებებზეც, კერძოდ, 2009 წლიდან 2013 წლამდე, სოფლის მოსახლეობაში, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა 63 ათასი კაცით შემცირდა.

15 წლის და უფროსი ასაკის სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება წინა წელთან (ათასი კაცი)



დიაგრამა გვიჩვენებს, რომ 2003-2008 წლებში, სოფლად, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა გარკვეული სტაბილურობით ხასიათდებოდა, თუმცა 2004-2007 წლებში, მოსახლეობის ნაწილი სამუშაო ძალიდან გადიოდა. თუ გავითვალისწინებთ სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგიას და მოცემული კატეგორიის დეფინიციებს, ნათელი გახდება, რომ აღნიშნულ პერიოდში, სოფლის მოსახლეობა სხვადასხვა მიზეზების გამო კარგავდა სამუშაოს პოვნის იმედს. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს აგრეთვე აქტიურობის დონის მაჩვენებელიც, კერძოდ, 2003-დან 2007 წლამდე, აქტიურობის დონე 75.3%-დან 69.8%-მდე შემცირდა. ამავე პერიოდში სოფლად დასაქმების დონე 72.2%-დან 65.1%-მდე შემცირდა, ხოლო უმუშევრობის დონე 4.1%-დან 6.8%-მდე გაიზარდა.

დასაქმების მაჩვენებლები სოფლად (%)



2008 წლიდან 2012 წლამდე, ადგილი აქვს სოფლად 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრ შემცირებას, რაც გამოწვეულია მიგრაციის გაზრდილი მაჩვენებლით. აღნიშნულ პერიოდში გაზრდილი მიგრაციის სავარაუდო მიზეზი შეიძლება იყოს, ერთის მხრივ, 2008 წელს განვითარებული საომარი მოქმედებები და მეორეს მხრივ, 2006 წლიდან რუსეთის მიერ ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე დაწესებული ემბარგო, რასაც მძიმე შედეგები ჰქონდა ქვეყნის და განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობაზე. აღნიშნულ პერიოდში, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის შემცირება, ძირითადად განპირობებული იყო არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებით (გაზრდილი მიგრაციით), ხოლო დასაქმებულთა და უმუშევართა რიცხოვნობა (და შესაბამისად, აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა) მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. აღნიშნულმა განაპირობა ის ფაქტი, რომ 2008-2012 წლებში უმუშევრობის დონე სტაბილური იყო, ხოლო აქტიურობის და დასაქმების დონე გაიზარდა.


2013 წლიდან, სოფლად, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის კლების ტემპი მცირდება, ხოლო 2017-2018 წლებში აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება. 2013-2017 წლებში, სოფლად უმუშევრობის დონე 7.2%-დან 5.1%-მდე შემცირდა, ხოლო დასაქმები დონე 69.0%-დან 72.3%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 5.8% შეადგინა, დასაქმების დონე 3.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 68.9% შეადგინა, ხოლო აქტიურობის დონე 3.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 73.1% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში უმუშევართა რიცხოვნობა 5.6 ათასი კაცით გაიზარდა, ხოლო დასაქმებულთა რიცხოვნობა 40.1 ათასი კაცით

შემცირდა, შესაბამისად, 34.5 ათასი კაცი სამუშაო ძალიდან გადავიდა არააქტიური მოსახლეობის კატეგორიაში და მიზეზებს დამატებითი ანალიზი ჭირდება.

სოფლის მეურნეობის სექტორის ანალიზისას, მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს აგრეთვე სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობის მაჩვენებელი და მისი დინამიკა. აღნიშნული მაჩვენებელი ხელმისაწვდომია 2002 წლიდან.

2002 წელს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 885 ათასი კაცი, რაც დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობის 50.5%-ს შეადგენდა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის წილის შემცირება დაიწყო 2009 წლიდან და 2018 წლისთვის 38.9%-მდე დავიდა. აღნიშნული ტენდენციის ძირითადი მიზეზი, სამუშაო ძალის სხვა სექტორებში გადასვლა იყო, ვინაიდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა სხვა სექტორებში დასაქმებიდან მიღებულ შემოსავლებს, განსაკუთრებით ბოლო წლებში, როდესაც სხვა სექტორების ზრდის ტემპი უფრო მაღალი იყო.




ხელფასები

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ტენდენცია აისახება სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის დინამიკაშიც. საქსტატის მიერ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიცირება ხდებოდა NACE1 კლასიფიკატორის და ბოლო წლებში, NACE2 კლასიფიკატორის მიხედვით. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასების მაჩვენებლები, NACE2 კლასიფიკატორის მიხედვით ხელმისაწვდომია 2014 წლიდან, ხოლო NACE1

კლასიფიკატორის მიხედვით - 1998 წლიდან. აღნიშნულ ორ კლასიფიკატორს შორის არის გარკვეული განსხვავება, კერძოდ, NACE1 კლასიფიკატორით ერთმანეთისგან გამიჯნულია „სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა“ და „თევზჭერა, მეთევზეობა“, ხოლო NACE2 კლასიფიკატორში „სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“ ერთ კატეგორიად განიხილება და აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობა არ მოიცავს ნადირობას. განვიხილოთ ორივე კლასიფიკატორის მიხედვით არსებული დროითი მწკრივი:

NACE2 კლასიფიკატორის მიხედვით მონაცემები ხელმისაწვდომია 2014 წლიდან. 2014 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 501.1 ლარს შეადგენდა და ქვეყნის მაშტაბით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 61.3%-ს შეადგენდა. 2014-დან 2018 წლამდე, აღნიშნული მაჩვენებელი 231.3 ლარით (46.2%) გაიზარდა და 732.4 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის ზრდის ტემპი შედარებით დაბალი იყო და 37.4% შეადგინა, რამაც შეამცირა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის გადახრა ქვეყნის საშუალო მაჩვენებლიდან (-38.7%)-დან (-34.8%)-მდე.




NACE1 კლასიფიკატორის მიხედვით მონაცემები ხელმისაწვდომია 1998 წლიდან. 1998 წელს, სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი მხოლოდ 15.8 ლარს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი იყო და ყველა სხვა სექტორში არსებული ხელფასები ძალიან დაბალი იყო,

სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო სექტორებს შორის (აღემატებოდა, მხოლოდ თევზჭერისა და მეთევზეობის სექტორს). 1998-დან 2018 წლამდე სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასები 45-ჯერ გაიზარდა 715.1 ლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ 1998-2018 წლებში, სექტორში დასაქმებულთა ხელფასების საბაზისო (საწყისი წელი - 1998 წელი) აბსოლუტური მატების მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო სექტორებს შორის, მაჩვენებლის საბაზისო მატების ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო და ჩამოუვარდებოდა მხოლოდ თევზჭერისა და მეთევზეობის სექტორს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში, სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის გადახრა ქვეყნის საშუალო მაჩვენებლიდან (-71.5%)-დან (-36.4%)-მდე შემცირდა.


1998-2018 წლებში, როგორც ჯაჭვური აბსოლუტური მატების, ასევე ჯაჭვური მატების ტემპის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2008 წელს, როდესაც სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ზრდამ წინა წელთან მიმართებაში 114.4 ლარი (45.3%) შეადგინა.

თუ სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასების დინამიკური მწკრივის საშუალო წლიური მატების ტემპის მაჩვენებელს გავანალიზებთ 5 წლიანი პერიოდების მიხედვით, 1998-2018 წწ პერიოდში, ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია 2004-2008 წლებში, კერძოდ 44.8%-ს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2003-2012 და 2013-2018 წლებს (სხვადასხვა ხელისუფლება), აღნიშნული მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო 2003-2012 წლებში, თუმცა ეს განპირობებული იყო ნომინალური ხელფასის დაბალი მაჩვენებლით და ხელფასის მცირე ზრდაც აბსოლუტურ გამოსახულებაში აისახებოდა ხელფასის მაღალ ზრდაში პროცენტულ გამოსახულებაში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1998-2018 წწ პერიოდში, 5 წლიანი ინტერვალებისათვის, დინამიკური მწკრივის საშუალო აბსოლუტური მატების მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო 2012 წლის შემდგომ პერიოდში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2003-დან 2012 წლამდე, სექტორში დასაქმებულთა ხელფასები 9-ჯერ გაიზარდა, ხოლო 2012-დან 2018 წლამდე მხოლოდ 1.7-ჯერ.

სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი



სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილება 5 წლიან ინტერვალებში



დასკვნა

მიუხედავად განხორციელებული პროგრამებისა და მისი დადებითი შედეგებისა, სამინისტროს და შესაბამისად, ხელისუფლების მთავარ გამოწვევებად სექტორში კვლავ რჩება:

- **ღირებულებათა ჯაჭვის თითოეული რგოლის გაძლიერება**, რათა გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა, განსაკუთრებით კი სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, რაც შესაძლებელს გახდის ადგილობრივმა წარმოებამ ეტაპობრივად ჩაანაცვლოს იმპორტი.
- **მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა**, რაც გაზრდის მწარმოებლობის მაჩვენებლებს. ამჟამად, ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორი, მწარმოებლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება განვითარებულ ქვეყნებს, რაც არაკონკურენტულ პირობებში აყენებს მათთან.
- **ადგილობრივი პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა**, რაც დადებითად აისახება როგორც თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებზე, ასევე გაზრდის ექსპორტის მაჩვენებელს, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ქვეყნებში.
- **იმპორტის ჩანაცვლება და საექსპორტო პროდუქციის ზრდა**, რაც დადებითად აისახება არა მხოლოდ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე, ასევე გაზრდის ადგილობრივი მწარმოებლების მოტივაციას, შეამცირებს ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინებას და ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის გამყარებას.
- **ბაზრების დივერსიფიკაცია**, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე, ეს კი საკმაოდ არასტაბილურ გარემოს ქმნის ქვეყნის ეკონომიკისათვის და ნებისმიერ დროს, რუსეთის ფედერაციის მიერ დაწესებულმა ემბარგომ შეიძლება მძიმე დარტყმა მიაყენოს სოფლის მეურნეობის სექტორს.
- **ბიო წარმოების ხელშეწყობა**, რადგან ბოლო წლებში განსაკუთრებულად გაიზარდა მოთხოვნა ბიოპროდუქტებზე
- **საკანონმდებლო რეგულირება**, განსაკუთრებით ეს ეხება პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რაც პირდაპირ კავშირშია როგორც სურსათის უვნებლობასთან, ასევე განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის ზრდასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კელიხაშვილი მ., „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაგალითზე“, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2012.
2. კოლუაშვილი პ., ბენია შ. აგრარული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები საქართველოში“, ჟ. ეკონომიკა, 2002.
3. კოლუაშვილი პ., საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება, რეალობა და პროგნოზი, თბილისი, 2004.
4. კოლუაშვილი პ., გიორგაძე პ. სურსათის წარმოების რეგიონალური ორიენტირები საქართველოში“ ჟ. მაცნე, 2003.
5. ხარაიშვილი ე. „ფერმერული მეურნეობები და მათი განვითარების ტენდენციები“, თსუ, შრომების კრებული, 2000 წელი
6. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020.
7. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მასალები.
8. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - საქართველო, ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა, 2012 წელი.
9. www.Geostat.ge მასალები.

**დანართი - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის
სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე
სახელმწიფო პროექტები: მიღებული და საპროგნოზო
შედეგები**

პროექტი “შელავათიანი აგროკრედიტი”

ცხრილი # 1: ძირითადი სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები (2013-2018 წ.წ.)

მაჩვენებელი	2013 წ. მარტი - - 2018 წ. დეკემბერი	აქედან: 2018 წ. იანვარი - 2018 წ. დეკემბერი
ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა (ლარი)	1,831,025,461	272,271,957
სააგენტოს თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)	244,445,796	59,938,250
ბანკების მიერ გაცემული კრედიტების რაოდენობა	34,141	4,149
უნიკალური ბენეფიციარების რაოდენობა	20,071	3,672

ცხრილი # 2: გაცემული კრედიტის სიდიდეები წლების მიხედვით (2013-2018 წ.წ.)

წელი	ბანკების მიერ გაცემული შელავათიანი აგროკრედიტი (ლარი)	კრედიტის პროცენტის სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)
2013	249,609,891	4,144,584
2014	481,066,433	29,308,928
2015	318,214,075	53,034,169
2016	199,977,030	49,129,574
2017	309,886,075	48,890,292
2018	272,271,956	59,938,250
სულ	1,831,025,461	244,445,796

ცხრილი # 3: საბრუნავი და ძირითადი საშუალებებისთვის გაცემული კრედიტები წლების მიხედვით (2013-2018 წ.წ.)

მიზნობრიობა	სესხის თანხა (ლარი)	სესხების რაოდენობა
საბრუნავი საშუალებებისთვის	533,041,109	11,839
ძირითადი საშუალებებისთვის	1,297,984,352	22,302
სულ	1,831,025,461	34,141

ცხრილი # 4: საბრუნავი და ძირითადი საშუალებებისთვის გაცემული კრედიტები წლების მიხედვით (2018 წ.)

მიზნობრიობა	სესხის თანხა (ლარი)	სესხების რაოდენობა
საბრუნავი საშუალებებისთვის	3,718,020	8
ძირითადი საშუალებებისთვის	268,553,937	4,141
სულ	272,271,957	4,149

ცხრილი # 5: სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები დარგების მიხედვით (2013-2018 წ.წ.)

დარგი	ბანკების მიერ გაცემული	ბანკების მიერ გაცემული	წელი ჯამურ კრედიტში	კრედიტის პროცენტის სახელმწიფო
-------	---------------------------	---------------------------	------------------------	----------------------------------

	კრედიტების რაოდენობა	კრედიტის სიდიდე (ლარი)	(%)	თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)
ყურძნის შესყიდვა	348	313,847,932	17.1	23,540,919
მესაქონლეობა	11,592	290,340,809	15.9	38,035,522
ღვინის წარმოება	365	128,339,533	7.0	27,466,391
მევენახეობა	2,320	110,751,329	6.0	13,047,129
მებაღეობა	1,240	94,719,841	5.2	13,945,528
მეცხვარეობა	3,479	93,816,623	5.1	12,755,079
სასათბურე მეურნეობა	1,486	80,524,097	4.4	12,142,526
მეფრინველეობა	708	62,557,093	3.4	11,271,567
შერეული	731	52,509,737	2.9	6,838,183
სხვა დარგები	11,872	603,618,468	33.0	85,402,951
სულ	34,141	1,831,025,461		244,445,796

ცხრილი # 6: სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები დარგების მიხედვით (2018 წ.)

დარგი	ბანკების მიერ გაცემული კრედიტების რაოდენობა	ბანკების მიერ გაცემული კრედიტის სიდიდე (ლარი)	წილი ჯამურ კრედიტში (%)	კრედიტის პროცენტის სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)
მევენახეობა	717	40,402,838	14.8	4,162,143
მესაქონლეობა	536	30,219,954	11.1	5,657,009
ღვინის წარმოება	134	26,923,292	9.9	7,549,325
მებაღეობა	274	26,133,831	9.6	5,868,279
მეფუტკრეობა	595	17,941,847	6.6	1,878,957
შერეული	253	13,619,164	5.0	3,143,835
ტექნიკა	383	13,106,502	4.8	356,089
შემნახველი მაცივრები	71	12,508,676	4.6	1,735,574
მეფრინველეობა	124	9,876,210	3.6	2,797,159
სხვა დარგები	1,062	81,539,644	29.9	26,789,881
სულ	4,149	272,271,956		59,938,250

კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაცემული კრედიტები

თარიღი	სულ საკრედიტო პორტფელი (ათასი ლარი)	აქედან: საკრედიტო პორტფელი სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და თევზჭერის დარგებში (ათასი ლარი)	წილი სრულ საკრედიტო პორტფელში (%)
01/01/2011	5,946,310	47,219	0.79
01/01/2012	7,449,543	59,868	0.80
01/01/2013	8,372,207	59,206	0.71
01/04/2013	8,401,257	56,251	0.67
01/01/2014	10,115,168	153,711	1.52
01/01/2015	12,478,505	281,454	2.26
01/01/2016	15,509,651	312,677	2.02
01/01/2017	18,512,300	377,293	2.04
01/01/2018	21,761,898	393,783	1.81
01/01/2019	25,902,382	406,154	1.57

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2013 წლის აპრილიდან 2019 წლის პირველ იანვრამდე მთლიანი საკრედიტო პორტფელი გაზრდილია 3.08-ჯერ (208 %-ით), ხოლო სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და თევზჭერის დარგებში გაცემული კრედიტების პორტფელი გაზრდილია 7.22-ჯერ (622 %-ით).

2013-2018 წლებში გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ბენეფიციარების (როგორც მეწარმე ფიზიკური პირების, ისე იურიდიული პირების) მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 766,457,625 ლარი.

ცხრილი # 7: შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ბენეფიციართა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები (2010-2017 წ.წ., მხოლოდ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ბენეფიციარები)

წელი	საწარმოთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები (ლარი)	მოცემულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების ზრდა 2012 წელთან შედარებით (ლარი)
2010	70,659,107	-
2011	94,944,612	-
2012	97,420,387	-
2013	111,187,102	13,766,715
2014	122,752,475	25,332,088
2015	129,262,629	31,842,242
2016	124,389,173	26,968,786
2017	133,301,287	35,880,900
2018	145,564,959	48,144,572
სულ		181,935,303

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2013-2018 წლებში ბიუჯეტში თითოეულ წელს გადახდილია 2012 წელთან შედარებით საშუალოდ 30.3 მლნ. ლარით მეტი.

გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ბენეფიციარების ერთობლივი შემოსავალი 2018 წელს 2.4-ჯერ აღემატება 2012 წლის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ერთობლივ შემოსავალს (136%-იანი ზრდა).

ცხრილი # 8: ბენეფიციართა ერთობლივი შემოსავლები წლების მიხედვით (გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ბენეფიციარები)

წელი	ერთობლივი შემოსავალი (ლარი)	ზრდა წინა წელთან შედარებით (ლარი)
2010	648,191,735	-
2011	804,402,849	156,211,114
2012	904,221,995	99,819,146
2013	1,273,194,509	368,972,514
2014	1,462,228,560	189,034,051
2015	1,467,827,153	5,598,593
2016	1,727,086,215	259,259,062
2017	1,988,946,070	261,859,855
2018	2,132,016,008	143,069,938

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

“შეღავათიანი აგროკრედიტის” პროექტის დაწყებიდან, 2013 წლიდან 2018 წლის ჩათვლით შექმნილია 12.5 ათასი ახალი სამუშაო ადგილი. დასაქმებულთა რაოდენობა

რეალურად მეტია, რადგანაც მოცემული მონაცემები მიღებულია მხოლოდ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ბენეფიციარების მაჩვენებლების მიხედვით.

ცხრილი # 9: დასაქმებულთა რაოდენობები წლების მიხედვით (მხოლოდ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული ბენეფიციარები (როგორც მეწარმე ფიზიკური პირები, ისე იურიდიული პირები))

წელი	სამუშაო ადგილი
2012	9,171
2013	15,365
2014	16,348
2015	14,745
2016	17,598
2017	18,603
2018	21,698

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

➤ გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი

ქვემოთ მოცემულია პროექტის ბენეფიციარი 45 საწარმოს უკვე მიღებული და საპროგნოზო შედეგები. 2018 წ. დეკემბრის მდგომარეობით ამუშავებულია 34 საწარმო. 45-ვე საწარმო სრული დატვირთვით ამუშავდება 2020 წელს. მაჩვენებლებში არაა გათვალისწინებული წარმოების ზრდა და მოცემულია გაყიდვების დაგეგმილი საშუალო საპროგნოზო სიდიდეები. ფაქტობრივი მონაცემების წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია, ხოლო საპროგნოზო მონაცემები აღებულია პროექტის საგრანტო კონკურსზე დამტკიცებული ბიზნეს-გეგმებიდან.

ცხრილი # 10: სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები დაფინანსებული საწარმოების დარგების მიხედვით (2014-2018 წ.წ.)

დარგი	საწარმოების რაოდენობა	ჯამური ინვესტიცია (ლარი) *	სახელმწიფო თანადაფინანსება, გრანტი (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების (გრანტის) წილი ჯამურ ინვესტიციაში (%)
ხილის გადამამუშავება	17	32,157,346	9,285,561	28.9
თხილის გადამამუშავება	8	12,791,837	3,986,088	31.2
რძის გადამამუშავება	7	6,234,600	2,692,075	43.2
ხორცისა და თევზის გადამამუშავება	4	4,532,840	1,747,866	38.6
დაფნის გადამამუშავება	2	2,434,795	945,351	38.8
ღვინის წარმოება	2	3,173,649	1,381,864	43.5
ჩაის და სანელებლების წარმოება	2	2,000,488	741,480	37.1
კომბინირებული საკვების წარმოება	1	1,750,000	611,810	35.0
მარცვლეულის გადამამუშავება	1	2,500,000	948,484	37.9

სოკოს ბრიკეტის/სოკოს წარმოება	1	2,863,885	598,255	20.9
ჯამი	45	70,439,440	22,938,834	32.6

ცხრილი # 11: სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები დაფინანსებული საწარმოების დარგების მიხედვით (2018 წ.)

დარგი	საწარმოების რაოდენობა	ჯამური ინვესტიცია (ლარი) *	სახელმწიფო თანადაფინანსება, გრანტი (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების (გრანტის) წილი ჯამურ ინვესტიციაში (%)
ხილის გადამამუშავება	2	2,585,050	950,800	36.8
დაფნის გადამამუშავება	1	941,090	376,436	40.0
რძის გადამამუშავება	1	548,500	219,400	40.0
ღვინის წარმოება	1	1,562,524	600,000	38.4
ჯამი	5	5,637,164	2,146,636	38.1

* ლარიზაციის პროგრამის დაწყებამდე საპროექტო გათვლები ხორციელდებოდა აშშ დოლარებში; მოტანილ მონაცემებში პროექტის ჯამური ინვესტიის თანხები კონვერტირებულია ეროვნულ ვალუტაში გაცვლითი კურსით \$/ლარი = 2.5

გადამამუშავებელ საწარმოებს, გარდა გრანტისა, სახელმწიფო (შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში) უფინანსებს კრედიტის პროცენტსაც. ამ ნაწილში პროექტის ბენეფიციარი საწარმოების თანადაფინანსების საპროგნოზო სიდიდეა 12,635,106 ლარი (მის სიდიდეზე შეიძლება გავლენა მოახდინოს კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვამ სრულად ან ნაწილობრივ, ვალუტის კურსის ცვლილებამ და კრედიტის ტრანშების გაცემის ვადების ცვლილებამ იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც ჯერ სრულად არ აქვთ ათვისებული შეღავათიანი აგროკრედიტი).

ცხრილი # 12: ნედლეულის შესყიდვების და პროდუქციის რეალიზაციის არსებული და საპროგნოზო მონაცემები დაფინანსებული საწარმოების დარგების მიხედვით (2014-2018 წ.წ.)

დარგი	საწარმოების რაოდენობა	ნედლეულის ღირებულება (ლარი)	წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება (ლარი)	პროდუქციის რეალიზაციით მისაღები შემოსავალი (ლარი)
ხილი	17	4,929,800	7,043,466	13,432,797
თხილი	8	61,721,963	66,624,855	71,150,458
რძე	7	1,905,410	2,298,404	3,495,913
კომბინირებული საკვები, ზეთი, სოკო	3	3,588,057	3,732,180	4,701,505
ხორცი	3	1,255,645	1,822,459	2,586,680
დაფნა	2	528,637	914,220	1,453,780
ჩაი სანელებლები	2	123,515	399,660	755,335
ღვინო	2	115,206	438,505	719,098
თევზი	1	1,034,504	1,084,703	1,526,667
ჯამი	45	75,202,737	84,358,451	99,822,233

ცხრილი # 13: გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი - სამუშაო ადგილები (უკვე შექმნილი + საპროგნოზო) (2014-2018 წ.წ.)

დარგები	საწარმოების რაოდენობა	დასაქმებული (კაცი)	ერთ საწარმოში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა (კაცი/საწარმო)
ხილი	17	401	24
თხილი	8	752	94
რძე	7	94	13
კომბინირებული საკვები, ზეთი, სოკო	3	122	41
ხორცი	3	53	18
დაფნა	2	50	25
ჩაი სანელებლები	2	32	16
ღვინო	2	18	9
თევზი	1	13	13
ჯამი	45	1,535	34

1 სამუშაო ადგილის შექმნაზე დახარჯულია 15,000 ლარამდე თანხა სახელმწიფო თანადაფინანსების (გრანტის) სახით.

ცხრილი # 14: ინვესტიციები

შექმნილი ინვესტიციები	სიდიდე
ჯამური ინვესტიცია (ლარი)	70,439,440
სახელმწიფო თანადაფინანსება გრანტის სახით (ლარი)	22,938,834
მოზიდული ინვესტიცია (ლარი)	47,500,606
1 ლარი გრანტით მოზიდული ინვესტიცია (ლარი)	2.07

45 საწარმოში 2014 წლიდან ინვესტირებულია ან ინვესტირების პროცესშია 70,439,440 ლარი (გრანტი, კრედიტი, მეწარმის ინვესტიცია). სახელმწიფო გრანტის (22,938,834 ლარი) წილმა ინვესტიციებში 32.6 % შეადგინა. სახელმწიფოს მიერ ინვესტირებულმა ერთმა ლარმა 2.07 ლარი ინვესტიცია (აგროკრედიტი და მეწარმის ინვესტიცია) მოიზიდა.

ცხრილი # 15: დასაქმება

შექმნილი სამუშაო ადგილები	სიდიდე
დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა (სეზონური დასაქმების ჩათვლით)	1,535
1 დასაქმებულის საშუალო ხელფასი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (ლარი/თვე)	375
დასაქმებულთა ჯამური ხელფასი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (ლარი/წელი)	6,898,486
საშემოსავლო გადასახადი ჯამური (ლარი/წელი)	1,379,697
1 ლარი გრანტით შექმნილი ხელფასი (ლარი/წელი)	0.24

45 საწარმო 1,535 ადამიანს დაასაქმებს (საშუალოდ 34 დასაქმებული 1 საწარმოში) სეზონურად დასაქმებულების ჩათვლით. დასაქმებულთა წლიური ანაზღაურება 6,898,486 ლარია (375 ლარი (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) თვეში 1 დასაქმებულზე). სახელმწიფოს მიერ ინვესტირებული ერთი ლარი ქმნის 0.30 ლარის ოდენობით წლიურ სახელფასო თანხას (აქედან 0.06 ლარი საშემოსავლო გადასახადის სახით ყოველწლიურად გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში).

ცხრილები # 16: ნედლეული

სანედლეულო ბაზა	სიდიდე
შესასყიდი ნედლეულის ღირებულება (ლარი)	75,202,737
1 ლარი გრანტით შექმნილი ნედლეულის შესყიდვები (ლარი/წელი)	3.28

45 საწარმო წლიურად 75,202,737 ლარის ღირებულების ადგილობრივ ნედლეულს შეისყიდის - სახელმწიფოს მიერ ინვესტირებული ერთი ლარი ადგილობრივ ასეულობით მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობას წლიურად 3.28 ლარის შემოსავალს მოუტანს.

ცხრილები # 17: შემოსავლები და პროდუქცია

შემოსავლები და შექმნილი აგროპროდუქცია	სიდიდე
გამოსაშვები აგროპროდუქციის მასა (კგ./წელი)	16,139,140
აგროპროდუქციის რეალიზაციით მისაღები შემოსავალი (ლარი)	99,822,233
სარეალიზაციო აგროპროდუქციის თვითღირებულება (ლარი)	84,358,451
შექმნილი დამატებული ღირებულება (ლარი)	15,463,782
1 ლარი გრანტით შექმნილი პროდუქციის სარეალიზაციო ღირებულება (ლარი/წელი)	4.35
1 ლარი გრანტით შექმნილი დამატებული ღირებულება (ლარი/წელი)	0.67

45 საწარმო ქვეყაში დამატებით შექმნის 100 მლნ. ლარამდე სარეალიზაციო ღირებულების 16,000 ტონა აგროპროდუქციას (1 ლარი გრანტი ქმნის ყოველწლიურად 0.70 კგ. აგროპროდუქციას). სახელმწიფოს მიერ გრანტის სახით ინვესტირებული ერთი ლარი წლიურად 0.67 ლარის დამატებულ ღირებულებას შექმნის.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადები - ეს მაჩვენებელი დაითვლება ფაქტობრივი გადახდებიდან (შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით). გადასახადების საპროგნოზო სიდიდეზე გავლენა შეიძლება იქონიოს მოგების გადასახადის 2017 წელს განახლებულმა სისტემამ, ექსპორტის და ზოგიერთი დარგის დღ-ისგან გათავისუფლებამ, მაღალმთიანი რეგიონების საწარმოთათვის დაწესებულმა საგადასახადო შეღავათებმა, საინვესტიციო ნაწილში დაგროვებული დღ-ის სალდირებული ზედმეტობის ჩათვლის წესის გამოყენებამ ან/და ზედმეტობის დაბრუნებამ.

სხვადასხვა დაშვებით 45 გადამამუშავებელი საწარმო სრულად ამუშავების შემდეგ ქონების და მოგების გადასახადების სახით ყოველწლიურად დაახლ. 1,930,000 ლარს გადაიხდის სახელმწიფო ბიუჯეტში. ამას ემატება მათ მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი წლიურად დაახლ. 1,400,000 ლარის ოდენობით. ჯამურად, ქონების, მოგების და საშემოსავლო გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამის ბენეფიციარი გადამამუშავებელი საწარმოებისგან წლიურად 3.3 მლნ. ლარს მიიღებს (სახელმწიფო გრანტის სახით გაცემული 1 ლარი ყოველწლიურად 0.14 ლარი გადასახადის გენერირებას იწვევს).

➤ **შემნახველი საწარმოების კომპონენტი**

ცხრილი # 18: სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები დაფინანსებული საწარმოების დარგების მიხედვით (2016-2018 წ.წ.)

დარგი	საწარმოების რაოდენობა	ჯამური ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსებების წილი ჯამურ ინვესტიციაში (%)
ხილისა და ბოსტნეულის შემნახველი	13	19,035,351	7,572,031	40
თხილის შემნახველი	1	862,440	344,976	40
ჯამი	14	19,897,791	7,917,007	40

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტში სახელმწიფოს მიერ გრანტის სახით ინვესტირებულმა ერთმა ლარმა გრანტმა მოიზიდა 1.51 ლარი ინვესტიცია.

ცხრილი # 19: სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები დაფინანსებული საწარმოების დარგების მიხედვით (2018 წ.)

დარგი	საწარმოების რაოდენობა	ჯამური ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსებების წილი ჯამურ ინვესტიციაში (%)
ხილისა და ბოსტნეულის შემნახველი	7	10,506,836	4,124,772	39
თხილის შემნახველი	1	862,440	344,976	40
ჯამი	8	11,369,276	4,469,748	39

ცხრილი # 20: შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი - დაფინანსებული საწარმოების წარმადობები (ტევადობა) დარგების მიხედვით (2014-2018 წ.წ.)

შემნახველი საწარმოს ტიპი	რაოდენობა	ჯამური ტევადობა (ტონა)
ხილის შემნახველი	6	4,000
ხილ-ბოსტნეულის შემნახველი	5	3,800
ბოსტნეულის შემნახველი	2	2,600
კაკლოვანი კულტურების შემნახველი	1	1,000
ჯამი	14	11,400

ცხრილი # 21: დაფინანსებული საწარმოები რეგიონების და დარგების მიხედვით (2014-2018 წ.წ.)

რეგიონი	დარგი	შემნახველი საწარმოების რაოდენობა
შიდა ქართლი	ხილისა და ხილ-ბოსტნეულის შენახვა	6
კახეთი	ხილ-ბოსტნეულის შენახვა	3
მცხეთა-მთიანეთი	ხილის შენახვა	2
ქვემო ქართლი	ბოსტნეულის შენახვა	2
სამეგრელო	თხილის შენახვა	1
სულ		14

ცხრილი # 22: დაფინანსებული საწარმოები რეგიონების და დარგების მიხედვით (2018 წ.)

რეგიონი	დარგი	შემნახველი საწარმოების რაოდენობა
შიდა ქართლი	ხილისა და ხილ-ბოსტნეულის შენახვა	5

კახეთი	ხილ-ბოსტნეულის შენახვა	2
სამეგრელო	თხილის შენახვა	1
სულ		8

შემნახველ საწარმოებს, გარდა გრანტისა, სახელმწიფო (შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში) უფინანსებს კრედიტის პროცენტსაც; ამ ნაწილში პროექტის ბენეფიციარი საწარმოების თანადაფინანსების საპროგნოზო სიდიდეა 2,968,268 ლარი (მის სიდიდეზე შეიძლება გავლენა მოახდინოს კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვამ სრულად ან ნაწილობრივ, ვალუტის კურსის ცვლილებამ და კრედიტის ტრანშების გაცემის ვადების ცვლილებამ იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც ჯერ სრულად არ აქვთ ათვისებული შელავათიანი აგროკრედიტი).

აგროწარმოების ხელშეწყობის პროექტი

პროგრამა განხორციელდა „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში. პროგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ. პროექტი დაიწყო 2016 წელს და მას ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

ცხრილი # 23: აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა - პროექტების რაოდენობა და ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით (2016-2018 წ.წ.)

კომპონენტი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციების სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების წილი ჯამურ ინვესტიციაში (%)
პირველადი წარმოება	434	17,778,520	7,027,536	39.5
გადამუშავება/შენახვა	7	3,635,640	1,434,270	39.5
სულ	441	21,414,161	8,461,806	39.5

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ ინვესტირებულმა ერთმა ლარმა გრანტმა მოიზიდა 1.53 ლარი ინვესტიცია.

ცხრილი # 24: აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა - პროექტების რაოდენობა და ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით (2018 წ.)

კომპონენტი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციების სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების წილი ჯამურ ინვესტიციაში (%)
პირველადი წარმოება	319	13,581,328	5,364,004	39.5
გადამუშავება/შენახვა	2	1,086,163	434,465	40.0
სულ	321	14,667,491	5,798,469	39.5

ცხრილი # 25: აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა - პროექტების რაოდენობა და ინვესტიციები მიზნობრიობის მიხედვით (2016-2018 წ.წ.)

დასაფინანსებელი მიზნობრიობა	პროექტების	ინვესტიციების	სახელმწიფო
-----------------------------	------------	---------------	------------

	რაოდენობა	ჯამური სიდიდე (ლარი)	თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	272	10,324,016	4,095,504
სათბურის მოწყობა/გადაიარაღება	56	5,479,024	2,177,263
მეფუტკრეობის ინვენტარი	43	2,188,271	873,812
დანადგარების შეძენა/რემონტი	5	1,463,863	574,505
შემნახველი მეურნეობის მოწყობა	1	650,741	260,296
წვეთოვანი სარწყავი სისტემა	33	477,034	149,110
მოსავლის პირველადი დასაწყობ.	8	316,983	126,472
მრავალწლიანი ბაღის გაშენება/რეაბილიტაცია	17	265,167	106,174
სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები	4	209,212	82,729
სერტიფიცირება (Global GAP)	1	26,000	10,400
კლიმატის ცვლილებაზე ადაპტირებული ტექნოლოგია	1	13,850	5,540
ჯამი	441	21,414,161	8,461,806

ცხრილი # 26: აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა - პროექტების რაოდენობა და ინვესტიციები მიზნობრიობის მიხედვით (2018 წ.)

დასაფინანსებელი მიზნობრიობა	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციების ჯამური სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა	205	8,239,115	3,263,908
სათბურის მოწყობა/გადაიარაღება	36	2,990,971	1,196,388
მეფუტკრეობის ინვენტარი	33	1,539,836	615,934
შემნახველი მეურნეობის მოწყობა	1	650,741	260,296
დანადგარების შეძენა/რემონტი	1	435,422	174,169
წვეთოვანი სარწყავი სისტემა	25	335,942	97,908
მოსავლის პირველადი დასაწყობ.	5	190,072	75,708
მრავალწლიანი ბაღის გაშენება/რეაბილიტაცია	10	128,451	51,380
სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები	3	117,091	46,836
სერტიფიცირება (Global GAP)	1	26,000	10,400
კლიმატის ცვლილებაზე ადაპტირებული ტექნოლოგია	1	13,850	5,540
ჯამი	321	14,667,491	5,798,469

საპროგნოზო შედეგები პირველადი წარმოების კომპონენტში:

- სათბურებიდან ყოველწლიურად იწარმოება 2.05 მლნ. ლარის ღირებულების პროდუქცია
- ყოველწლიურად იწარმოება 2.9 მლნ. ლარის ღირებულების თაფლი
- სამაცივრე მეურნეობები ყოველწლიურად მიიღებენ 79,250 ლარ შემოსავალს
- ფერმერები ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავებაზე 2.6 მლნ. ლარს დაზოგავენ

საპროგნოზო შედეგები გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტში:

- დასაქმდება 287 ადამიანი (4,997 ლარი 1 სამუშაო ადგილი)
- ხელფასების სახით წლიურად გაიცემა 1.03 მლნ. ლარი

- შეიქმნება 3.2 მლნ. ლარის ღირებულების პროდუქცია

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა

ცხრილი # 27: ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა - პროექტების რაოდენობა, ფართობი და ინვესტიციები (2016-2018 წ.წ.)

პროექტების რაოდენობა	სარეაბილიტაციო ფართობი (ჰა)	ჯამური ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)	მზა პროდუქციის (გადამუშავებული ჩაი შეფუთვის გარეშე) მასა (კგ./წელი)	მზა პროდუქციის (გადამუშავებული ჩაის) სარეალიზაციო ღირებულება (ლარი/წელი)
44	959	2,403,060	1,678,951	1,365,000	40,900,000

ცხრილი # 28: ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა - პროექტების რაოდენობა, ფართობი და ინვესტიციები (2018 წ.)

პროექტების რაოდენობა	სარეაბილიტაციო ფართობი (ჰა)	ჯამური ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსების სიდიდე (ლარი)
16	325	813,609	557,256

სახელმწიფოს მიერ ინვესტირებულმა ერთმა ლარმა მოიზიდა 0.43 ლარი ინვესტიცია (ჯამურ ინვესტიციაში შედის მხოლოდ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის საჭირო ინვესტიციები, მასში არაა შეტანილი ისეთი ხარჯები, როგორებიცაა შემოღობვა, ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, აპარატურა-დანადგარების შეძენა, სტანდარტების დანერგვა...). 1 ლარი სახელმწიფო გრანტის ინვესტირებით ყოველწლიურად წარმოებული იქნება 0.81 კგ. ჩაის პროდუქტი და ფერმერები/საწარმოები ყოველწლიურად მიიღებენ 24.1 ლარ შემოსავალს.

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა 400 ადამიანი იქნება, ხოლო სეზონურად დასაქმებულთა რაოდენობა - 800-მდე ადამიანი. საშუალო ხელფასი საწარმოში დასაქმებულთათვის თვეში 400 ლარი იქნება.

პროექტი “ახალგაზრდა მეწარმე”

პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2018 წლიდან ახორციელებს და ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ დონორი ორგანიზაციის, დანიის სართაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით.

ცხრილი # 29: პროექტი “ახალგაზრდა მეწარმე” - პროექტების რაოდენობები და ინვესტიციები მიზნობრიობის მიხედვით (2018 წ.)

დარგი	პროექტების	ინვესტიციის	სახელმწიფო	სახელმწიფო
-------	------------	-------------	------------	------------

	რაოდენობა	მოცულობა (ლარი)	თანადაფინანსება სიდიდე (ლარი)	თანადაფინანსების წილი სრულ ინვესტიციებში
პირველადი წარმოება	50	5,601,633	2,168,793	38.7
გადამამუშავებელი წარმოება	43	4,252,912	1,646,525	38.7
მომსახურება	19	2,557,248	1,013,348	39.6
შენახვა	3	268,591	107,436	40.0
წარმოება	1	109,595	43,838	40.0
სულ	116	12,789,979	4,979,940	38.9

ცხრილი # 30: პროექტები და ინვესტიციები რეგიონების მიხედვით (2018 წ.)

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციის სიდიდე (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება სიდიდე (ლარი)
კახეთი	62	6,712,104	2,594,712
მცხეთა-მთიანეთი	13	1,707,025	632,557
შიდა ქართლი	12	1,126,960	435,511
სამეგრელო	7	947,074	407,364
სამცხე-ჯავახეთი	4	588,747	230,233
გურია	5	540,746	216,298
ქვემო ქართლი	4	487,450	193,620
აჭარა	3	344,641	135,763
იმერეთი	2	201,950	80,569
რაჭა-ლეჩხუმი	4	133,281	53,312
სულ	116	12,789,979	4,979,940

სახელმწიფოს მიერ გრანტის სახით ინვესტირებულმა ერთმა ლარმა მოიზიდა 1.57 ლარი ინვესტიცია.

პროექტი “დანერგე მომავალი”

➤ ბაღების კომპონენტი

ცხრილი # 31: გაშენებული და გაშენების პროცესში არსებული კულტურები და ინვესტიციები (2015-2018 წ.წ.)

კულტურა	ფართობი (ჰა)	სრული ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსებების წილი ჯამურ ინვესტიციაში (%)
კაკალი	2,308	18,677,542	11,055,189	59
ნუში	893	6,121,690	3,266,410	53
ვამლი	868	13,697,185	7,022,947	51
თხილი	611	2,266,307	1,184,730	52
ლურჯი მოცვი	286	7,145,078	4,027,380	56
ქლიავი	248	2,199,895	1,161,506	53
ზეთის ხილი	232	1,826,064	1,145,982	63
ჟოლო	145	2,305,042	1,315,492	57
სხვა	757	7,685,919	3,995,932	52
ჯამი	6,347	61,924,722	34,175,567	55

1 ლარი სახელმწიფო გრანტის ინვესტირებით მოზიდულია 0.81 ლარი ინვესტიცია. 2015 წლიდან 2018 წლის 31 დეკემბრის პერიოდში სულ გაშენებულია ან გაშენების პროცესშია 6,347 ჰა ფართობის 993 ბაღი.

ცხრილი # 32: გაშენებული და გაშენების პროცესში არსებული კულტურები და ინვესტიციები (2018 წ.)

კულტურა	ფართობი (ჰა)	სრული ინვესტიცია (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსებების წილი ჯამურ ინვესტიციაში (%)
კაკალი	613	5,167,370	3,111,928	60
ნუში	466	3,378,017	1,767,815	52
ზეთის ხილი	232	1,826,064	1,145,982	63
ლურჯი მოცვი	170	4,222,894	2,379,748	56
ვაშლი	104	2,194,703	915,393	42
ზეთისხილი	69	541,277	339,354	63
ქლიავი	64	725,233	340,664	47
ტყემალი	60	397,849	225,661	57
სხვა	276	3,328,117	1,696,692	51
ჯამი	2,053	21,781,525	11,923,235	55

ცხრილი # 33: გაშენებული და გაშენების პროცესში არსებული ფართობები რეგიონების მიხედვით (2015-2018 წ.წ.)

რეგიონი	2015-2018 წ.წ. - ფართობი (ჰა)	აქედან: 2018 წ. - ფართობი (ჰა)
კახეთი	2,478	1,008
შიდა ქართლი	1,744	395
ქვემო ქართლი	980	308
სამეგრელო და ზემო სვანეთი	487	130
იმერეთი	325	117
გურია	155	40
მცხეთა-მთიანეთი	107	25
აჭარა	34	22
სამცხე-ჯავახეთი	25	5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	18	3
	6,351	2,053

ცხრილი # 34: გაშენებული კულტურების საპროგნოზო მოსავალი და ფერმერთა საპროგნოზო შემოსავლები წლების მიხედვით

წელი	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
მოსავალი (ტონა)	5,748	16,122	28,717	42,378	52,020	60,135	65,075
შემოსავალი (მლნ. ლარი)	6.9	20.2	41.4	68.6	91.0	113.5	126.9

ერთი ლარი სახელმწიფო თანადაფინანსება ქმნის (ბაღების სრული მოსავლიანობის დაწყებიდან) ყოველწლიურად 1.90 კგ. აგროპროდუქციას და ფერმერებს უზენს ყოველწლიურად 3.71 ლარ შემოსავალს.

ცხრილი # 35: პროექტი "დანერგე მომავალი" - გაშენებული კულტურების საპროგნოზო მოსავალი (ტონა) წლების მიხედვით

კულტურა / წელი	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
კურკოვანი	327	960	2,113	4,527	6,577	8,819	10,299
თესლოვანი	4,967	13,675	22,003	28,845	32,325	34,163	35,033
სუბტროპიკული	123	378	1,018	1,696	2,308	2,653	3,050
კაკლოვანი	162	940	2,442	4,988	7,752	10,693	12,387
კენკროვანი	168	168	1,141	2,322	3,059	3,807	4,306
სულ	5,748	16,122	28,717	42,378	52,020	60,135	65,075

ცხრილი # 36: პროექტი “დანერგე მომავალი” - ფერმერთა საპროგნოზო შემოსავლები (მლნ. ლარი წელიწადში) კულტურების და წლების მიხედვით

კულტურა / წელი	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
კურკოვანი	0.5	1.3	3.0	6.4	9.3	12.6	14.6
თესლოვანი	5.0	13.7	22.1	29.0	32.6	34.5	35.5
სუბტროპიკული	0.1	0.4	1.0	1.7	2.3	2.7	3.0
კაკლოვანი	0.7	4.1	10.6	22.1	34.4	48.1	55.9
კენკროვანი	0.7	0.7	4.6	9.4	12.4	15.7	17.9
სულ	6.9	20.2	41.4	68.6	91.0	113.5	126.9

➤ **სანერგე მეურნეობების კომპონენტი**

2015 წლიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში სულ შექმნილია წლიურად 100,000 ნერგის წარმადობის 2 სანერგე მეურნეობა ზუგდიდის და სენაკის მუნიციპალიტეტებში.

პროექტი “აგროდაზღვევა”

ცხრილი # 37: პროექტი “აგროდაზღვევა” - პოლისების რაოდენობები, სადაზღვევო პრემიები და დაზღვეული ფართობების სიდიდეები წლების მიხედვით

წელი	პოლისების რაოდენობა	ჯამური სადაზღვევო პრემია (ლარი)	დაზღვეული ფართობი, ჰა
2014	21,056	12,586,739	18,723
2015	7,634	3,444,300	4,944
2016	18,795	11,981,874	15,472
2017	21,394	11,649,283	20,718
2018	12,574	7,135,833	11,557
სულ	81,453	46,798,029	71,413

ცხრილი # 38: პროექტი “აგროდაზღვევა” - პოლისების რაოდენობები, სადაზღვევო პრემიები და დაზღვეული ფართობების და ანაზღაურებები რეგიონების მიხედვით (2014-2018 წ.წ.)

რეგიონი	პოლისების რაოდენობა	სადაზღვევო პრემია (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	ფართობი (ჰა)	ანაზღაურებული ზარალი (ლარი)
აჭარა	22,328	5,107,904	3,858,762	7,379	6,419,404
გურია	8,637	1,729,105	1,536,550	3,032	501,254
თბილისი	7	931	705	2	0
იმერეთი	4,176	294,728	181,287	1,449	11,232
კახეთი	27,358	24,308,691	17,046,660	35,919	17,228,202
მცხეთა-მთიანეთი	200	144,517	118,341	293	12,291
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	235	46,824	28,851	112	13,878
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6,793	1,901,839	1,434,486	5,343	1,058,270
სამცხე-ჯავახეთი	3,430	3,736,959	2,550,767	4,337	1,870,786
ქვემო ქართლი	1,813	1,504,716	1,175,722	6,638	1,966,913
შიდა ქართლი	6,478	8,021,815	5,922,332	6,911	6,046,493
სულ	81,453	46,798,029	33,854,463	71,413	35,128,721

ცხრილი # 39: პროექტი “აგროდაზღვევა” - პოლისების რაოდენობები, სადაზღვევო პრემიები და დაზღვეული ფართობების და ანაზღაურებები რეგიონების მიხედვით (2018 წ.)

რეგიონი	პოლისების რაოდენობა	სადაზღვევო პრემია (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	ფართობი (ჰა)	ანაზღაურებული ზარალი (ლარი)
აჭარა	449	142,351	99,087	152	19,486
გურია	67	8,737	5,985	25	3,018
თბილისი	3	265	173	1	0
იმერეთი	2,102	132,329	76,965	560	0
კახეთი	5,966	3,941,534	2,265,845	6,224	2,952,004
მცხეთა-მთიანეთი	55	6,847	4,729	17	408
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	87	5,761	3,002	14	352
სამეგრელო-ზემო სვანეთი	917	158,848	110,928	508	52,164
სამცხე-ჯავახეთი	554	403,574	282,425	516	413,099
ქვემო ქართლი	664	359,932	246,304	2,015	117,550
შიდა ქართლი	1,710	1,975,653	1,379,448	1,525	1,873,439
სულ	12,574	7,135,833	4,474,889	11,557	5,431,518

ცხრილი # 40: პროექტი “აგროდაზღვევა” - სადაზღვევო პრემიების სიდიდეები და სტრუქტურა წლების მიხედვით

წელი	ჯამური სადაზღვევო პრემია (ლარი)	დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი ჯამურ პრემიაში (%)
2014	12,586,739	779,693	11,800,629	93.8
2015	3,444,300	1,442,672	1,948,980	56.6
2016	11,981,874	3,677,059	8,223,721	68.6
2017	11,649,283	4,238,293	7,406,244	63.6
2018	7,135,833	2,657,198	4,474,889	62.7
სულ	46,798,029	12,794,915	33,854,463	72.3

ცხრილი # 41: სადაზღვევო ანაზღაურებები წლების მიხედვით (2014-2018 წ.წ.)

წელი	ბენეფიციარების რაოდენობა	დაზიანებული მიწის ნაკვეთის ფართობი (ჰა)	დამდგარი ზარალი (ლარი)	ანაზღაურებული ზარალი (ლარი)
2014	6,395	10,210	28,267,084	11,296,414
2015	4,483	2,561	5,377,569	2,904,487
2016	6,399	6,061	12,478,970	6,211,368
2017	5,663	9,659	16,961,167	9,284,934
2018	1,751	6,324	13,008,633	5,431,518
სულ	24,691	34,816	76,093,423	35,128,721

ცხრილი # 42: საქართველოში აგროდაზღვევის სახეობაში მიღებული პრემიები და გაცემული ანაზღაურებები: 2010-2012 წლების მონაცემთა შედარება სახელმწიფო პროექტის “აგროდაზღვევის” განხორციელების დაწყების შემდეგ პერიოდთან

წელი	სადაზღვევო პრემია (ლარი)	ანაზღაურებული ზარალი (ლარი)
2010	76,933	84,805
2011	84,626	93,286
2012	93,089	956,353
2013	182,556	56,727

2014	12,586,739	11,296,414
2015	3,444,300	2,904,487
2016	11,981,874	6,211,368
2017	11,649,283	9,284,934
2018	7,135,833	5,431,518

ცხრილი # 43: პროექტი “აგროდაზღვევა” - სადაზღვევო ანაზღაურებების სტრუქტურა წლების მიხედვით (2014 წ. - 2018 წლის 30 ნოემბერი)

წელი	ანაზღაურებული ზიანი (ლარი)	ანაზღაურებული ზიანი / სააგენტოს მიერ გადახდილი პრემია (%)	ანაზღაურებული ზარალი / ჯამური პრემია (%)
2014	11,296,414	95.7	89.7
2015	2,904,487	149.0	84.3
2016	6,211,368	75.5	51.8
2017	9,284,934	125.4	79.7
2018	5,431,518	121.4	76.1
სულ	35,128,721	103.8	75.1

პროგრამაში სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობა მაღალია - სახელმწიფოს მიერ გადახდილ 100 ლარ სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსებაზე მოდის 103.8 ლარი სადაზღვევო ანაზღაურება. ასევე, სახელმწიფომ წვლილი შეიტანა სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარებაში (შემოსავალი, ცოდნა, გამოცდილება, სპეციალისტების ჩამოყალიბება...). სახელმწიფომ კერძო სექტორს ეფექტურად გადასცა აგროდაზღვევის ადმინისტრირების ფუნქცია (სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირების შემთხვევაში სათანადო ხარჯები მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა) - სადაზღვევო კომპანიებს ანაზღაურების სახით გაცემული აქვთ მიღებული პრემიის 75 %, რაც სადაზღვევო პრაქტიკისთვის ზომიერი მაჩვენებელია (დარჩენილი 25 % მოიცავს აგენტთა ანაზღაურებებს, ადმინისტრირების ხარჯებს და სადაზღვევო კომპანიების მოგებას)